

# **ენა ლოგიკა კომპიუტერიზაცია**

## **I**

ენის, ლოგიკისა და მეტყველების ცენტრი, თსუ  
კურტ გოდელის საზოგადოება, ვენა

# **LANGUAGE, LOGIC, COMPUTATION**

## **I**

**CLLS, Tbilisi State University**  
**Kurt Gödel Society, Vienna**

**2005**

სარედაქციო კოლეგია: მათიას ბააზი, ვენის უნივერსიტეტი  
თამაზ გამყრელიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პოლ დეკერი, ამსტერდამის უნივერსიტეტი  
დიკ დე იონგი, ამსტერდამის უნივერსიტეტი  
მანფრედ კრიფკა, ბერლინის უნივერსიტეტი  
ბარბარა პარტი, მასაჩუსეტის უნივერსიტეტი  
ნანი ჭანიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამოცემის რედაქტორები: რუსუდან ასათიანი  
მარინე ივანიშვილი  
ლადო ლეკიაშვილი  
ეთერ სოსელია

Editorial Board: Matheas Baaz, University of Vienna  
Nani ChaniSvili, Tbilisi State University  
Paul Dekker, University of Amsterdam  
Thomas Gamkrelidze, Tbilisi State University  
Dick de Jong, University of Amsterdam  
Manfred Krifka, University of Berlin  
Barbara Partee, University of Massachusetts

Managing Editors: Rusudan Asatiani  
Marine Ivanishvili  
Lado Lekiaashvili  
Ether Soselia

# შინაარსი CONTENTS

წინასიტყვაობა <b>Preface</b> .....	5
<b>ენა LANGUAGE</b> .....	7
უილიამ კროფტი და დ. ალან კრუზი, <b>კოგნიტიური ლინგვისტიკა</b> William Croft and D. Alan Cruse, <b>COGNITIVE LINGUISTICS</b> (თარგმნეს ნ.დუნდუამ და მ. ივანიშვილმა) .....	7
თ. გამყრელიძე, <b>კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგია</b> T. Gamkrelidze, <b>ON LINGUISTIC PALAEOLOGY OF CULTURE</b> .....	53
<b>ლოგიკა LOGIC</b> .....	61
ალფრედ ტარსკი, <b>ჭეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია და     სემანტიკის საფუძვლები</b> Alfred Tarski, <b>THE SEMANTIC CONCEPTION OF TRUTH AND THE     FOUNDATIONS SEMANTICS</b> (თარგმნეს ნ. დუნდუამ და მ. ივანიშვილმა) .....	61
რევაზ გრიგოლია, <b>პროექციულ მონოიდალური რეზიდუალური ალგებრები</b> Revaz Grigolia, <b>PROJECTIVE MONOIDAL RESIDUATED ALGEBRAS</b> .....	109
<b>კომპიუტერიზაცია COMPUTATION</b> .....	133
ბარბარა პარტი, <b>მათემატიკური მეთოდები ლინგვისტიკაში</b> Barbara Patec, <b>MATHEMATICAL METHODS IN LINGUISTICS</b> (თარგმნა ე. სოსელიამ).....	133
გიორგი ჩიკოიძე George Chikoidze, <b>NET REPRESENTATION OF MORFOLOGIC     PROCESSORS (ANOTATION)</b> .....	167

© ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია  
Language, Logic, Computation

ISSN 1512-3170

## წინასიტყვაობა

ჟურნალი 'ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია', რომლის სერიულ გამოცემესაც ვაპირებთ, ორენოვანია და მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, სტრუქტურულ-აბსტრაქტულ და გააცნოს ენის, ლოგიკისა და კომპიუტერიზაციის კვლევასთან დაკავშირებული კლასიკური და უახლესი ლიტერატურა, მეორე მხრივ კი, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებს მიაწოდოს ინფორმაცია ქართველ მეცნიერთა შრომების შესახებ აღნიშნულ სფეროებში.

ჟურნალი მომზადდა თსუ 'ენის, ლოგიკისა და მეტყველების' ცენტრის ინიციატივითა და კურტ გიოდელის საზოგადოების, უშუალოდ ვენის უნივერსიტეტის პროფესორ მათიას ბააზის დახმარებით, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასვენებთ.

გამოცემის რედაქტორები

## PREFACE

This volume introduces the new journal "The Georgian Journal for Language, Logic, Computation" edited by The CLLS of TSU with support of the International Kurt Gödel Society in Vienna. The aims of this journal are twofold: It should increase the availability of the most fundamental publications of logic and linguistics to the general Georgian audience by translating them to Georgian language. In addition it should promote the international access to important papers in Russian and Georgian language hitherto untranslated by editing them in English. The journal will therefore establish a forum for the Georgian public and international and Georgian scientists to promote the awareness of the international research in logic and linguistics in Georgia. It should be considered as part of the efforts to reestablish Georgia within the European research space.

Matheas Baaz



# კოგნიტიური ლინგვისტიკა

უილიამ კროფტი და დ. ალან კრუზი

კოგნიტიური ლინგვისტიკა წარმოადგენს ენის კვლევის ერთ-ერთ მიმართულებას, რომელიც აღმოცენდა 70-იან წლებში და ძირითადად განვითარდა 80-იანი წლებიდან (ეს მიმართულება ცნობილი გახდა საერთაშორისო კონფერენციებითა და ჟურნალით – „კოგნიტიური ლინგვისტიკა“). მეოთხედი საუკუნის განმავლობაში კოგნიტიური ლინგვისტიკის სახელით შეიქმნა მრავალი გამოკვლევა. ნაშრომების უმეტესობა ეძღვნება სემანტიკის პრობლემებს, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი – სინტაქსსა და მორფოლოგიას, აგრეთვე ლინგვისტიკის სხვა სფეროებს, როგორც არის ფონოლოგია და ისტორიული ლინგვისტიკა.

კოგნიტიური ლინგვისტიკა ემყარება სამ მთავარ დებულებას:

- ენა არ არის ავტონომიური კოგნიტიური უნარი
- გრამატიკა არის კონცეპტუალიზაცია
- ენის ცოდნა გამოვლინდება ენის გამოყენებაში

კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიული საფუძვლები და ძირითადი არგუმენტები წარმოდგენილია უ. კროფტისა და დ. ალან კრუზის კოგნიტიური ლინგვისტიკის სახელმძღვანელოში (William Croft and D. Alan Cruse “Cognitive Linguistics”, Cambridge University Press, 2004). აქ კოგნიტიური ლინგვისტიკა განხილულია როგორც ენის კვლევის ცალკე სფერო, რომელიც სწავლობს მიმართებებს ენასა და ადამიანის გონებაში მიმდინარე შემეცნებით პროცესებს შორის. ავტორები ახასიათებენ კონცეპტუალურ სტრუქტურებსა და კოგნიტიურ პროცესებს, რომლებიც მართავენ ლინგვისტურ წარმოდგენებსა და ქცევას, კოგნიტიური მეთოდოლოგიის საფუძველზე იკვლევენ ლექსიკური სემანტიკის, სინტაქსური სტრუქტურისა და ანალიზის საკითხებს.

გთავაზობთ ამ სახელმძღვანელოს მეოთხე თავის თარგმანს.

### 4. კატეგორიები, კონცეპტები და მნიშვნელობები

#### 4.1. შესავალი

კატეგორიზაცია არის ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი შემეცნებითი აქტი. კატეგორიზაციის პროცესში გარკვეული ინდივიდუალური ობიექტი, კონკრეტული გამოცდილება, გაიაზრება როგორც რაღაც უფრო აბსტრაქტული ობიექტის (რომელიც მოიცავს სხვა რეალურ თუ პოტენციურ კონკრეტულ ობიექტებს) დაკონკრეტებული მაგალითი. კერძოდ, გარკვეული ცხოველი შეიძლება აღინეროს როგორც სახეობა ძაღლ-ის დაკონკრეტება, კონკრეტული ფერის ლაქა – როგორც თვისება წითელ-ის მანიფესტაცია და ა.შ. ასეთ აბსტრაქტულ, წარმოსახვით ობიექტს შეიძლება ვუწოდოთ **კონცეპტუალური კატეგორია**. კონცეპტუალური კატეგორიები შესაძლებელია განვიხილოთ როგორც შემეცნების საშუალება, რომელსაც აქვს რამდენიმე ზოგადი ფუნქცია:

(a) *სწავლა*. მოვლენები ზუსტად არასდროს მეორდება: ძალზე გაგვიჭირდებოდა წარსული გამოცდილებიდან რაიმეს სწავლა, თუ ვერ შევძლებდით ანმყოს გამოცდილების დაკავშირებას წარსული გამოცდილების მსგავს ასპექტებთან, ანუ მათ მოქცევას იმავე კონცეპტუალურ კატეგორიებში.

(b) *დაგეგმვა*. მიზნებისა და გეგმების ფორმულირება, რათა შემდგომ მათი განხორციელება შევძლოთ, ასევე მოითხოვს ინდივიდების შესახებ ჩვენი ცოდნის განზოგადებას და მის დაკავშირებას იმ ცნებებთან, რომლებიც ობიექტთა კატეგორიებს აღნიშნავენ.

(c) *კომუნიკაცია*. ენა ოპერირებს განზოგადებული ობიექტებით, ანუ კატეგორიებით. ნებისმიერი ლინგვისტური გამონათქვამი, როგორი დეტალურიც არ უნდა იყოს ის, საბოლოო ჯამში გამოხატავს მხოლოდ რეფერენტების კატეგორიას.

(d) *ეკონომია*. ყოველთვის არ არის აუცილებელი, რომ ცოდნა ცალკეულ წევრებს უკავშირდებოდეს. ცოდნის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს ინდივიდთა ჯგუფებს. ახალი ცოდნა, რომელიც მოპოვებულია ერთ ან რამდენიმე ინდივიდთან ურთიერთქმედების საფუძველზე, შეიძლება ადვილად განზოგადდეს კატეგორიის სხვა წევრებზეც. და პირიქით, შეზღუდული რაოდენობის კრიტერიუმების საფუძველზე მიღებული ცოდნა იმის შესახებ, რომ ინდივიდი ეკუთვნის გარკვეულ კატეგორიას, ხელმისაწვდომს გახდის ბევრად უფრო მეტ ინფორმაციას ამ ინდივიდის შესახებ.



აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან ისეთი ზოგადი კონცეპტები, როგორც არის, მაგალითად, კატა და ტერორისტი და ინდივიდუალური კონცეპტები, როგორც არის ტონი ბლერი და კლემენტინა. კატეგორიზაცია უფრო ბაზისურ პროცესსაც გულისხმობს, სახელდობრ, ცალკეული გამოვლინებების კლასიფიკაციას როგორც ერთი და იმავე ინდივიდუალური ობიექტის გამოვლინებას. ორივე შემთხვევაში ვიღებთ გეშტალტს, ოღონდ ეს განსხვავებული სახის გეშტალტია. ორივე მათგანი წარმოსახვითი ობიექტია. მოზრდილმა ადამიანმა იცის ათასობით ცალკეული ობიექტი – არა მარტო ადამიანები, არამედ საგნები, ადგილები და ა.შ. იმ ობიექტთა დიდი ნაწილი, რომლებსაც აცნობიერებენ და რომლებზეც მსჯელობენ, არსებითად ინდივიდუალურია: ცნობიერებაში უმეტესი ადგილი ინდივიდუალურ ობიექტებს უჭირავს. სახეობათა კონცეპტები ძირითადად ინდივიდთა იდენტიფიკაციის და/ან დასახასიათებლის ფუნქციას ასრულებენ. გარკვეული ინდივიდუალური კონცეპტიც ცოდნის კომპლექსია და ის შეიძლება ძალიან მდიდარიც იყოს და ძალზე ფრაგმენტულიც. თავად ინდივიდუალური კონცეპტი არ არის საბოლოო კონსტრუქცია, რადგანაც მან შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობის მოდულაცია განიცადოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღწერითი გამონათქვამების მეშვეობით ისაზღვრება (მაგ.: *ის მოაფერისტო ტიპი, როიალთან რომ დგას*). ასეთი შინაარსის გამონათქვამს ორმაგი ფუნქცია აქვს: ის ავიწროებს შესაბამისი რეფერენტის ძიების არეს და ახდენს ინდივიდუალური კონცეპტის საბოლოო კონსტრუქციის მოდულაციას. თეორიულ და ექსპერიმენტულ ნაშრომთა უმრავლესობა, როგორც კოგნიტიურ ფსიქოლოგიაში, ისე კოგნიტიურ ლინგვისტიკაში, ეხებოდა უფრო სახეობათა კონცეპტებს, ვიდრე ინდივიდუალურ კონცეპტებს.

კონცეპტუალური კატეგორიები შეიძლება განხილულ იქნეს რამდენიმე განსხვავებული თვალსაზრისით, რომლებიც, მართალია, დაკავშირებულია ერთმანეთთან, მაგრამ მაინც ცხადად უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან. ჩვენ ძირითადად შევეხებით სამ მათგანს.

პირველი, კონცეპტუალური კატეგორიები შეიძლება განვიხილოთ როგორც ინდივიდთა კრებული. კრებულთა თვისებები განსხვავდება მის შემადგენელ ინდივიდთა თვისებებისგან. ორი მახასიათებელი, რომელიც ჩვენ ყველაზე უფრო მეტად გვაინტერესებს, არის კატეგორიათა საზღვრები და კატეგორიის ფარგლებში ობიექტის „ცენტრალურობის“ ხარისხი (რამდენადაც კატეგორიას, როგორც წესი, აქვს ბირთვი, რომლის გარკვეული თვისებებიც სუსტდება ცენტრიდან პერიფერიისკენ). მეორე, კონცეპტუალური კატეგორია შეიძლება განვიხილოთ მის შემადგენელ ინდივიდთა საფუძველზე: როგორ შეგვიძლია დავახასიათოთ ისინი და როგორ ვასხვავებთ მათ სხვა კატეგორიის წევრებისგან? მესამე, კატეგორია შეიძლება დახასიათდეს კატეგორიზაციის დონის მიხედვითაც. ნაწილობრივ ეს არის

## LANGUAGE

ინკლუზიურობის საკითხი – ზოგი კატეგორია შეიცავს სხვებს, როგორც ქვეკატეგორიებს – და, ამდენად, კატეგორიზაციის დონე ფარდობითი ცნებაა, მაგრამ, როგორც ვნახავთ, არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ განსაზღვრული მახასიათებლების მქონე აბსოლუტური დონეების არსებობაც. კატეგორიზაციის დონეს განვსაზღვრავთ კატეგორიის წევრთა შესახებ მოწოდებული ინფორმაციის ტიპისა და რაოდენობის მიხედვით.

დღემდე (და დღესაც) კოგნიტიურ ფსიქოლოგიასა და ლინგვისტიკაში კონცეპტუალურ კატეგორიებს უმთავრესად განიხილავდნენ როგორც ფიქსირებულ კოგნიტიურ ობიექტებს, რომლებიც მყარად არიან დაკავშირებულნი შესაბამის ენობრივ გამონათქვამებთან. მაგრამ უკანასკნელ ხანს გაჩნდა დინამიკური კონცეპტების თეორია, რომლის თანახმადაც მათი ჩამოყალიბება გამოყენების მომენტში ხდება. ამ თვალსაზრისით, კონცეპტუალური კატეგორიის ყოველი ასპექტი არის დინამიკური კონსტრუქცია. ამ წიგნში გაზიარებულია სწორედ ეს კონცეფცია და შესაბამისი თვალსაზრისი სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ვიდრე დეტალურად განვიხილავდეთ დინამიკურ კონსტრუქციათა კონცეფციას, ჩვენ ჯერ მიმოვიხილავთ კონცეპტუალური სტრუქტურების თეორიებს, რომელთაც უდიდესი გავლენა მოახდინეს კოგნიტიური ლინგვისტიკის განვითარებაზე.

### 4.2. კატეგორიის სტრუქტურის კლასიკური მოდელი

კონცეპტუალური კატეგორიების ე.წ. კლასიკური მოდელი კატეგორიებს განსაზღვრავს როგორც აუცილებელ და საკმარის ნიშანთა სიმრავლეს. ეს ნიშნები აუცილებელია იმიტომ, რომ ისეთი ობიექტი, რომელსაც არ ახასიათებს ამ ნიშანთა მთელი სიმრავლე, არ შეიძლება იყოს მოცემული კატეგორიის წევრი და ისინი საკმარისია, რადგან, თუკი ობიექტს აქვს ყველა ეს ნიშანი, ის აუცილებლად იქნება ამ კატეგორიის წევრი. ამდენად, კატეგორია COLT ('კვიცი') შეიძლება განისაზღვროს ნიშნებით [EQUINE] ('ცხენის'), [MALE] ('მამრობითი'), [YOUNG] ('ახალგაზრდა'). ეს იდეა უძველესი დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ ფსიქოლოგებისთვის ის მას შემდეგ გახდა მისაღები, რაც ის სტრუქტურულ სემანტიკაში გამოიყენეს (Collins and Quillian (1969), მოგვიანებით კი – Katz and Fodor (1963)). კატცისა და ფოდორის სისტემაში ზოგიერთი ნიშანი ბინარულია, ზოგი – არა. ბინარულ ნიშნებს აქვთ მხოლოდ ორი მნიშვნელობა, 'არის' ან 'არ არის'. მაგალითად, FILLY-ს ('ახალგაზრდა ფაშატი') განსაზღვრება განსხვავებული იქნება COLT-ისგან სქესის მაჩვენებელი ნიშნის მიხედვით: COLT იქნება [EQUINE], [MALE+], [ADULT-] მაშინ, როდესაც FILLY იქნება [EQUINE], [MALE-], [ADULT-]; MARE ('ფაშატი') განისაზღვრება ნიშნებით [EQUINE], [MALE-], [ADULT+] და STALLION ('ულაყი') – [EQUINE], [MALE+], [ADULT+]. არაბინარული ნიშანი, როგორც არის [EQUINE], შედის სიმრავლეში, რომლის წევრებიც არიან

‘ანტონიმური ნ-ელემენტებიანი კომპლექსები’, რომლის ელემენტთაგან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნებისმიერ ინდივიდში (ე. ი. ნიშნების კომბინაცია [EQUINE] (‘ცხენის’), [CANINE] (‘ძაღლისებრთა ოჯახის’), [FELINE] (‘კატისებრთა ოჯახის’) იქნება დაუშვებელი). კატეგორიის ასეთი სტრუქტურა, როგორც წესი, გულისხმობს ე. წ. „ბუდობრივ პრინციპს“ (Hahn and Chater 1997:47), რომლის თანახმადაც დაქვემდებარებული კონცეპტის (როგორც არის ROBIN ‘მეფოლია’) განსაზღვრებაში შედის ის ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ უფრო მაღალი რიგის კონცეპტს (როგორც არის BIRD ‘ფრინველი’); კონსტრუქციულ გრამატიკაში ამას ეწოდება „მემკვიდრეობითობა“. კოლინზმა და ქილიანმა (1969) თავის „სემანტიკური მეხსიერების“ იერარქიულ მოდელში გამოიყენეს მეთოდი, სადაც კონცეპტების განსაზღვრება ხდება გარკვეული ნიშნების საფუძველზე და „ბუდობრივი პრინციპით“.

კლასიკური მოდელი კატეგორიისათვის ადგენს მკაფიო და ხისტ საზღვრებს. ეს მოდელი ასევე ითვალისწინებს ერთი კატეგორიის ჩართვას მეორის შემადგენლობაში, მაგრამ აქ შეუძლებელია კატეგორიზაციის აბსოლუტური დონეების საზღვრების ზუსტი განსაზღვრა (იხ. ქვემოთ). აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ობიექტის კლასიკური განსაზღვრება არ არის მისი სრული აღწერა ან მისი ადგილის აღწერა სამყაროში: საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი გამოცდილება და, ვთქვათ, კნუტის შესახებ ჩვენი ცოდნა და შევადაროთ ის ასეთ განსაზღვრებას: [FELINE][DOMESTIC+][ADULT-].

კონცეპტუალური კატეგორიების კლასიკურ მოდელს ბევრი ნაკლი აქვს. ყველაზე ხშირად მიუთითებენ სამ მთავარ ნაკლზე (ძირითადად სწორედ მათ გამო დაედო სათავე ალტერნატიული თეორიების განვითარებას). ჯერ ერთი, როგორც ეს უჩვენა ვიტგენშტაინმა თავისი მაგალითით (GAME), მრავალი ყოველდღიური ცნების ადეკვატური განსაზღვრა აუცილებელი და საკმარისი ნიშნების საფუძველზე უბრალოდ შეუძლებელია. ამის გარდა, სახელ bachelor-თან (‘ბერბიჭა’) დაკავშირებით ფილმორმა (1975) შენიშნა, რომ იმ ცნებებისთვისაც კი, რომელთა განსაზღვრაც თითქოს შესაძლებელია, ასეთი განსაზღვრება, როგორც წესი, მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში მოქმედებს. მეორეც, კლასიკური მოდელისთვის სერიოზული პრობლემაა ის, რასაც ჩვენ „ცენტრალურობის ხარისხს“ ვუწოდებთ, ანუ, ის ფაქტი, რომ კატეგორიის ზოგიერთი წევრი, სხვა წევრებთან შედარებით, მიიჩნევა მოცემული კატეგორიის „უკეთეს“ ან „უფრო სრულყოფილ წარმომადგენლად“ – კლასიკურ კატეგორიაში ყველა წევრი თანაბარია. კლასიკური მოდელის მესამე ნაკლად კი ის ითვლება, რომ ეს მოდელი ვერ ხსნის, თუ რატომ არის კატეგორიის საზღვრები პრაქტიკულად ყოველთვის ბუნდოვანი და ცვალებადი (მათ ხშირად აღწერენ როგორც „არამკაფიოს“, მაგრამ ჩვენ რამდენადმე განსხვავებულ ინტერპრეტაციას შემოგთავაზებთ). კატეგორიის სტრუქტურის მოდელმა უნდა

## LANGUAGE

ახსნას, თუ როგორ ვიყენებთ კატეგორიებს დამახსოვრებისას, დაგეგმვისას, მსჯელობისას და ა.შ. კლასიკური განსაზღვრება ძნელად თუ შეასრულებს ამ ფუნქციას, რადგან ის ძალზე მწირ ინფორმაციას შეიცავს.

ბუნებრივ კატეგორიებთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე თეორია, უმთავრესად ფსიქოლოგიაში, მაგრამ უდავოა, რომ კოგნიტიური ლინგვისტიკის განვითარებაზე ყველაზე დიდი გავლენა პროტოტიპთა თეორიამ მოახდინა, რომელსაც ახლა განვიხილავთ.

### 4.3. კატეგორიის სტრუქტურის პროტოტიპული მოდელი

პროტოტიპთა თეორიის პირველი ექსპერიმენტული თეორიული ნაშრომი შესრულებულია როშისა და მისი თანამშრომლების მიერ (იხ. Rosch 1973, 1978; Rosch ანდ Mervis 1975), თუმცა ეს ნაშრომი ემყარება მანამდე არსებულ კონცეფციებს, განსაკუთრებით კი ვიტგენშტაინის (1953) და ბრაუნის (1958) გამოკვლევებს.

#### 4.3.1. ცენტრალურობის ხარისხი

კატეგორიის ფარგლებში ყველა წევრს არა აქვს თანაბარი სტატუსი. ჩვენი ინტუიცია გვკარნახობს, რომ კატეგორიის ზოგიერთი წევრი სხვებზე უკეთ წარმოადგენს მოცემულ კატეგორიას. ნიმუშები, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოადგენენ კატეგორიას, შეიძლება ჩაითვალოს კატეგორიის ყველაზე ცენტრალურ წევრებად. არსებობს კოგნიტიური ფსიქოლოგების არაერთი ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელიც „ნიმუშის სრულყოფილების“ ცნებას უკავშირდება (Goodness-Of-Exemplar; შემოკლებით – GOE). ყველაზე ხშირად ასეთ ექსპერიმენტს მიმართავენ: ცდისპირებს უსახელებენ კატეგორიას და სთავაზობენ ამ კატეგორიის სავარაუდო წევრების სიას, შემდეგ კი სთხოვენ ყოველ წევრს მიუწერონ რომელიმე რიცხვი 1-დან 7-მდე იმისდა მიხედვით, თუ ამ კატეგორიის რამდენად კარგი მაგალითია მოცემული წევრი. 1-ით აღინიშნება ძალიან კარგი მაგალითი, 7 კი ნიშნავს იმას, რომ ის არის ყველაზე სუსტი მაგალითი ან რომ ის საერთოდ არ წარმოადგენს ამ კატეგორიას, როგორც ნიმუში. როგორც ირკვევა, ცდისპირები ადვილად ხვდებიან, თუ რისი გაკეთება მოეთხოვებათ ამ პროცესში. გარდა ამისა, რამდენადაც პირები შერჩეულნი არიან მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ენობრივი ერთობიდან, შედეგები სტაბილურად ჯგუფდება ერთი განსაზღვრული შეფასების ირგვლივ (სხვა სიტყვებით, ცდისპირები არ პასუხობენ ალაღბედზე). დიდი რაოდენობის ცდისპირთა პასუხების შეჯგურებით შეიძლება დადგინდეს ის ნიმუშები, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოადგენენ კატეგორიებს: ჩვეულებრივ, მათ **პროტოტიპებს** ან კატეგორიის **პროტოტიპულ წევრებს** უწოდებენ. მაგალითად, თუ ავიღებთ კატეგორიას VEGETABLE ('ბოსტნეული'), სხვადასხვა ერთეულების რეიტინგი (ბრი-

ტანელი ცდისპირების პასუხების მიხედვით) ასეთი შეიძლება იყოს (ეს ცხრილი წარმოადგენს ერთ-ერთი ავტორის მიერ შედგენილ რეიტინგს):

	GOE
LEEK ('prasi'), CARROT ('სტაფილო')	1
BROCCOLI (კომბოსტოს სახეობა), PARSNIP ('ძირთეთრა')	2
CELERY ('ნიახური'), BEETROOT ('ჭარხალი')	3
AUBERGINE ('ბადრიჯანი'), COURGETTE ('ყაბაყი')	4
PARSLEY ('ობრაახუმი'), BASIL ('ბაზილიკი')	5
RHUBARB ('რევანდი')	6
LEMON ('ლიმონი')	7

GOE-ს მაჩვენებელი შეიძლება დიდად იყოს დამოკიდებული კულტურაზე. (ობიექტის „კარგი ცოდნა“ უეჭველად ახდენს გავლენას GOE-ს მაჩვენებელზე, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დაიყვანება ხსენებულ ფაქტორზე). მაგალითად, ბრიტანელთა შორის (ვთქვათ, უფროსკურსელთა ტიპიურ ჯგუფში) DATE ('ფინიკი'), როგორც FRUIT ('ხილი') კატეგორიის წევრი, ჩვეულებრივ იღებს ნიშანს 3–5 მაშინ, როდესაც იორდანული აუდიტორია მას ერთსულოვნად უწერს 1-ს.

GOE-ს მაჩვენებელთა ღირებულება დადასტურდა იმ ექსპერიმენტების შედეგად, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ის მნიშვნელოვანწილად შეესაბამება მოცემული ობიექტის დამოუკიდებელ თვისებებს. გთავაზობთ რამდენიმე ასეთ თვისებას („GOE-ს მაღალი მაჩვენებელი“ ნიშნავს, რომ ის ახლოა 1-თან):

(i) *სიხშირე და დასახელების რიგი*. როდესაც ცდისპირებს სთხოვენ ჩამოთვალონ მოცემული კატეგორიის რაც შეიძლება მეტი წევრი (ჩვეულებრივ, შეზღუდული დროის განმავლობაში), ამა თუ იმ ობიექტის დასახელების საერთო სიხშირე მკაცრად შეესაბამება მის GOE-ს მაჩვენებელს, ხოლო ამავე სივრცეში ობიექტთა რიგითობა მათი GOE-ს მაჩვენებლების ინვერსიულია.

(ii) *ათვისების თანმიმდევრობა*. როგორც წესი, ბავშვები კატეგორიის პერიფერიულ წევრებზე უფრო ადრე მის პროტოტიპულ წევრებს ითვისებენ. (ეს შეიძლება უბრალოდ დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რომელი სიტყვები ესმით მათ უფრო ხშირად).

(iii) *კლასობრივი მსგავსება*. სიაში GOE-ს მაღალი მაჩვენებლების მქონე ერთეულებს, GOE-ს დაბალი მაჩვენებლების მქონე ერთეულებთან შედარებით, აქვთ **კლასობრივი მსგავსების** უფრო მაღალი ხარისხი (რაც საზიარო ნიშნების რაოდენობით გამოიხატება) იმავე კატეგორიის სხვა წევრებთან და მსგავსების უფრო და-



## LANGUAGE

ბალი ხარისხი – სხვა კატეგორიების წევრებთან.

(iv) *ვერიფიკაციის სიჩქარე*. ტიპიურ ექსპერიმენტებში ცდისპირების წინაშე ეკრანზე წამიერად გამოჩნდება ორი სიტყვა. მათი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად უპასუხონ „დიახ“, თუ მეორე სიტყვა აღნიშნავს იმ კატეგორიის წევრს, რომელიც აღინიშნა პირველი სიტყვით, და „არა“ – წინააღმდეგ შემთხვევაში [მაგ. VEGETABLE: CARROT, VEHICLE: CHAIR ('ბოსტნეული: სტაფილო, ტრანსპორტი: სკამი')]. ხდება ცდისპირთა პასუხების სიჩქარის გაზომვა. ირკვევა, რომ პასუხები უფრო სწრაფია იმ ერთეულების შემთხვევაში, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი GOE მაჩვენებელი.

(v) *პრაიმინგი*. პრაიმინგის ექსპერიმენტებში ხშირად იყენებენ **ლექსიკურ ამოცანას**: ცდისპირს წარუდგენენ ასოთა რიგს და მან რაც შეიძლება სწრაფად უნდა უპასუხოს, არის თუ არა სიტყვა ასოთა მოცემული რიგი. თუკი იქამდე, ვიდრე ცდისპირს უშუალოდ წარუდგენდნენ საცდელ ერთეულს, მას უჩვენებენ ამ ერთეულთან სემანტიკურად დაკავშირებულ სიტყვას ან თვით ამ ერთეულს (სიტყვას), ცდისპირები პასუხობენ უფრო სწრაფად. ეს მოვლენა **პრაიმინგის** სახელითაა ცნობილი. ჩვენთვის საინტერესოა ის შემთხვევა, როცა წინასწარ ნაჩვენები სიტყვა არის კატეგორიის სახელი, მაგალითად, FRUIT ('ხილი'). ვუნოდოთ „პრაიმინგის ეფექტი“ პასუხის დაჩქარების მაჩვენებელს. პრაიმინგის ეფექტი შეესაბამება კატეგორიის წევრის GOE-ნიშანს, ანუ ბრიტანელებისთვის FRUIT უფრო მეტად დააჩქარებს APPLE-თან ('ვაშლი'), ვიდრე DATE-თან ('ფინიკი') დაკავშირებულ პასუხს.

ფსიქოლინგვისტური ცვლადები, როგორებიცაა ვერიფიკაციის სიჩქარე და პრაიმინგი, ითვლება GOE-ს განსაკუთრებით ღირებულ კორელატებად, რადგან ცნობიერება მათ ვერ აკონტროლებს და ამიტომაც მათში ვლინდება კატეგორიის გაუცნობიერებელი თვისებები.

მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ერთეულის GOE-მაჩვენებელსა და კატეგორიაში მისი **წევრობის ხარისხის** (degree of membership, შემოკლებით – DOM) ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ზოგი მათგანის აზრით, ერთეულისთვის GOE-ნიშნების მიწერით ცდისპირები მას ფაქტიურად DOM-ის ნიშნებსაც უწერენ. მაგრამ მთლად ასეც არ არის. მათ მხოლოდ ის სთხოვეს, რომ შეეფასებინათ, თუ რამდენად კარგად წარმოადგენს ერთეული შესაბამის კატეგორიას, როგორც მისი წევრი. აქედან პირდაპირ ვერ დავასკვნით, რომ ცდისპირები ამ შემთხვევაში DOM-ნიშნებს წერენ. ისინი, ვინც ეწინააღმდეგებიან GOE-სა და DOM-ის გაიგივებას (მაგ. Lakoff [1987:45], Pulman [1983], Cruse [1992b]), მიუთითებენ ისეთ მაგალითებზე, როგორიცაა OSTRICH ('სირაქლემა') კატეგო-

რია BIRD ('ფრინველი'). როგორც ისინი აღნიშნავენ, უდავოა, რომ სირაქლემა არის BIRD კატეგორიის სავსებით კანონიერი წევრი, მაგრამ ამავე დროს აქვს ამკარად დაბალი GOE-მაჩვენებელი და ამდენად, ეს ორი პარამეტრი, როგორც ჩანს, ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. უნგერერი და შმიდი (1996) აცხადებენ, რომ ისინი აქ პრობლემას ვერ ხედავენ, მაგრამ ნათელსაც არ ჰფენენ ამ საკითხს. ტეილორი 1989, [1997] ამტკიცებს, რომ OSTRICH-ის ორივე ეს შეფასება უკავშირდება DOM-ს, მაგრამ ამ შეფასებებისას გულისხმობენ ორ განსხვავებულად აგებულ კატეგორიას. სირაქლემა განიხილება ისეთი „მეცნიერული“ კატეგორიის (BIRD) სრულ წევრად, რომელსაც აქვს წევრობის ზუსტი კრიტერიუმი; როცა მას განიხილავენ „მეტ-ნაკლებ“ წევრად, მხედველობაში აქვთ ჩვეულებრივი BIRD კატეგორია, რომელსაც არ გააჩნია წევრობის ზუსტი კრიტერიუმი. ჩვენი აზრით, ეს საკმაოდ მახვილგონივრული შენიშვნაა და ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ არსებობს სხვადასხვაგვარად აგებული კატეგორიები, რომლებიც ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნება; მაგრამ ტეილორის ახსნა, თუ მას უფრო დეტალურად განვიხილავთ, ნამდვილად ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კატეგორიული („დაახ/არა“) გადანყვეტილებები და გრადაციული („რალაც ხარისხით“) გადანყვეტილებები თანაარსებობენ როგორც ალტერნატიული სქემები მრავალ სემანტიკურ ველში. ავიღოთ, მაგალითად *dead* ('მკვდარი') და *alive* ('ცოცხალი'). ველი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ 'vital status' ('სასიცოცხლო მდგომარეობა') ხშირად კონსტრუირებულია დიქტომიურად: გამოთქმა *John is dead* ('ჯონი მკვდარია') აფიქსირებს იმ ფაქტს, რომ *John is not alive* ('ჯონი არ არის ცოცხალი'). მაგრამ ასევე შესაძლებელია ვთქვათ, რომ *John is more alive than Mary* ('ჯონი უფრო ცოცხალია, ვიდრე მერი'). ეს არ ცვლის მოცემულ ველს, მაგრამ გრადაცია შეაქვს მასში. იგივე ეხება კატეგორიის წევრობასაც. BIRD-ის შემთხვევაში (იმისდა მიუხედავად, კონსტრუირებულია ის როგორც „სამეცნიერო“ კატეგორია, თუ – როგორც ჩვეულებრივი) ყველაფერი, რაც კი საზღვრის შიდა მხარესაა, არის კატეგორიის ფარგლებში, მაგრამ იმავე დროს, ცვალებადი „ცენტრალურობა“ საშუალებას იძლევა ჩავთვალოთ, რომ ზოგიერთი ობიექტი უფრო მეტად შედის კატეგორიაში, ვიდრე სხვები. ასე რომ, გარკვეული გამართლება შეიძლება ჰქონდეს GOE-ს ინტერპრეტაციას DOM-ად.

ამავე დროს, ინტუიციურად რამდენადმე მიუღებელია იმის მტკიცება, რომ, მაგალითად, სირაქლემა მხოლოდ 30%-ითაა ფრინველი და, ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ტერმინ DOM-ს დისტინქციური თვისებისთვის შემოვინახავთ. კატეგორია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც კონტინერი (მაგალითად, თუ მოცემულ ველს წარმოვიდგინებთ ლაკოფისეულ CONTAINER-ად). რა უნდა მოგვივიდეს აზრად, როცა ობიექტის აღწერისას გვეუბნებიან, რომ ის კონტინერშია 30%-ით? უთუ-

## LANGUAGE

ოდ, რაიმე პლუმის დათუნის მაგვარი, რომლის რაღაც ნაწილი სათამაშო ყუთის შიგნითაა, რაღაც კი – მის გარეთ და არა ის, რომ ეს რაღაც ყუთის კედესთან უფრო ახლოა, ვიდრე მის ცენტრთან. არსებობს კატეგორია, რომელიც ამ სურათს მოგვაგონებს. როდესაც ვამბობთ, რომ, მაგალითად, მღვდელი გარკვეულწილად არის სოციალური სფეროს მუშაკი, ჩვენ რეალურად მხოლოდ ნაწილობრივად ვათავსებთ მას კატეგორიის შიგნით (ix. Lakoff 1973). ერთი სიტყვით, ჩვენ იმგვარად ვაგებთ კატეგორიებს PRIEST ('მღვდელი') და SOCIAL WORKER ('სოციალური სფეროს მუშაკი'), რომ ხდება მათი ნაწილობრივი ურთიერთგადაფარვა. ალბათ უმჯობესია, DOM-ს სწორედ ასეთი კონცეფცია დაედოს საფუძვლად (შნ: აქ DOM-ის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რომელსაც კრუზთან ვხვდებით: Cruse 1992).

DOM-თან დაკავშირებული ექსპერიმენტების შედეგად ჩნდება ორი პრობლემა. პირველი მათგანი შეეხება იმას, თუ რა იგულისხმება ექსპერიმენტების დროს გამოყენებულ ისეთ ფრაზაში, როგორც არის, მაგალითად, „რამდენად კარგია X როგორც Y კატეგორიის ნიმუში?“ ზუსტად რას უნდა ნიშნავდეს „რამდენად კარგია?“ ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტყვები „კარგი“ და „უკეთესი“ არ იწვევს კომუნიკაციის პრობლემებს. მაგალითად, ძაღლის „სიკარგე“, თუ ლაპაკია პატარა ბავშვის ლეკვზე, განსხვავებულია იმ „სიკარგისგან“, რომელსაც ვგულისხმობთ სახლის ან ფერმის დამცველ ძაღლზე საუბრისას. ეს არ ანგრევს GOE-ს ცნებას, მაგრამ აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, თუკი მართლაც გვინდა მივიღოთ მნიშვნელოვანი შედეგები, აუცილებლად უნდა ვიმსჯელოთ ორივე კატეგორიის წარმოსახვით კონსტრუქციებსა და „კარგის“ მნიშვნელობაზე. ამ დროს შეიძლება გამოვლენილ იქნეს სიკარგის თუნდაც ნაწილობრივ განსხვავებული ცნებები (იხ. მაგალითად, Lakoff 1987:84–90). ჩამოვთვლით ძირითად ტიპებს:

(i) *ტიპიურობა/რეპრეზენტულობა*. გვიჩვენებს რამდენად ზუსტი/გამოსადეგია კატეგორიის ის ცნება, რომელსაც ვიღებთ მისი მხოლოდ ერთი ქვეკატეგორიის ცოდნით. ეს განზომილება აშკარად უკავშირდება სიხშირეს. ლაკოფი აღნიშნავს, რომ ჩვენ, როგორც წესი, ვახდენთ თვისებების განზოგადებას ტიპიური წევრიდან არატიპიურზე გადასვლისას და არა პირიქით. გარკვეულ შემთხვევებში რომელიმე ჩვენთვის კარგად ცნობილი ცალკეული წევრი შეიძლება მივიჩნიოთ კლასის ტიპიურ წევრად (მაგალითად, თუ ჩვენი ცოდნა მოცემული კლასის შესახებ არასრულყოფილია).

(ii) *სიახლოვე იდეალთან*. ეს უკავშირდება იმას, რასაც კრუზი (Cruse 1990) უწოდებს „ხარისხს“. ის განიხილავდა ზურმუხტების მაგალითს. უმაღლესი ხარისხის ზურმუხტებს აქვთ ღრმა, ინტენსიური ფერი და არ აქვთ ბზარები; მაგრამ ასეთი ხარისხის ზურმუხტები ძალზე იშვიათად გვხვდება (ამასთანავე ზურ-



მუხტი რაც უფრო დიდია, მით უფრო იშვიათია). ასე რომ, ისინი ტიპიურად ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლებიან. როგორც ლაკოფი შენიშნავს, იდეალზე ორიენტირება ხდება მრავალ სფეროში. ის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს აბსტრაქტულ თვისებათა სიმრავლედ, როგორც ეს არის ზურმუხტების შემთხვევაში, ან შეიძლება ცალკეული ინდივიდის (ლაკოფის ტერმინოლოგიით – „ნიმუში“) ირგვლივ იყენენ თავმოყრილი.

(iii) *სტერეოტიპულობა*. არსებობს საინტერესო განსხვავება სტერეოტიპულობასა და ტიპიურობას შორის, მაგრამ ამ განსხვავების დამაჯერებელი ახსნა ჯერაც არავის მოუცია. ლაკოფის განმარტება (1987:85—6) უფრო ჰიპოთეტურია და მას სრულყოფილ ახსნას ვერ დავარქმევთ. ლაკოფი თვლის, რომ როგორც წესი, რომელიმე ობიექტს როგორც ტიპიურს აღიქვამენ გაუცნობიერებლად და ავტომატურად, ხოლო სტერეოტიპების ფორმირება გაცნობიერებულად ხდება: ეს სიმართლეს ჰგავს. ის ამავე დროს აღნიშნავს, რომ სტერეოტიპები იცვლება, ხოლო ტიპობრიობა, როგორც წესი, სტაბილურია ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ ტიპიურობა იცვლება რეალობის ცვლილებასთან ერთად (მაგალითად, ტიპიური მანქანის, კომპიუტერის ან ფოტოაპარატის ცნება), მაშინ როდესაც სტერეოტიპები, ხშირ შემთხვევაში, უძლებენ დროის ცვლილებებს. სტერეოტიპები, ჩვეულებრივ, შეფასებით მახასიათებლებთან არიან დაკავშირებული.

რაც შეეხება მეორე პრობლემას: არაერთ კლასიკურ ექსპერიმენტში კატეგორიის წევრებად ქვეკატეგორიები უფრო განიხილება, ვიდრე ინდივიდები: მაგალითად, ცდისპირებს GOE-ნიშნების მისაწერად ეძლევათ კატეგორია FRUIT ('ხილი') და ხილის ტიპების ჩამონათვალი – APPLE ('ვაშლი'), STRAWBERRY ('მარწყვი'), MANGO ('მანგო'), PASSION FRUIT ('პასიფლორა'), DATE ('ფინიკი'), OLIVE ('ზეთისხილი') და ა.შ. სხვა ექსპერიმენტები გულისხმობს ინდივიდებს, მაგალითად, რომის მიერ ჩატარებული ცდები პროტოტიპულ ფერებთან დაკავშირებით (Heider 1971, 1972, da Berlin da Kay 1969) და სხვ. ინდივიდუალურ ობიექტებს – და არა კატეგორიის სახელებს – იყენებენ იმ ექსპერიმენტებშიც, რომლებშიც პატარა ბავშვები მონაწილეობენ. ამ სხვაობის უგულებელყოფა არ შეიძლება. გარკვეული კატეგორიების გამოყენება სხვა კატეგორიების წევრ-წარმომადგენლის ფუნქციით აბუნდოვანებს იმ თვისებებს, რომლებსაც შეიძლება მოიცავდეს „სიკარგის“ ცნება (ფრაზიდან: „რამდენად კარგია X როგორც Y კატეგორიის ნიმუში?“). ეს ეხება ზემოხსენებულ ხარისხის ცნებასაც. ასევე გასათვალისწინებელია „ნორმასთან შესაბამისობის“ თვისება: გასაგებია, რომ ვაშლი არის ხილის საუკეთესო მაგალითი, მაგრამ თუ ეს ვაშლი დამპალია? როცა საქმე ინდივიდუალურ ობიექტებს ეხება, „ნორმასთან შესაბამისობა“ შეიძლება განვიხილოთ „სიკარგის“ ნაირსახეობად.

### 4.3.2. კონცეპტუალური კატეგორიების წარმოდგენა

პროტოტიპთა თეორია წარმოდგენილია ორი ძირითადი ვარიანტით (ფსიქოლოგ ჰემპტონის მიხედვით – Hampton 1997). ორივე ვარიანტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ცენტრალურობის ხარისხისა“ და „საუკეთესო ნიმუშის“ ურთიერთდაკავშირებულ ცნებებს (ლინგვისტები, როგორც წესი, მკვეთრად არ განასხვავებენ ერთმანეთისაგან ამ ორ ვარიანტს). პირველ ვარიანტში ცნება განისაზღვრება კატეგორიის წევრების მახასიათებელ ნიშანთა ჩამონათვალის საფუძველზე. ეს კლასიკურ განსაზღვრებას მოგვაგონებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პროტოტიპულ ფორმულირებაში მახასიათებელი ნიშნები შეიძლება არც აკმაყოფილებდნენ აუცილებლობისა და საკმარისობის პირობას (თუმცა კონკრეტული ნიშნები შესაძლოა აკმაყოფილებდეს კიდეც ასეთ პირობებს). კატეგორიაში მოცემული ერთეულის ცენტრალურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი რელევანტური ნიშანი ახასიათებს ამ ერთეულს: რაც უფრო მეტი ასეთი ნიშანი აქვს მას, მით უფრო კარგი ნიმუში იქნება ის მოცემული კატეგორიისთვის. ამა თუ იმ ნიშნის დაფიქსირება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი ამ ნიშნის არსებობა განაპირობებს ობიექტის უფრო მაღალ GOE-რეიტინგს. ზოგ ვარიანტში მახასიათებელი ნიშნები ფასდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად განსაზღვრავენ ისინი ობიექტის ცენტრალურობას. ასეთ ვარიანტებში მოცემულია ნიშანთა კვალიფიკაციის საერთო შკალა, რომელიც ასახავს მათ რელევანტურობას კატეგორიაში ობიექტის წევრობის ხარისხის განსაზღვრისას. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კატეგორიის არც ერთ წევრს არ ჰქონდეს ყველა პროტოტიპული ნიშანი. ასეთ შემთხვევაში კატეგორიის ბირთვი წარმოდგენილია იმ წევრით ან წევრებით, რომლებსაც აქვთ ყველაზე მეტი ასეთი მახასიათებელი ნიშანი (მაშინ ნამდვილი პროტოტიპი იქნება ისეთი იდეალური ობიექტი, რომელსაც ახასიათებს ამ ნიშანთა სრული სიმრავლე).

პროტოტიპთა თეორიის მეორე ვარიანტი ემყარება მსგავსების ცნებას. ამა თუ იმ კონცეპტს აქ წარმოადგენს მისი იდეალური ეგზემპლარი და სხვა ობიექტთა წევრობა და ცენტრალურობა განისაზღვრება პროტოტიპთან მათი მსგავსების მიხედვით. ჰემპტონი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პროტოტიპთა თეორიის ეს ორი ვარიანტი არ არის ეკვივალენტური. ისეთი მარტივი კონცეპტების შემთხვევაში, რომლებიც გულისხმობენ ფერს ან ფორმას, უფრო გამოდგება მსგავსებაზე დაფუძნებული მიდგომა, ხოლო ისეთი რთული კონცეპტების ახსნისას, როგორიცაა, მაგალითად, BIRD ('ფრინველი') ან VEHICLE ('სატრანსპორტო საშუალება'), უმჯობესია მახასიათებელ ნიშანთა ჩამონათვალზე დაფუძნებული წარმოდგენა (იხ. Hampton 1997:88). პროტოტიპთა თეორიის ის ვარიანტი, რომელიც ემყარება მახასიათებელ ნიშანთა ჩამონათვალს, ხსნის ისეთ ვიტგენშტაინისეულ კატეგორიებს, როგორიც არის GAME, რომლის განსაზღვრებაც შეუძლებელია აუცილებელ და საკმარის ნიშანთა საფუძველზე, მაგრამ რომ-

ლისთვისაც რელევანტურია კლასობრივი მსგავსების მიმართებები. ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევებში საერთოდ არ არსებობს აუცილებელ და საკმარის ნიშანთა სიმრავლე, იმითაც დასტურდება, რომ, როცა ცდისპირებს სთხოვენ ჩამოთვალონ კატეგორიის დამახასიათებელი ნიშნები, ისინი არ იფარგლებიან იმ ნიშნებით, რომლებიც აქვს კატეგორიის ყველა წევრს და ამავე დროს ასახელებენ ისეთ ნიშნებსაც, რომლებიც ახასიათებს კატეგორიის წევრთა მნიშვნელოვან უმრავლესობას. როგორც ჰემპტონი აღნიშნავს, ამ თეორიის ორივე ვარიანტი დამაკმაყოფილებლად ხსნის „ზღვრული“ ობიექტების არსებობას. და მაინც, გაუგებარია, რატომ შეიძლება აიგოს უფრო მეტი „ზღვრული“ ნიმუშები ისეთ სისტემაში, სადაც კატეგორიის წევრობა დამოკიდებულია Y სიიდან აღებულ X ნიშანთა არსებობაზე (მოცემულ ობიექტში), ვიდრე ისეთ სისტემაში, სადაც წევრობა დამოკიდებულია Y სიიდან აღებულ Y ნიშნების არსებობაზე? მეორე მხრივ, შეგვიძლია ვნახოთ, თუ როგორ წარმოშობს მსგავსებაზე დაფუძნებული სისტემა „ზღვრულ“ შემთხვევებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ გამუდმებით იცვლება მსგავსების კრიტერიუმები.

### 4.3.3. კატეგორიზაციის დონეები

პროტოტიპთა თეორია ასევე გულისხმობს კატეგორიზაციის დონეების არსებობას. კატეგორიები გვხვდება ინკლუზიურობის სხვადასხვა დონეზე, უფრო სპეციფიკური კატეგორია შედის უფრო ინკლუზიურის ფარგლებში:

- (1) a. მიმოსვლის საშუალება – **მანქანა** – ჰენჩეკი
- b. ხილი — **ვაშლი** – გრენი სმითი (ვაშლის ჯიში)
- c. ცოცხალი ორგანიზმი — არსება — ცხოველი — **ქალღი** — სპანიელი
- d. საგანი – იარაღი – საჭრელი იარაღი – **დანა** – პურის დანა
- e. საგანი – ავეჯი – **მაგიდა** – ბანქოს მაგიდა

ჩვეულებრივ, ყოველ ასეთ რიგში არსებობს სპეციფიკაციის ისეთი დონე, რომელსაც ეწოდება **ბაზისური** (Rosch et al. 1976) ან **კლასობრივი** (Berlin et al. 1973) და მას აქვს განსაკუთრებული სტატუსი და მნიშვნელობა (ბაზისური დონის ერთეულები (1)-ში დაბეჭდილია მუქი კურსივით). ბაზისური დონის გარდა, როგორც წესი, გამოყოფენ სპეციფიკაციის ორ სხვა დონესაც – **სუპერორდინალურსა** და **სუბორდინალურს**. მათი განსაზღვრა არ ხდება ჯაჭვში მათი ადგილის მიხედვით – არსებობს სხვა დამოუკიდებელი მახასიათებლები, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებენ ამ დონეებს. (უფრო დანვრილებით კონცეპტების იერარქიული სტრუქტურის შესახებ იხ. Murphy and Lassaline 1997).

## LANGUAGE

### 4.3.3.1 ბაზისური დონის კატეგორიები

ბაზისური დონის ერთეულების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია:

- (i) ეს არის ყველაზე ინკლუზიური დონე, რომელსაც უკავშირდება ქცევის განსაკუთრებული მოდელები.

უფრო გასაგები რომ იყოს, წარმოვიდგინოთ, რომ ვინმეს სთხოვეს შესტებით გამოხატოს, თუ როგორ იქცევა, ვთქვათ, **ძალღოან**: ეს ძალიან ძნელი არ უნდა იყოს – ადამიანთა უმრავლესობა ახდენს ძალღისთვის ხელის გადასმის ან მოთათუნების იმიტაციას. მაგრამ ვინმეს თუ ვთხოვდით ეჩვენებინა, როგორ მოიქცეოდა **ცხოველთან**, მას ეს ძალზე გაუჭირდებოდა, თუ არ ვეცოდით, კონკრეტულად რომელ ცხოველს ვგულისხმობთ. იგივე შეიძლება ითქვას *ავეჯისა* და *სკამის*, *კოვზისა* და *ნაკეთობის* შესახებ.

- (ii) ყველაზე ინკლუზიური დონე, რომელიც მკაფიოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ ვიზუალურად.

ვთქვათ, ვინმეს სთხოვეს ვიზუალურად წარმოვიდგინოს რომელიმე კატეგორიის წევრი: ეს არ იქნება ძნელი ზოგადად ძალღის, სკამის ან ვაშლის შემთხვევაში, მაგრამ ამის გაკეთება ფაქტიურად შეუძლებელია ზოგადად ცხოველის, ავეჯის ან ხილისთვის, თუ ის არ იქნა დაკონკრეტებული. ამ დონეზე ასევე ყველაზე სწრაფად ხდება სურათისა და შესაბამისი სიტყვის დანყვილება.

- (iii) ყველაზე ინკლუზიური დონე, სადაც ამკარადაა გამოკვეთილი მიმართება ნაწილი-მთელი.

აქ ასევე იგულისხმება მიმართებები ნაწილებს შორის. ხელოვნურ საგანთა ყველაზე სუპერორდინალური კატეგორიებისთვის, როგორიცაა **TOOL** ('სამუშაო იარაღი'), **CUTLERY** ('დანა-ჩანგალი'), **CLOTHES** ('ტანსაცმელი') ან **FURNITURE** ('ავეჯი'), არ არსებობს ნაწილი-მთელი მიმართების ზოგადი სტრუქტურა. ბიოლოგიურ სუპერორდინალურ კატეგორიებს ამ მხრივ მეტი რეგულარობა ახასიათებთ, მაგრამ აქ მიმართებები ნაწილებს შორის ბევრად უფრო ნაკლებად ექვემდებარება განზოგადებას.

- (iv) დონე, რომელიც ხშირად ენაცვლება სხვა დონეებს (მათი ნეიტრალიზაციის კონტექსტში).

სპეციფიკაციის ჯაჭვი, ისეთი, როგორიც წამოდგენილია (1)-ში, იძლევა მთელ რიგ ტერმინებს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ცალკეულ ინდივიდთა

აღსანიშნავად. ამგვარად, ცალკეული ძალის შეიძლება იმავდროულად იყოს სპანიელიც, ძალიც და ცხოველიც. და მაინც, თუ არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული კომუნიკაციური საჭიროება, ობიექტის აღსანიშნავად, როგორც წესი, გამოიყენება ბაზისური დონის ტერმინი (დეტალურად იხ. Cruse 1977).

(2) A: გარეთ რაღაც ხმაურია

B: ეს ძალი/?სპანიელი/?ცხოველი იქნება

ბაზისური დონის ტერმინებს (ე.ი., ტერმინებს, რომლებიც, როგორც წესი, წარმოადგენენ ბაზისური დონის კატეგორიებს) მოლაპარაკებები ხშირად რეფერენტის 'რეალურ' სახელად მიიჩნევენ. როგორც ენათშორისი კვლევები გვიჩვენებს, როგორც წესი, ეს ტერმინები სხვა დონის ტერმინებზე უფრო მოკლეა, ჩვეულებრივ მონომორფემულია და ძირეულია იმ გაგებით, რომ არ არის ნასესხები სხვა სფეროებიდან მნიშვნელობის მეტაფორული გაფართოების შედეგად (Berlin et al. 1973). ამასთან, მათ უფრო ხშირად იყენებენ მშობლები ბავშვებთან საუბრისას და ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ბავშვები პირველად სწორედ ამ სიტყვებს სწავლობენ.

(v) ცალკეული ერთეულების კატეგორიზაცია უფრო სწრაფად ხდება ბაზისური დონის კატეგორიის წევრებად, ვიდრე სუპერორდინალური ან სუბორდინალური კატეგორიის წევრებად.

მაგალითად, ფოტოზე გამოსახული სპანიელი უფრო სწრაფად იქნება კატეგორიზებული როგორც ძალი, ვიდრე როგორც ცხოველი ან სპანიელი.

ყველა ეს თვისება უშუალოდ გამომდინარეობს იქიდან, რასაც მერფი და ლესელინი (Murphy and Lassaline (1997:106—7) ბაზისური დონის თვისებების „განსხვავებების ახსნას“ უწოდებენ. ბაზისური დონის კატეგორიები წარმოადგენენ საუკეთესო კატეგორიებს, რომლებაც შეიძლება დაიყოს უშუალო სუპერორდინალური კატეგორია შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- განსხვავებულობის ხარისხი მოცემული კატეგორიის წევრებსა და მეზობელი კატეგორიების წევრებს შორის;
- შინაგანი ჰომოგენურობა, ე.ი. რამდენად ჰგვანან ერთმანეთს ამ კატეგორიის წევრები;
- ინფორმაციულობა, ე.ი., რა რაოდენობის დამატებით ინფორმაციას შეიცავს ის იმასთან შედარებით, რასაც სუპერორდინალური ტერმინი იძლევა;

განვიხილოთ ტერმინები *ცხოველი*, *ძალი* და *სპანიელი*. კატეგორია ANIMAL

## LANGUAGE

(‘ცხოველი’) საკმაოდ განსხვავდება ისეთი მეზობელი კატეგორიებისგან, როგორცაა BIRD (‘ფრინველი’), FISH (‘თევზი’) და INSECT (‘მწერი’) და ინფორმაციულიცაა, მაგრამ მსგავსების ხარისხი მის წევრებს შორის უფრო დაბალია, ვიდრე კატეგორიაში DOG (‘ძაღლი’). კატეგორიაში SPANIEL (‘სპანიელი’) მაღალია წევრებს შორის მსგავსების ხარისხი, მაგრამ მისი წევრები ნაკლებად განსხვავდებიან მეზობელი კატეგორიის წევრებისაგან და მისი ინფორმაციულობის დონეც უფრო დაბალია. კატეგორიას DOG (‘ძაღლი’) მაღალი ადგილი უჭირავს ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

### 4.3.3.2. სუპერორდინალური დონის კატეგორიები

სუპერორდინალურ კატეგორიებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები (მიაქციეთ ყურადღება: ტერმინი ‘სუპერორდინალური’ აქ არ იხმარება წმინდა რელაციური ტერმინის ‘ჰიპერონიმურის’ გაგებით):

- (i) სუპერორდინალური კატეგორიები ბაზისური დონის კატეგორიებთან შედარებით ნაკლებად „კარგი“ კატეგორიებია, რადგან მართალია, მისი წევრები საკმაოდ განსხვავდებიან მეზობელი კატეგორიების წევრებისგან, მაგრამ კატეგორიის ფარგლებში მსგავსება შედარებით ნაკლებია.
- (ii) სუპერორდინალურ კატეგორიებს აქვთ ბაზისური დონის კატეგორიებზე ნაკლები განმსაზღვრელი მახასიათებლები.

როშის ექსპერიმენტებში (1976), სადაც ცდისპირებს სთხოვდნენ ჩამოეთვალათ ბაზისური დონის ერთეულების მახასიათებლები, მხოლოდ რამდენიმე მათგანი თუ გამოდგებოდა სუპერორდინალური კატეგორიის განმსაზღვრელ ნიშნად. მაგრამ როგორც კრუზი აღნიშნავს (Cruse 1992b), ეს, ალბათ, არ არის საუკეთესო გზა იმისთვის, რომ გამოვლინდეს სუპერორდინალური კატეგორიების მახასიათებლები. კატეგორიის ყველაზე გამოკვეთილი ნიშნები არიან ისინი, რომლებიც განასხვავებენ მას ამოსავალი კონტრასტული სიმრავლის სხვა წევრებისგან. მაგალითად, ცხენის გამოკვეთილი ნიშნები არიან სწორედ ის ნიშნები, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა ცხოველებისგან. ცდისპირებისთვის რომ ეთხოვათ, ჩამოენერათ ცხენის მახასიათებელი ნიშნები, ნაკლებად სავარაუდოა, დაენერათ ‘აქვს ჩონჩხი’, ‘სუნთქავს’ და ა.შ., რადგან ეს ნიშნები ახასიათებთ კონტრასტული სიმრავლის სხვა წევრებსაც; უფრო სავარაუდოა, მათ აღენიშნათ, რომ ‘მასზე ამხედრება შეიძლება’, ‘აქვს ფაფარი’, ‘აქვს გრძელი კუდი’, ‘ჭიხვინებს’ და ა.შ. კატეგორია ცხომლის მნიშვნელოვანი მახასიათებლების მისაღებად მხოლოდ ერთი გზა არსებობს: ის უნდა დაეუპირისპიროთ ისეთ კატეგორიებს, როგორცაა თიქვი, მცენარე, მწერი. იგივე ეხება აპიქსალს: არა აქვს აზრი, ამ კატეგორიის რელევანტური ნიშნები ინფორმანტების იმ პასუხებში ვეძებოთ, რომლებიც ეხება სკამს, მაგიდას და



მისთ. უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ მათ ვკითხავთ, რა ნიშნები ასხვავებენ ავეჯს, ვთქვათ, ფარდებისგან, ხალიჩებისგან, ხელსაწყოებისგან, ბუხრებისგან და ფანჯრებისგან. ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ავეჯი პროტოტიპულად არის მყარი (განსხვავებით ხალიჩებისგან), შეიძლება მისი გადაადგილება (განსხვავებით ბუხრებისგან) და ის არის ადგილი, სადაც შეიძლება რაიმე მოთავსდეს (განსხვავებით ხელსაწყოებისგან, რომლებიც გამოიყენება რაიმეს გასაკეთებლად). (აპქჟის კატეგორიის ანალოგიური, მაგრამ დამოუკიდებელი ანალიზი იხ. ბოლინგერთან: Bolinger 1992). მაგრამ ისიც უდავოა, რომ სუპერორდინალური კატეგორიებს უფრო ნაკლები დამახასიათებელი ნიშნები აქვთ და ამდენად, მის წევრებს შორის ნაკლებადაა გამოკვეთილი კლასობრივი მსგავსება.

- (iii) ბაზისური დონის კატეგორიების უშუალოდ მომდევნო სუპერორდინალური კატეგორიები უფრო მაღალი სუპერორდინალური კატეგორიის ფარგლებში მხოლოდ ერთი საერთო თვისების საფუძველზე ერთიანდებიან (მაგ., FOOTWEAR ‘ფეხსაცმელი’ – SANDAL ‘სანდალი’ // UNDERWEAR ‘საცვალი’ – VEST ‘პერანგი’).
- (iv) სუპერორდინალური კატეგორიების სახელები ხშირად კრებითი სახელებაა, ხოლო ბაზისური დონის ტერმინები თვლად ობიექტებს აღნიშნავენ.

ამის მაგალითებია: *crockery* ‘ჭურჭელი’ (*cups* ‘ფინჯნები’ და *plates* ‘თეფშები’), *cultery* ‘დანა-ჩანგალი’ (*spoons* ‘კოვზები’ და *forks* ‘ჩანგლები’), *furniture* ‘ავეჯი’ (*tables* ‘მაგიდები’ და *chairs* ‘სკამები’), *footwear* ‘ფეხსაცმელი’ (*boots* (მრ. რ.) ‘ყელიანი ფეხსაცმელი’ და *shoes* (მრ. რ.) ‘ფეხსაცმელი’), *hardware* (*hard disks* ‘მყარი დისკები’ და *modems* ‘მოდემები’). შედარებით იშვიათად გვხვდება საპირისპირო შემთხვევები, როცა სუპერორდინალურმა ტერმინმა შეიძლება მიიღოს მრავლობითის ფორმა, ბაზისური დონის ტერმინი კი კრებითი სახელია: *metals* ‘მეტალი’ (*iron* ‘რკინა’ და *copper* ‘სპილენძი’), *beverages* (მრ. რ.) ‘სასმელი’ (*beer* ‘ლუდი’ და *wine* ‘ღვინო’), *spices* (მრ. რ.) ‘სანელებელი’ (*pepper* ‘პილპილი’ და *coriander*). ბაზისური დონისა და სუპერორდინალური დონის ტერმინები ამ მხრივ არ განსხვავდებიან. ამასთან, სუპერორდინალური ტერმინები ხშირად მორფოლოგიურად რთული და/ან პოლისილაბურია.

### 4.3.3.3. სუპერორდინალური დონის კატეგორიები

სუპერორდინალური დონის კატეგორიებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

- (i) ისინი ბაზისური დონის კატეგორიებთან შედარებით ნაკლებად „კარგი“ კატეგორიებია, რადგან, იმის მიუხედავად, რომ მათი წევრების ურთიერთმსგავსების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, ისინი ნაკლებად განსხვავდებიან

## LANGUAGE

- მეზობელი კატეგორიების წევრებისაგან.
- (ii) ისინი გაცილებით ნაკლებ დამატებით ინფორმაციას შეიცავენ მათ უშუალო ჰიპერონიმულ კატეგორიასთან შედარებით; ამდენად, როცა ცდისპირებს სთხოვენ ჩამოთვალონ სუბორდინალური კატეგორიების განმასხვავებელი მახასიათებლები, მათ მიერ შედგენილი სიები ძალზე მცირედ განსხვავდება შესაბამისი ჰიპერონიმული ბაზისური დონის ერთეულებისთვის შედგენილი სიებისგან.
  - (iii) ისინი ხშირად არიან პოლიმორფემურები, ყველაზე გავრცელებული მოდელია სიტყვა თავში დართული მოდიფიკატორით (მაგ., teaspoon 'ჩაის კოვზი', rocking-chair 'საქანელა-სავარძელი').

ეს ფაქტი, მაგალითად, უნგერერმა და შმიდმა (1996) იმის საჩვენებლად გამოიყენეს, რომ სუბორდინალური კატეგორიები ბაზისური დონისგან მხოლოდ ერთი თვისებით განსხვავდებიან (მაგ., teaspoon, rockign-chair). მაგრამ მაინც აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ სახელდება და ცნების შინაარსი: ეს „ერთი თვისება“ სახელწოდებიდან გამომდინარეობს, მაგრამ ფაქტიურად ყოველთვის არსებობს არაკოდირებული განმასხვავებელი მახასიათებლები. მაგალითად, მართალია, spaniel 'სპანიელი' ერთმორფემიანი სიტყვაა, long-tailed tit 'გრძელკუდა წიწნია' კი – ერთი თვისების (გრძელი კუდის ქონა) გამომხატველი რთული გამონათქვამი, ორივე შემთხვევაში სპეციფიკაცია არ გულისხმობს მხოლოდ ერთ თვისებას.

დაახლოებით ასე ხსნიან ამ მოვლენას კოგნიტივისტი ფსიქოლოგებიც, მაგალითად, მერფი და ლესელინი (1997). ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკაშიც საფუძვლიანადაა გამოკვლეული კატეგორიების იერარქიული ორგანიზაცია (იხ., მაგალითად, Brown 2002). მათი მიდგომა მრავალმხრივ განსხვავდება ფსიქოლოგების მიდგომისგან. ჯერ ერთი, მათი მეთოდი მნიშვნელოვანწილად ემყარება სხვადასხვაენობრივი მონაცემების შესწავლას. მეორეც, ყველაზე საფუძვლიანი გამოკვლევები ბიოლოგიური ხასიათისაა (განსხვავება ჩვეულებრივ კეთდება 'ხალხურ კლასიფიკაციებსა' და 'მეცნიერულ სისტემებს' შორის; გამოკვლევათა უმეტესობა ამათგან პირველს ეხება); ზოგი მათგანი (მაგ., Atran 1990) ამტკიცებს, რომ მხოლოდ ბიოლოგიური სახეობებია ჭეშმარიტად იერარქიული და ბიოლოგიური სახეობების ცნებებიდან იერარქიულია მხოლოდ ისეთი „ზოგადთეორიული“ კატეგორიები, როგორიცაა ცხოველი, ძაღლი, სპანიელი, წიფელი, ტყის წიფელი, ბუჩქი და ა.შ. და არა ისეთი უტილიტარული კატეგორიები, როგორიცაა ბოსტნეული, სარეველა ან ოთახის ცხოველი. მესამეც, ისინი ადგენენ იერარქიზაციის უფრო რთულ სტრუქტურას და დონეებს სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავენ. გთავაზობთ ერთ ასეთ მაგალითს (ეკვივალენტური ფსიქოლოგიური კატეგორიები მოცემულია ფრჩხილებში):



(3) საწყისი	მცენარე	
სიცოცხლის ფორმა	ბუჩქი	(=სუპერორდინალური დონე)
გვარი	ვარდი	(=ბაზისური დონე)
სახეობა	ჰიბრიდული ჩაი	(=სუბორდინალური დონე)
ნაირსახეობა	„მშვიდობა“ (ვარდის ჯიში)	

სახეობის აღმნიშვნელი დონის მახასიათებლები არსებითად არ განსხვავდება ზემოთ განხილული ბაზისური დონის მახასიათებლებისგან. სხვადასხვა ტიპისა და დონის კულტურებში იერარქიული სტრუქტურირების გამოკვეთილი ერთგვაროვნება გვაფიქრებინებს, რომ ეს უნივერსალური და ფუნდამენტური მოვლენაა. ანთროპოლოგები ვერ შეთანხმებულან იმაზე, თუ რა ედო საფუძვლად საკლასიფიკაციო სისტემების განვითარებას. ერთი სკოლა ამტკიცებს, რომ ამ სისტემების განვითარებას უტილიტარული მოსაზრებები განაპირობებს: კატეგორიების განვითარებამ ადამიანებს გადარჩენის საშუალება მისცა. სხვა სკოლის აზრით, ბიოლოგიური სახეობების კლასიფიკაციის სისტემების ევოლუცია ინტელექტუალურმა ცნობისმოყვარეობამ გამოიწვია. ამ მეორე მოსაზრებას არაერთი არგუმენტი ამყარებს. აშკარად მსგავს სისტემებს ვხვდებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი კულტურები და მათი გარემოცვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან; არაერთ კულტურაში შეიძლება ვიპოვოთ ისეთი კლასიფიკაცია, რომელსაც მოცემული კულტურისთვის არ გააჩნია უტილიტარული ღირებულება; ეს კლასიფიკაციები, როგორც წესი, ემთხვევა მეცნიერულ კლასიფიკაციებს. ბრაუნი (2002) აღიარებს ამ არგუმენტებს, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მონადირე-შემგროვებელთა საზოგადოებებში, ჩვეულებრივ, გაცილებით ნაკლები კატეგორიები არსებობს, ვიდრე იმ საზოგადოებებში, რომლებიც ბინადარ ცხოვრებას მისდევენ და სადაც განვითარებულია სოფლის მეურნეობა. ის ვარაუდობს, რომ ამას პრაქტიკული ახსნა აქვს. მცირე აგრარული საზოგადოებებიც კი, როგორც წესი, მონადირე-შემგროვებელთა ტომებზე უფრო მრავალრიცხოვანია და მოუსავლიანობის დროს ალტერნატიულ საკვებ რესურსებს მათთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ამდენად, მოცემულ გარემოში ხელმისაწვდომი საკვების დეტალური ცოდნა მათთვის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალებაა. მეორე მხრივ, მონადირე-შემგროვებელთა საზოგადოებები გაცილებით მცირერიცხოვანია და ცხოვრების მობილური წესიდან გამომდინარე, ისინი ნაკლებად დამოკიდებული არიან კონკრეტულ გარემოში ხელმისაწვდომ საკვებზე; ამდენად, ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის დეტალური ცოდნა მათთვის ნაკლებმნიშვნელოვანია.

#### 4.3.4. პროტოტიპთა თეორიის სუსტი მხარეები

პროტოტიპთა თეორიასთან დაკავშირებით არაერთი ეჭვი ჩნდება. აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით.

#### 4.3.4.1. ნიშანთა ჩამონათვალზე დამყარებული მეთოდის არასრულყოფილება

კატეგორიათა სტრუქტურის პროტოტიპული მოდელს ყველაზე ხშირად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ნიშანთა ჩამონათვალი, იმ მოთხოვნის შესუსტების შემთხვევაშიც კი, რომლის თანახმადაც ნიშნები უნდა იყოს აუცილებელი და საკმარისი, ძალზე გამარტივებულ სურათს იძლევა. შედარებით უფრო რთული მოდელებიც, როგორცაა ბარსალოუს (1992b) „ჩარჩოებზე“ (კრიტიკერიუმთა და მნიშვნელობათა სტრუქტურირებულ სიაზე) დაფუძნებული მოდელი, ვერ ასახავს ყველა იმ თვისებას, რომელიც ჩართულია ბუნებრივი, შინაარსობრივად „მდიდარი“ ცნებების ასოციაციურობისა და კაუზაციურობის რთულ ჯაჭვებში. ეს მეტისმეტი სიმარტივე არასასურველია მრავალი მიზეზის გამო. ერთ-ერთი ისაა, რომ ეს მოდელი არ ითვალისწინებს კონტექსტის ფაქტორს. როგორც კვლევებით დასტურდება, ისიც კი, რაც კატეგორიის საუკეთესო ნიმუშად ითვლება, შეიძლება შეიცვალოს მსჯელობის კონტექსტის დაკონკრეტებით (Barsalou 1987). ლებოვმა (1973) ასევე უჩვენა, რომ კონტექსტური მახასიათებლების დამატებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მომიჯნავე კატეგორიებს შორის არსებულ საზღვრებზეც. მეორე შენიშვნა ეხება დაფიქსირებული ნიშნების რაოდენობისა და GOE-ს ურთიერთმიმართებას. ამ მიმართების გასარკვევად მხოლოდ მოცემული ნიშნების დათვლა არა არის საკმარისი. გასათვალისწინებელია ნიშნების ურთიერთქმედებაც: ერთი ნიშნის ეფექტს განსაზღვრავს სხვა ნიშნების არსებობა და მათი ღირებულება. ძალიან მარტივი მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ნიშანი **ხისბან დამზადებული** ამცირებს კოვზის GOE-ს, თუ ეს კოვზი პატარაა, მაგრამ არ ამცირებს, თუ ის დიდია. უნდა არსებობდეს ათასობით ამგვარი ურთიერთქმედება, რომელთაგან ზოგიერთში ჩართული უნდა იყოს ერთდროულად რამდენიმე ნიშანი.

#### 4.3.4.2. „კენტ რიცხვთა პარადოქსი“

„კენტ რიცხვთა პარადოქსი“ ასევე მიიჩნევენ პროტოტიპთა თეორიის პრობლემად. არმსტრონგმა და მისმა თანაავტორებმა (1983) აღმოაჩინეს, რომ ადამიანები **კენტ რიცხვებს** ახარისხებენ მათი „ცენტრალურობის“ შესაბამისად – იმის მიუხედავად, რომ **კენტი რიცხვის** კატეგორიას აქვს ცხადი განსაზღვრება აუცილებელ და საკმარის ნიშანთა საფუძველზე. მათ მიერ შემოთავაზებული გადანყვეტა, ე.წ. „ორმაგი წარმოდგენის“ ჰიპოთეზა, აერთიანებს პროტოტიპულ და კლასიკურ მეთოდებს (Smith et al. 1974). ამ ჰიპოთეზის თანახმად, კონცეპტები შეიძლება ორგვარად აღინეროს და ამ აღწერების ფუნქციები სხვადასხვაა. არსებობს „ბირთვის“ აღწერა, რომელსაც ძირითადად აქვს კლასიკური განსაზღვრების ფორმა. ეს აღწერა მოიცავს კონცეპტის ლოგიკურ თვისებებს. მეორე აღწერა ემყარება პროტოტიპთა სისტემის იმ სახეობას, რომელიც აქცენტს აკეთებს ყველაზე ტიპიურ ნიშნებზე და რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად მოხდეს მოცემული ნიმუშის

კატეგორიზაცია. თუ საკითხს ასე მივუდგებით, მაშინ „კენტი რიცხვის პარადოქსი“ აღარ იქნება გადაუჭრელი პრობლემა. მაგრამ ამ ორი თეორიის ასეთი გაერთიანება მემკვიდრეობით იღებს ორივე მათგანისგან გადაუჭრელ პრობლემებს: კერძოდ, აქ თავიდან წამოიჭრება კლასიკური თეორიის ძირითად პრობლემა, რომელიც სავარაუდოდ პროტოტიპთა თეორიას უნდა გადაეწყვიტა, სახელდობრ, ის ფაქტი, რომ ყველაზე გავრცელებული კონცეპტების დიდი უმრავლესობისთვის შეუძლებელია „ბირთვის“ განსაზღვრა.

#### 4.3.4.3. მახასიათებელი ნიშნების პრობლემები

არსებობს პრობლემა, რომელიც ეხება ნიშნებზე დამყარებულ კონცეპტუალურ სტრუქტურის ყველა მოდელს: რას წარმოადგენს ეს ნიშნები და საიდან იღებენ მათ? როგორც ჩანს, ისინი უბრალოდ სხვა კონცეპტები არიან. სხვა სიტყვებით, კონცეპტები არიან კონცეპტუალური ბადის წერტილები. ეს საოცრად მოგვაგონებს სიტყვის მნიშვნელობის სტრუქტურალისტურ დახასიათებას (იხ., მაგალითად, Lyons 1963, 1968). მაგრამ ამ შემთხვევაში კონცეპტუალური სისტემა ჰერმეტიულად იზოლირებული იქნება სამყაროსგან და ძნელი სათქმელია, რა განმარტებითი ძალა უნდა ჰქონდეს ასეთ სისტემას. მას რომ მართლაც ჰქონდეს ასეთი ძალა, მახასიათებელი ნიშნები „დასაბუთებული უნდა იყოს ქვესიმბოლურ დონეზე“ (Hampton 1997:91), ე.ი. უნდა დადასტურდეს მათი სისტემატური კავშირი იმ არალინგვისტურ მახასიათებლებთან, რომლებიც მოგვეცემა გრძობით, ქმედებით, განზრახვით და ა.შ. ჰემპტონი მიუთითებს კიდევ ერთ, უფრო აშკარა მანკიერ წრეზე. თუ ჩვენ ერთმანეთთან დავაკავშირებთ ფრინველ-ს და მანკიერ-ს ‘აქვს’ კავშირის მეშვეობით, ყურადღების მიღმა დაგვრჩება ინფორმაციის დიდი ნაწილი, თუ არ დავაზუსტებთ, რომ მხედველობაში გვაქვს არა, ვთქვათ, სპილოს თავი, არამედ ფრინველის თავი.

#### 4.3.4.4. კონტრასტული კატეგორიები

კონტრასტული კატეგორიები, როგორებიც არიან კატა, ძაღლი, ლომი, აქლემი და ა.შ. კიდევ ერთ პრობლემას უქმნის პროტოტიპთა თეორიას. მართლაც, აუხსნელი რჩება მათ შორის არსებული ურთიერთგამორიცხვის მიმართება. ამის ახსნა ლოგიკურად შეუძლებელი იქნება, თუ პროტოტიპთა აღწერაში არ ჩავრთავთ ‘მინუს’ მნიშვნელობის მქონე მახასიათებლებს (მაგალითად, ‘აქვს რბილი ბეწვი’, ‘კრუტუნებს, როცა ხელს გადაუსვამ’, ‘ხტუნვით დარბის’, ‘უფრო დიდია, ვიდრე საშუალო ადამიანი’, ‘აქვს ქერცლი’ – ყველა ამ მახასიათებელს ძაღლის განსაზღვრებაში ექნებოდა ‘მინუს’ ნიშანი). რამდენადაც ვიცით, ასეთი მეთოდის გამოყენება აზრადაც არავის მოსვლია.

### 4.3.4.5. საზღვრები პროტოტიპთა თეორიაში

პროტოტიპთა თეორეტიკოსები არასაკმარის ყურადღებას უთმობენ კატეგორიის საზღვრებისა და მათი ადგილის საკითხს და იგივე ითქმის მრავალი კოგნიტივისტი-ლინგვისტის მიმართაც. მომდევნო ციტატაში ლანგეკერი, როგორც ჩანს, საერთოდ უარყოფს საზღვრების არსებობას: „რაც არ უნდა დაშორებული იყოს მოცემული ობიექტი პროტოტიპისგან, ის მაინც შეიძლება ჩაითვალოს შესაბამისი კლასის წევრად, თუ კატეგორიზაციის განმარტოვებელს ეყო საზრიანობა და აღმოაჩინა ამ ობიექტის რაიმე მსგავსება ტიპიურ ნიმუშებთან“ (Langacker 1991:266).

ლაკოფი აღიარებს მათ არსებობას, მაგრამ მცირე ადგილს უთმობს ამ საკითხზე მსჯელობას. (ჰემპტონი [1991] არის ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ფსიქოლოგთაგანი, რომლებიც პროტოტიპულ თეორიაში აშკარად აღიარებენ კატეგორიის საზღვრების არსებობას). და მაინც, საზღვრები კატეგორიის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური მახასიათებელია. კატეგორია კონტინენტს ჰგავს: მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ის არის, რომ ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნოს სამყაროს ის ობიექტები, რომლებიც მასში შედიან და ისინი, რომლებიც მასში არ შედიან. ეს ფუნქცია ვერ განხორციელდება საზღვრის გარეშე.

იმთავითვე ცხადია კატეგორიისთვის საზღვრის აუცილებლობა. თუ **A** ამბობს, რომ *რალაც ობიექტი არის X* და **B** კი ამბობს, რომ *ის რალაც არ არის X*, მაშინ მათ ან სხვადასხვაგვარად ესმით იმ *რალაც ობიექტის* რეფერენტი, ან იმაზე ვერ შეთანხმებულან, თუ სად გადის **X** კატეგორიის საზღვარი. გარკვეული ზედსართავები, როგორცაა *ხელოვნური – ხელოვნურ ნალებში*, და *ყალბი – ყალბ მონეტაში*, იმაზე მიუთითებენ, რომ რეფერენტი არ შედის მოცემული სახელით აღნიშნულ კატეგორიაში; მსმენელმა სწორად რომ გაიგოს *ნამდვილი*-ს მნიშვნელობა, ისეთი, როგორც გვაქვს ლაკოფის (1973) მიერ მოყვანილ მაგალითში *მარკ სპიტცი არის ნამდვილი თევზი* (მარკ სპიტცი იყო ოლიმპიური მოცურავე), უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ მარკ სპიტცი სინამდვილეში თევზი არ არის.<sup>1</sup>


სწორი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაუშვებელი გამომდინარეობის ისეთი მაგალითი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, შეიძლება აიხსნას მხოლოდ კატეგორიების საზღვრების გათვალისწინებით:

#### (4) a. მანქანის სავარძელი არის სავარძლის სახეობა

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრების არსებობა აუცილებლად არ გულისხმობს 'ბირთვის განსაზღვრის' არსებობას აუცილებელი და საკმარისი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორც ამას გთავაზობს კონცეფცია, რომელსაც ჰემპტონმა (1997:93) „ბინარული მიდგომა“ უწოდა და რომელიც ჩამოაყალიბეს სმიტმა და მისმა თანაავტორებმა (1974).

- b. სავარძელი არის ავეჯი
- c. ? მანქანის სავარძელი არის ავეჯი

ერთი-ერთი ახსნა (ჰემპტონის მიხედვით) ასეთია: გამონათქვამი X არის Y მის-  
აღები რომ იყოს, საკმარისია, პროტოტიპული X შედიოდეს e-კატეგორიაში; არ  
არის აუცილებელი, რომ ყველა X შედიოდეს ამ კატეგორიაში. ამდენად, გამომდი-  
ნარეობა, რომელიც მოცემულია (4)-ში, შეიძლება აიხსნას ნახატ 4.1-ში გამოსახუ-  
ლი საზღვრების განლაგებით (ძლიერ გამოუქებული ადგილები აღნიშნავს პროტო-  
ტიპულ ბირთვებს):



ნახატი 4.1. თვითმფრინავის, პლანერის და დელტაპლანის საზღვრები

აქ პლანერის პროტოტიპი შედის თვითმფრინავის კატეგორიის საზღვარში, მაგრამ დელტაპლანი მის გარეთ აღმოჩნდება.

არსებობს კატეგორიის საზღვრის ფსიქოლინგვისტური კორელატი, რაც გულისხ-  
მობს კატეგორიზაციასთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხის სიჩქარეს. როცა  
ცდისპირებს ეკითხებიან, ეკუთვნის თუ არა მოცემული ერთეული გარკვეულ კატ-  
ეგორიას, პასუხის სიჩქარე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ახლოს არის  
ეს ერთეული კატეგორიის საზღვართან: რაც უფრო ახლოსაა, მით უფრო დაგვი-  
ანებული იქნება პასუხი. ამდენად, (5)-ში ყველაზე დაგვიანებული იქნება პასუხები  
მუქი შრიფტით დაბეჭდილ ერთეულებზე:

- (5) (ხილი) ვაშლი . . . . . **პამიდორი** . . . . . კარტოფილი
- (მიმოსვლის საშუალება) მანქანა . . . . . **ველოსიპედი** . . . . . სკამი
- (სიტყვა) ხელი . . . . . **მალკი** . . . . . პკპქ

ობიექტის მარგინალურ სტატუსზე კიდევ ერთი გარემოება მიუთითებს: ავი-  
ლოთ ფეხსაცმელი, როგორც ტანსაცმლის კატეგორიის წევრი. ჩემოდანზე,  
რომელშიც მოთავსებულია საცვლები, პერანგები, წინდები, პიჯაკები შარვლები

## LANGUAGE

და სხვა არაფერი, ყველა ზედმეტი ყოყმანის გარეშე იტყვის, რომ 'მასში ალაგია მხოლოდ ტანსაცმელი'. მაგრამ მავანი მაინც დაფიქრდება, ვიდრე ჩემოდანზე, რომელიც სავსეა ფეხსაცმლით, თქვას, რომ მასში მხოლოდ ტანსაცმელი ალაგია; მეორე მხრივ, არანაირი ეჭვი არ გაჩნდებოდა, თუკი ეს ჩემოდანი სულ პერანგებით იქნებოდა სავსე. ასე იმიტომ ხდება, რომ ტანსაცმლის კატეგორიაში ფეხსაცმელს, პერანგთან შედარებით, მარგინალური სტატუსი აქვს. როგორც ჩანს, ჩვენ განსხვავებულად, ანუ უფრო ფართო კატეგორიად წარმოვიდგენთ ტანსაცმელს, როდესაც ვხედავთ ტანსაცმლის ნაირსახეობებს, მარგინალურის ჩათვლით; როცა ვხედავთ ფეხსაცმელს, ჩვენ წარმოვიდგენთ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, როგორც ურთიერთგამომრიცხველ კატეგორიებს.

კატეგორიის საზღვარი არ არის დამოკიდებული მის პროტოტიპზე, ე.ი. ორ კატეგორიას შეიძლება ჰქონდეს ერთი და იგივე პროტოტიპი, მაგრამ განსხვავებული საზღვრები; ავიღოთ ფრანგული სიტყვა *corde*. ინგლისურად ის ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც *rope* ('ბაგირი', 'თოკი'). ამ ორ ენაზე მოლაპარაკეთა გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ ამ ორი კატეგორიის პროტოტიპები ძალზე ახლოს არიან ერთმანეთთან: ორივე ენაში შემოგვთავაზებენ ერთსა და იმავე ტიპის ობიექტებს როგორც ამ კატეგორიების საუკეთესო ნიმუშებს. ამის მიუხედავად, მათი საზღვრები განსხვავდებიან. *Le Petit Larousse*-ში *ficelle* (ინგლისური შესატყვისი – *string*) განსაზღვრულია როგორც 'une corde mince'; ინგლისურში ძალზე უცნაურად მოგვეჩვენებოდა, ფრანგულის ანალოგიურად *string* ვინმეს რომ განესაზღვრა როგორც 'a thin rope'. უნდა ითქვას, რომ *ficelle* შედის *CORDE* კატეგორიის ფარგლებში, მაგრამ *string* არის *ROPE* კატეგორიის საზღვრის გარეთ. ამის საპირისპირო მაგალითი (ერთნაირი საზღვრის, მაგრამ განსხვავებული ბირთვის), ალბათ, იქნება ინგლისური *courage* და *bravery*. ძნელი წარმოსადგენია ქმედება, რომელსაც ინგლისურად დაერქმეოდა *courage*, მაგრამ არა *bravery*, ან პირიქით. მაგრამ ამ კატეგორიების „ბირთვები“, სავარაუდოდ, განსხვავებულია. სტუდენტ ინფორმანტებს სთხოვეს დაენერათ შედარებით რეიტინგები (6a)-სა და (6b)-სთვის, თუკი მათ განიხილავდნენ როგორც (i) *bravery*-ის მაგალითს და (ii), თუკი ჩათვლიდნენ *courage*-ის ნიმუშად.

- (6) a. ადამიანი ხტება ბობოქარ მდინარეში ვილაცის გადასარჩენად.  
b. ადამიანი საფრთხის წინაშე აყენებს თავის კარიერას და საარსებო წყაროს და აამკარავებს ხელისუფლების უკანონო და უსამართლო ქმედებებს.

არსებითად ყველა თანხმდება იმაზე, რომ (6a) არის *bravery*-ის უკეთესი ნიმუში, ხოლო (6b) – *courage*-ის.

საზღვრებთან დაკავშირებით მთავარი პრობლემა ის არის, რომ პროტოტიპის



განსაზღვრა არ განაპირობებს მათ ბუნებრივ დანესებას. ამ მოდელის ჰემპტონის ვერსიაში ცკისაზღვრების პოსტულირება დასაბუთების გარეშე ხდება. პროტოტიპ-თა თეორეტიკოსები, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ ბუნებრივ კონცეპტუალურ კატეგორიებს არა აქვთ მკაფიო საზღვრები. მართლაც, ეს ერთ-ერთი მთავარი არ-გუმენტია კლასიკური მოდელის სანინაალმდეგოდ. საზღვრების არამკაფიოობის მაჩვენებელად, მაგალითად, ის გარემოება ითვლება, რომ სხვადასხვა ცდისპირები ამა თუ იმ კატეგორიის საზღვრებს სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ და იგივე პირები განსხვავებულ დასკვნებს აკეთებენ განსხვავებულ კონტექსტუალურ პირობებში. ზემოთ ციტირებული ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტიც სასაზღვრო არეს უფრო იძლევა, ვიდრე მკაფიო საზღვარს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არამკაფიო საზღვარსაც აქვს გარკვეული ადგილი. არამკაფიო საზღვრის ცნების კრიტიკულ ანალიზს ქვემოთ შემოგთავაზებთ.

### 4.3.5. პროტოტიპის ფაქტორის ახსნა „ჩარჩო-სქემის“ საფუძველზე

ნიშნათა მარტივი სია არაადეკვატურად საზღვრავს კონცეპტუალურ კატეგორიას. ჩარჩო-სქემის კონცეფცია გვთავაზობს ცნების, როგორც ურთიერთდაკავშირებული ცოდნის რთული, სტრუქტურირებული სხეულის უფრო დამაკმაყოფილებელ სურათს. ასეთი სურათის საფუძველზე უფრო ადვილად შეიძლება აიხსნას, მაგალითად, „ცენტრალურობის ხარისხი“. ცენტრალურობის ხარისხი შეიძლება განვიხილოთ როგორც შესაბამისობის დონე რომელიმე ინდივიდუალური ობიექტის მახასიათებლებსა და იმ ჩარჩო-სქემის ერთ ან რამდენიმე ასპექტს შორის, რომელიც კატეგორიის იდეალურ ინდივიდს ასახავს.

ამ შესაბამისობას შეიძლება ჰქონდეს სამი ფორმა. უპირველეს ყოვლისა, ესაა ერთი მხრივ, ინდივიდთა და მეორე მხრივ, ჩარჩოს შესაბამისი არის კონვერგენციის საკითხი. ავიღოთ *მანქანა* და *ტრაქტორი* კატეგორიაში *ტრანსპორტი*. ინფორმანტთა უმრავლესობა *მანქანას* ანიჭებს უფრო მაღალ GOE-ნიშანს, ვიდრე *ტრაქტორს*. როგორც ჩანს, ამის მიზეზი ის არის, რომ იდეალური ტრანსპორტი გზებზე სამოგზაუროდ უფროა განსაზღვრული, ვიდრე მინდვრებზე გადასაადგილებლად, ამდენად, უკეთესი შესაბამისობაა მანქანასა და ტრანსპორტს შორის, ვიდრე ტრაქტორსა და ტრანსპორტს შორის. ცენტრალურობის ხარისხის მეორე ტიპის საილუსტრაციოდ გამოდგება ისეთი ერთეულები, რომლებსაც აქვთ ტრადიციული განსაზღვრება, მაგალითად, *ბერბიჭა*. ამ შემთხვევაში ცენტრალურობის ხარისხს განსაზღვრავს იდეალური „ფონისა“ და მოცემული ერთეულის რეალური „ფონის“ მსგავსება. როგორც ადრე ვნახეთ, ეს განსაზღვრება აიგება კულტურულ პირობითობათა სიმრავლის ფონზე, რომელიც „ცოლიანობის“ ცნებას ეხება: ჩვენ იმიტომ ვთვლით, რომ (კათოლიკე) მღვდელი არის 'ბერბიჭას' ცუდი მაგალითი

## LANGUAGE

(იმის მიუხედავად, რომ ის აკმაყოფილებს ამ კატეგორიის ძირითად განსაზღვრებას), რომ ჩვენი ბაზისური დაშვებები მღვდლის შესახებ არ შეესაბამება ჩვენს დაშვებებს 'იდეალური' ბერბიჭას შესახებ. არსებობს შესაბამისობის დადგენის მესამე გზაც: ამ შემთხვევაში კონცეპტი განისაზღვრება ICM-ების კომპლექსის საფუძველზე, როგორც ეს იყო ღეღის შემთხვევაში. აქ ICM-ებს მახასიათებელ ნიშანთა ფუნქცია ეკისრებათ, რამდენადაც ხსენებული კომპლექსის რაც უფრო მეტი ნიშანი არის წარმოდგენილი კონკრეტულ ნიმუშში, მით უფრო ცენტრალური ადგილი უჭირავს მოცემულ ნიმუშს შესაბამის კატეგორიაში.

### 4.4. კონცეპტუალური კატეგორიები როგორც დინამიკური კონსტრუქტები

კატეგორიათა შესახებ არსებული კონცეფციების უმრავლესობას საერთო ისა აქვს, რომ ყოველი მათგანის თანახმად, თითოეულ კატეგორიას საფუძველად უდევს სტაბილური წაროსახვითი ობიექტი. მაგრამ უკანასკნელ დროს გაჩნდა ახალი მიდგომა, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს ასეთ ვარაუდს. მაგალითად, სმითი და სემუელსონი მკაცრად აკრიტიკებენ 'ფიქსირებული კატეგორიების' კონცეფციას: „სტაბილური კატეგორიებისა და სტაბილური კონცეპტების ფუძემდებლური იდეები არც თუ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ კონცეფციამ შედეგად ის მოიტანა, რომ განუწყვეტლივ ჩნდებოდა კონცეპტების ახალ-ახალ თეორიები, შემდეგ კი ხდებოდა მათი უარყოფა, რეაბილიტაცია და კვლავ უარყოფა“ (Smith და Samuelson 1997:163).

სმითი და სემუელსონი იმონებენ მთელი რიგი ექსპერიმენტების შედეგებს იმის საჩვენებლად, რომ ფიქსირებული კატეგორიების ცნება და მათი შესაბამისი სტაბილური წარმოსახვა მხოლოდ მითია. ამ ექსპერიმენტთა შორის მოხსენიებულია ბარსალოუს (1983) ექსპერიმენტები, რომლებშიც ვხვდებით სახელდახელოდ ფორმირებულ ისეთ კატეგორიებს, რომლებსაც არ გააჩნიათ რაიმე პირობითი სახელები. მაგალითად, „მაგიდაზე მოთავსებული ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლურსმნის დასაჭედებლად“, ან „პიკნიკზე წასაღები ნივთები“. ცდისპირები ადვილად ქმნიდნენ ახალ, კონტექსტის შესაბამის კატეგორიებს, რომლებსაც იგივე თვისებები აქვთ, რაც საყოველთაოდ მიღებულ კატეგორიებს, ცენტრალურობის ხარისხისა და მახასიათებელ ნიშანთა ჩათვლით. ხსენებულ ავტორთა აზრით, კატეგორია იმთავითვე ცვალებადი ობიექტია და იქმნება კონკრეტული საჭიროებების საფუძველზე. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს უითლსი (1997), რომელიც ამტკიცებს, რომ აბსტრაქტული ცოდნის განსაკუთრებული სისტემის არსებობა არანაირი სარწმუნო საბუთით არ დასტურდება და რომ ფიქსირებული კონცეპტების სავარაუდო თვისებებს სხვა ახსნა შეიძლება მოეძებნოს.



სმითისა და სემუელსონის მიხედვით, კონცეპტს საფუძვლად უდევს შემდეგი ელემენტები – ნარსული, ანმყო და არსებული კონტექსტი. რაც შეეხება ნარსულს, ანუ დაგროვილ გამოცდილებას, ავტორები აღნიშნავენ, რომ ყოველი კონკრეტული გამოცდილება გავლენას ახდენს ჩვენს ‘ცოდნაზე’:

ხანგძლივად ამ ცვლილებების დაგროვება წარმოადგენს სტაბილურობის წყაროს უწყვეტად ცვლად სისტემაში. თუ ჩვენს გამოცდილებებში არსებობს სტატისტიკური რეგულარობები, გარკვეული მოდელები, რომლებსაც ვხვდებით კვლავ და კვლავ, ასეთ შემთხვევაში, რამდენადაც ცოდნის ყოველი მომენტი „ზემოდან ედება“ ნარსულ მომენტებს, ჩვენი აზროვნებისა და ქცევის სუსტი ტენდენციები ზოგჯერ იმდენად ძლიერდება, რომ ასე ადვილად ვეღარ შეიცვლება და, ამგვარად, შეიძლება ფიქსირებულადაც მოგვეჩვენოს (Smith and Samuelson 1997:175–6).

ყველაფერი, რასაც ყოველი კონკრეტული ნარსული გამოცდილება აღნუსხავს, შეიცავს გამოკვეთილ კონტექსტუალურ ფაქტორებს, აღქმულ და გამოვლენილ კავშირებს (მიზეზობრივს და სხვ.) სხვა ობიექტებთან, მოცემულ ენასთან და ა.შ. მეორე ელემენტი არის ის გონებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ უძღვის წინ ცნების ჩამოყალიბებას. ამის დასტურად მათ პრაიმინგის ეფექტი მოჰყავთ. კერძოდ, კონცეპტის ჩამოყალიბების პროცესთან დაკავშირებით ავტორები აღნიშნავენ:

არსებობს მჭიდრო კავშირი დროში თანმიმდევრულ აზრებს შორის; მოვლენის მნიშვნელობა დამოკიდებულია მის ადგილზე მოვლენათა დინებაში. თუ ჯერ ვიფიქრებთ ჭამაზე და მერე ბაყაყებზე, ჩვენ ვიფიქრებთ განსხვავებულად, ვიდრე თუ ვიფიქრებთ ჯერ გუბურებზე და შემდეგ ბაყაყებზე (იქვე).

უკანასკნელი ელემენტი არის უშუალო კონტექსტის კონსტრუქტი, რომელიც მოიცავს ლინგვისტურ, პერცეფციულ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ ასპექტებს, არსებულ მიზნებსა და გეგმებს, დასკვნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, აღქმულ მიზეზობრივ კავშირებსა და ა.შ.

ახლა მოკლედ მიმოვიხილავთ, თუ კონცეპტების ეს დინამიკური ხედვა როგორ აისახება კონცეპტების სამ მთავარ მახასიათებელზე, სახელდობრ, საზღვრებზე, ჩარჩო-სქემებსა და დონეებზე.

#### 4.4.1. კატეგორიის საზღვრები

ძნელი არ იქნება მოვძებნოთ ისეთი მაგალითები, სადაც ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა კონტექსტის შესაბამისად აგებულ კონსტრუქტებში სხვადასხვაგვარადაა განლაგებული კატეგორიის საზღვრები. ავიღოთ ინგლისური *pet*

## LANGUAGE

(‘სახლის ცხოველი’). დღესდღეობით არსებობს ელექტრონული მექანიზმები, რომლებიც ახდენენ ცხოველების გარკვეული მახასიათებლების იმიტაციას და თანაც ნაკლებ მომთხოვნი და ნაკლებ მოუნესრიგებელი არიან: მათ ზოგჯერ უწოდებენ cyberpets. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ვსვამთ შეკითხვას, არიან თუ არა ეს ობიექტები სახლის ცხოველები:

(7) არის თუ არა cyberpet-ი სახლის ცხოველი?

როდესაც ამ შეკითხვით მიმართავენ სტუდენტთა ტიპიურ კლასს, როგორც წესი, უმცირესობა, მაგრამ მნიშვნელოვანი უმცირესობა, პასუხობს დიახ, ხოლო უმრავლესობა ამბობს არა. ეს არის, რა თქმა უნდა, ტიპიური „არამკაფიო“ შედეგი. ახლა განვიხილოთ კითხვა (8):

(8) cyberpet-ი ნამდვილი სახლის ცხოველია?

ამ კითხვაზე პასუხი უმთავრესად არის არა, რადგან სიტყვა *ნამდვილი* განაპირობებს იმას, რომ ხსენებული კატეგორიის საზღვარი განსაკუთრებულად იგება. მეორე მხრივ, წარმოიდგინეთ ასეთი სცენა: ვთქვათ, სკოლის ფსიქოლოგი ასეთ რჩევას აძლევს მშობლებს (9):

(9) გირჩევთ უყიდოთ რამე სახლის ცხოველი, თუნდაც ელექტრონული.

ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არავინ არ ხედავს რაიმე უჩვეულოს ფსიქოლოგის გამონათქვამში, იმის მიუხედავად, რომ აქ კატეგორია *საყვარელი ცხოველი* ელექტრონულ ცხოველსაც შეიცავს. ამ კონტექსტში გამონათქვამები ‘*რამე*’ და ‘*თუნდაც*’ სახლის ცხოველის უფრო ფართო კატეგორიის აგებისკენ გვიბიძგებს.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

(10) ძაღლს აქვს ოთხი თათი.

ერთი შეხედვით, ეს ბანალური ჭეშმარიტებაა. მაგრამ რას იტყვით ძაღლებზე, რომლებმაც უბედური შემთხვევის შედეგად ერთი ან მეტი თათი დაკარგეს? როგორც ჩანს, (10)-ის ინტერპრეტაციისას ჩვენ ძაღლის ისეთ კატეგორიას ვაგებთ, რომელიც მხოლოდ ჩვეულებრივ ძაღლებს შეიცავს. კატეგორია ‘ძაღლის’ საზღვრების კიდევ ერთი კონსტრუქციული მოცემულია (11)-ში:

(11) ძაღლები არიან ძუძუმწოვრები.

ამ შემთხვევაში ჩვენ ისეთ კატეგორიას ვაგებთ, რომელიც შეესაბამება ბიოლოგიურ დისკურსს და რომელიც სამფეხა ძაღლებსაც შეიცავს და ველურ ძაღლებსაც. განვიხილოთ ასევე (12)-ის მსგავსი შემთხვევები:

(12) ძაღლი შესანიშნავი კონპანიონია მოხუცი ადამიანისთვის.

აქ ვაგებთ კატეგორიას, რომელიც მიესადაგება ადამიანთა ყოფას, და ასეთი კატეგორია შეიცავს მხოლოდ სახლის ძაღლებს.

ბოლო მაგალითად განვიხილოთ ჩიტის კონსტრუქტები (13)-სა და (14)-ში:

(13) მინდა ჩიტით შემეძლოს ფრენა.

(14) ჩვენს ბაღში ბევრი ჩიტია.

(13)-ში 'ჩიტის' ჩვენი კონსტრუქტიდან უნდა გამოვრიცხოთ ჩიტები (ფრინველები), რომლებიც არ დაფრინავენ და ის დაშავებული ჩიტები, რომლებსაც ფრენა არ შეუძლიათ. (14)-ში 'ჩიტში' (თუ ამ ფრაზას ამბობს მანჩესტერის ტიპიური გარეუბნის მაცხოვრებელი) უნდა ვიგულისხმოთ 'ბოსტნის პატარა ჩიტის ყველაზე გავრცელებული სახეობა', რამდენადაც ვერავინ წარმოიდგენდა სირაქლემის ან არწივის გამოჩენას საკუთარ ბოსტანში.

როგორც ვნახეთ, კატეგორიის სტრუქტურის კლასიკური მოდელი იმიტომაც მიიჩნევა არაადეკვატურად, რომ ის გულისხმობს მკვეთრ საზღვრებს, ბუნებრივ კატეგორიებს კი, როგორც აცხადებენ, არამკაფიო საზღვრები აქვთ. და მაინც, არამკაფიო საზღვრების ცნება უფრო საფუძვლიანად უნდა გაანალიზდეს. არამკაფიოობის მაჩვენებლებად, მაგალითად, ითვლება ის, რომ სხვადასხვა ცდისპირები სხვადასხვაგვარად განაღებენ ამა თუ იმ კატეგორიის საზღვრებს და ერთი და იგივე ცდისპირები განსხვავებულ კონტექსტებში სხვადასხვაგვარად აფიქსირებენ ერთი და იმავე კატეგორიის საზღვრებს. მაგრამ არამკაფიოობის ყველა მაჩვენებელი, უმეტეს შემთხვევაში, იზოლირებულ ლექსიკურ ერთეულებზე რეაქციასა და არა კონკრეტული კონტექსტების კონსტრუქტებს ეფუძნება. მართალია, ლექსიკური ერთეულის საფუძველზე აგებული კატეგორიის საზღვარი შეიძლება შეიცვალოს კონტექსტის ცვლასთან ერთად, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თავისთავად არამკაფიოა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად აგებული საზღვრები. საზღვარი არის 'შიდა' და 'გარე' არეების გამყოფი ხაზი. დინამიკური კონსტრუქტის კონცეფციის თანახმად, საზღვარი არსებითად მკაფიოა. ჩვენი ცოდნა საზღვრების შესახებ კი შეიძლება განსხვავებული იყოს. მაგალითად, შეიძლება ჩვენ მხოლოდ ვიცოდეთ საზღვრის შესაძლო

## LANGUAGE

ვარიანების ფარგლები. საზღვრის ზუსტი მდებარეობის გაურკვეველობა სრულიადაც არ გამოორიცხავს მის სიმკვეთრეს.

განვიხილოთ საზღვარი 'ცოცხალსა' და 'მკვდარს' შორის. მისი დადგენის კრიტერიუმი იცვლება კონტექსტის მიხედვით. თუ საქმე ადამიანებს ეხება, ასეთი საზღვრის დადგენისას შეიძლება აზრთა სხვადასხვაობაც გაჩნდეს. განვიხილოთ იგივე საზღვარი აბორტთან დაკავშირებით ატეხილი დავის კონტექსტში. ამ ორივე შემთხვევაში საზღვრის მდებარეობა არის დავისა და გაურკვეველობის საგანი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მოკამათებებისთვის ის სავსებით გარკვეულია. მსგავსი აზრთა სხვადასხვაობა იმაზე მიანიშნებს, რომ არსებობს დიქტომიური კონსტრუქციული მკაფიოდ განსაზღვრული გამყოფი ხაზით. ძალიან ხშირად კონსტრუქციული საზღვარი მხოლოდ იმას ადგენს, არის თუ არა მოცემული ობიექტი კატეგორიის ფარგლებს შიგნით. ე.ი. ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ ადგილობრივი საზღვრის კონსტრუქცია და არა კატეგორიის სრული შემოსაზღვრა. ლაკოფი (1987) საგანგებოდ გამოყოფს ისეთი კატეგორიების არამკაფიოობას, როგორცაა, მაგალითად, მბლლი კბცი, რომელიც გრადაციულ თვისებას უკავშირდება. მაგრამ დინამიკური კონსტრუქციის კონცეფციის ფარგლებში ამ ტიპის კატეგორიების კონტექსტუალიზებული გამოვლინებებიც კი გულისხმობს კონკრეტული ორიენტირის დაფიქსირებას შესაბამის შკალაზე.

დაბოლოს, შესაძლოა ზედმეტიც იყოს არამკაფიო საზღვრის ცნება: ყველაფერი შეიძლება აიხსნას ჩვეულებრივი, ანუ მკაფიოდ განსაზღვრული საზღვრის ცვალებადობის საფუძველზე.

### 4.4.2. ჩარჩო-სქემები

ფილმორი და ლაკოფი ჩარჩო-სქემებს/ICM-ებს (ზოგ შემთხვევაში ICM-ების კომპლექსს) განსაზღვრავენ როგორც მეტ-ნაკლებად ინვარიანტულ სტრუქტურებს, რომლებიც მყარად უკავშირდებიან ლექსიკურ ერთეულებს. ჩარჩო სქემის საფუძველზე შეიძლება განიმარტოს ცვალებადი საზღვრის მქონე კონსტრუქციული, კერძოდ, აღქმული ობიექტისა და ჩარჩო-სქემის შესაბამისობის ხარისხის საფუძველზე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩო-სქემა კატეგორიის საზღვრებთან შედარებით უფრო სტაბილურია, დინამიკური კონსტრუქციის კონცეფციის ფარგლებში შესაძლებელია ასევე თვით ჩარჩო-სქემის ცვალებადი კონსტრუქციის აგებაც. ბარსალოუს ზემოხსენებული ექსპერიმენტები, სადაც ხდება ისეთი ad hoc კატეგორიების ჩამოყალიბება, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული კატეგორიების ყველა დამახასიათებელი თვისება, გვაგარაუდებინებს, რომ ჩარჩო-სქემებიც შეიძლება აიგოს საგანგებოდ კონკრეტული შემთხვევებისთვის. ამასთან ერთად, კატეგორია ძბლლი-ს ვარიანტები ფრაზებში ძაღლები და სხვა

სახლის ცხოველები და ძაღლები არიან ძუძუმწოვრები, როგორც ჩანს, უფრო დამაჯერებლად შეიძლება აიხსნას ჩარჩო-სქემის მოდულაციის საშუალებით, ვიდრე უცვლელ ჩარჩო-სქემასთან (ძაღლი) მისი შესაბამისობის ხარისხის საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, ექვემდებარებიან თუ არა ჩარჩო-სქემები მოქნილ კონსტრუირებას, კატეგორიის საზღვრების დადგენის მექანიზმი კვლავაც საჭიროებს ახსნას.

### 4.4.3. კატეგორიზაციის დონეები

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კატეგორიზაციის დონე დამოკიდებულია ერთეულთა შინაარსებსა და შინაარსებს შორის ურთიერთმიმართებებზე, არ უნდა გაკვივდეს, თუ ერთი და იმავე ობიექტის კატეგორიზაციის დონეს სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს სხვადასხვა მოლაპარაკე; და ერთი და იმავე ობიექტისთვის ეს მახასიათებელი ასევე იცვლება კონტექსტისა და დისკურსის ცვლასთან ერთად.

ძნელი არ არის ისეთი შემთხვევების მოძიება, სადაც სხვადასხვა მოლაპარაკე ერთსა და იმავე ერთეულს სხვადასხვა დონეს მიაკუთვნეს. ავიღოთ სიტყვა ჩიტთან დაკავშირებული კატეგორიები. ზოგიერთი მოლაპარაკისთვის ჩიტი აღნიშნავს სუპერორდინალური დონის კატეგორიას, რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ ფრინველები. მისივე დონის კატეგორიებია ცხომელი, თევზი, მწერი და ა.შ., ხოლო ბაზისურ დონის ქვეკატეგორიები – ბელურა, შაშვი, შავი შაშვი და ა.შ. სხვა მოლაპარაკეთათვის ჩიტი, ჩვეულებრივ, აღნიშნავს ბაზისური დონის კატეგორიას, რომელშიც შედის ბოსტნის ჩიტები. ამ უკანასკნელი დონის განსხვავებული კატეგორიებია არა მხოლოდ კატა და ძაღლი, არამედ ასევე ნაკლებ „ჩვეული“ ჩიტები, როგორცაა ინდური, სირაქლემა და ბრინჯი (Jolicœur et al. 1984). ჩიტის ისეთი სახეობები, როგორც არის შაშვი და შავი შაშვი, არიან ჩიტი-ს სუბორდინალური დონის ქვეკატეგორიები. პირველი კლასიფიკაცია უფრო გამართლებულია ბიოლოგიური თვალსაზრისით, რადგანაც სახეობები ბაზისურ დონეზე ლაგდებიან. მაგრამ ბევრი მოლაპარაკე დარწმუნებით გეტყვით, რომ მისთვის ბელურასა და შაშვს შორის არსებული მიმართება უფრო „მეტად ჰგავს“ კოლისა და სპანიელს შორის არსებულ მიმართებას, ვიდრე კატისა და ძაღლის ურთიერთმიმართებას. მოლაპარაკეებს, ვისთვისაც ჩიტის ჩვეულებრივი კონსტრუქცია არის ჩიტი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასევე ექნებათ ჩიტის სხვაგვარი კონსტრუქცია, კერძოდ, ჩიტის როგორც ფრინველის. ისევე როგორც მოლაპარაკეებს, ვისთვისაც (ამ ნაშრომის ავტორის მსგავსად) შაშვი აღნიშნავს ბაზისური დონის კატეგორიას, და ვისთვისაც ჩიტის ჩვეულებრივი კონსტრუქცია არის ფრინველი, სხვა სისტემითაც შეუძლიათ ოპერირება, თუ ამას გარემოება მოითხოვს.

## LANGUAGE

შეიძლება გაჩნდეს ასეთი კითხვა: რა განსხვავებაა ბაზისური დონის შაშვსა და სუბორდინალური დონის შაშვს შორის? როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორი არის შინაარსის სიმდიდრე – ცოდნის, მეხსიერებაში აღბეჭდილი ფაქტების, ასოციაციების და სხვ. ბაზისური დონის კატეგორიებს, როგორც წესი, აქვთ მდიდარი შინაარსი და ისინი მკაფიოდ განირჩევიან ერთმანეთისგან. მაშინ, როცა პროფესიონალი ბიოლოგისთვის კარგადაა ცნობილი ისეთი სახეობები, როგორც არის ნივინვა, მერცხალი, შაშვი და ა.შ., ქალაქის მაცხოვრებელმა შეიძლება იცოდეს ეს სახელები, მაგრამ ძალიან ცოტა რამ – თავად ამ ფრინველების შესახებ. ასე რომ, ის ვერ ააგებს ბაზისური დონის ერთეულებს: ასეთი სახელები მისთვის სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი „უჯრები“, რომელიც შეიძლება შეივსოს შესაბამისი ცოდნით. მას შეიძლება ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა (ბოსტნის) ჩიტზე, მაგრამ არ ექნება საკმარისი გამოცდილება ან ცოდნა, რომ ვიზუალურად წამოიდგინოს ცალკეული სახეობები; მას ერთნაირი დამოკიდებულება ექნება ბოსტნის ყველა ჩიტის მიმართ. თუკი ჩიტის კონსტრუქციული მას ორივე დონეზე აქვს – როგორც სუპერორდინალურ, ისე ბაზისურზე, ეს ორი ობიექტი არ ექნება ერთი და იმავე კატეგორიის სხვადასხვა დონის კონსტრუქციული, არამედ – ორი სხვადასხვა კატეგორია, რომელიც გვხვდება ამ ორ დონეზე.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, როცა მოლაპარაკეს შეეძლება იმოქმედოს ორი განსხვავებული სისტემით? განვიხილოთ ძაღლების მომშენებლის შემთხვევა, რომლისთვისაც ჩვეულ სამუშაო გარემოში ისეთი კატეგორიები, როგორც არის სპანიელი, კოლი, ელზასური ნაბაზი, ტერიერი ბაზისური დონის კატეგორიებია. როგორ მოიქცევა, თუ მოუწია არასპეციალისტთან ლაპარაკი? სულ მცირე, ალბათ, შეეცდება მოერგოს ამ ახალ სიტუაციას და დაუბრუნდება ამ ტერმინების ჩვეულ კონსტრუქციებს. მაგრამ ნამდვილად კი ცვლის ამ ტერმინებით აღნიშნულ კატეგორიებს ასეთ შემთხვევაში? თუ უბრალოდ, მათთვის ახალ დონეს აგებს? თუ ის მართლაც თავიდან აგებს შესაბამის კატეგორიებს, მაგალითად, თავისი პროფესიული ცოდნის დროებით უგულებელყოფით, მაშინ ის ფაქტიურად ქმნის ახალ კონცეპტუალურ კატეგორიებს. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ კატეგორიის დონის კონსტრუქცია შეუძლებელია შინაარსისგან დამოუკიდებლად, ე.ი. ნებისმიერი გადაადგილება ზევით თუ ქვევით ტაქსონომიური იერარქიის გასწვრივ მოხდება მხოლოდ შესაბამისი ლექსიკური ერთეულით აღნიშნული კატეგორიის სხვადასხვა კონსტრუქციის აგების შედეგად.

### 4.5. მნიშვნელობის დინამიკური კონსტრუქციული

იმისთვის, რომ დამაკმაყოფილებლად აიხსნას სიტყვებისა და მნიშვნელობების



ურთიერთმიმართება, უნდა შევქმნათ ისეთი თანმიმდევრული სურათი, სადაც ასახული იქნება როგორც ერთეულის სალექსიკონო მახასიათებლები, ისე მისი მნიშვნელობის კონტექსტუალური ცვალებადობა. ამას შეიძლება მივაღწიოთ სავსებით სტანდარტული გზით: სტრუქტურა შეიძლება მოვათავსოთ ლექსიკონში (ან, უკიდურეს შემთხვევაში, ავაგოთ ის ლექსიკონური განმარტებების საფუძველზე) და პრაქტიკული ნესების საშუალებით ავხსნათ მნიშვნელობების ცვლილებები. ამ ნაშრომში განვიხილავთ ალტერნატიულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც მნიშვნელობები და სტრუქტურული მიმართებები განისაზღვრებიან არა სალექსიკონო განმარტებების საშუალებით, არამედ ხდება მათი კონსტრუირება კონკრეტული სიტუაციების მიხედვით. ეს არ არის ახალი იდეა. ლინგვისტებს შორის ეს პირველად შემოგვთავაზეს მურმა და კარლინგმა (1982), დღესდღეობით კი საკმაოდ გავრცელებულია კოგნიტივისტებს შორისაც (მაგალითად, Lakoff and Sweetser [1994] და Croft [2000]); ანალოგიურ მიდგომას კოგნიტიურ ფსიქოლოგიაშიც ვხვდებით. მაგრამ ამ იდეის მიმდევრები ადრე, როგორც წესი, არ იყენებდნენ მას სტრუქტურული ლინგვისტიკის პრობლემების გადასაჭრელად. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, მნიშვნელობათა მიმართებები, ლექსიკური ველები, კომპონენტური ანალიზი და ა.შ. (პოლისემია ფართოდ იქნა შესწავლილი, მაგრამ ასეთ გამოკვლევებში, როგორც ჩანს, არ ეთმობოდა საკმარისი ყურადღება ისეთ სტრუქტურულ ნიშნებს, როგორიც არის მნიშვნელობის საზღვრები). რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ენობრივი გამონათქვამები იმ ნედლი მასალის არსებითი კომპონენტია, რომლის საფუძველზეც ხდება მნიშვნელობის კონსტრუირება. მაგრამ, როგორც ვნახავთ, ეს მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია სხვა კომპონენტებს შორის. ამ თვალსაზრისით, სიტყვებს მართლაც არა აქვთ მნიშვნელობები, არც – წინადადებებს: მნიშვნელობები არის ის, რასაც ჩვენ ვაგებთ ლინგვისტიური ელემენტების თვისებების გამოყენებით, მაგრამ ასევე – არალინგვისტიური ცოდნის, კონტექსტის, ცოდნისა და მსმენელის უნარის გათვალისწინებით.

სიტყვის მნიშვნელობის ჩვენი ახსნა მნიშვნელოვანწილად დინამიკური კონსტრუალების კონცეფციას ემყარება. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ კონცეპტები ყოველთვის არ უნდა იყვნენ გათანაბრებული კონტექსტუალურად აგებულ მნიშვნელობებთან, ანუ **ინტერპრეტაციებთან**. განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

- (15) ძაღლები არ დაიშვებიან ამ შენობაში.
- (16) მე მიყვარს კატები, მაგრამ ვერ ვიტან ძაღლებს.

როგორ სიტუაციაშიც არ უნდა გამოვიყენოთ ეს წინადადებები, *ძაღლის* ინტერპრეტაცია იქნება იგივე, რაც იმავე კონტექსტში კონსტრუირებული კონცეპტი

## LANGUAGE

ძალლი. იმის მიუხედავად, რომ მრავლადაა ასეთი მაგალითები, ეს ალბათ მაინც ვერ ჩაითვლება ტიპიურ შემთხვევად. ავილოთ წინადადება (17), სადაც ლაპარაკია სახლის ძალზე, რომლისთვისაც საჭმლის მიცემა დაავინყდათ:

(17)     ო, შეხედე: ამ სანყალ ცხოველს დილიდან არაფერი უჭამია!

შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა *ცხოველი* ამ შემთხვევაში წარმოადგენს შესაბამისი კონცეპტუალური კატეგორიის *ცხოველის* კონსტრუქტს. და მაინც, სრულად აგებული მნიშვნელობა გულისხმობს ინდივიდუალურ კონცეპტს, სახელდობრ, სახლის ძალს, რომლის საფუძველზეც ხდება მნიშვნელობის შემდგომი კონსტრუირება კონტექსტუალური ფაქტორების შესაბამისად (მათ შორის, იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ გამონათქვამში გამოყენებული იყო სიტყვა *ცხოველი* და არა *ძალლი*). სტატისტიკური მონაცემების გარეშეც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველდღიური კომუნიკაციისას, საბოლოო ჯამში, საქმე ინდივიდუალურ ობიექტებთან ან კონკრეტულ ადამიანებთან უფრო გვაქვს, ვიდრე ინდივიდთა კლასებთან.

მნიშვნელობის მოცემული განმარტება მოიცავს ოთხ ძირითად ცნებას. ესენია: კონტექსტუალიზებული ინტერპრეტაცია, შინაარსი, შეზღუდვები და კონსტრუქტი. მათ სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განვიხილავთ.

### 4.5.1. კონტექსტუალიზებული ინტერპრეტაცია

ცოცხალ კონტექსტში გამოყენებული სიტყვა ყოველთვის განსაკუთრებულია. როგორც ვიტგენშტაინი აღნიშნავს, „ყოველი ნიშანი თავისთავად მკვდარია. რა აძლევს მას სიცოცხლეს? ის მეტყველებაში გამოყენებისას ცოცხლდება. ამით შთაებერება მას სიცოცხლე? – ან იქნებ თვით გამოყენება არის მისი სიცოცხლე?“ (Wittgenstein, ციტატა აღებულია The Guardian-დან, 7 სექტემბერი, 2001).

ჩვენ კი ვიტყვით, რომ ნიშანს „სიცოცხლე შთაებერება“ მაშინ, როცა მას მიეცემა კონტექსტუალიზებული ინტერპრეტაცია. იზოლირებულ ნიშანს მართლაც აქვს სემანტიკურად ღირებული თვისებები, სემანტიკური პოტენციალი; ეს თვისებები გავლენას ახდენენ შესაძლო ინტერპრეტაციებზე, მაგრამ ისინი უნდა განვასხვაოთ თავად ინტერპრეტაციებისგან. (ნებისმიერი იზოლირებული სიტყვისგან მიღებული ბუნდოვანი წარმოდგენა მის მნიშვნელობაზე მიესადაგება შესაბამისი სიტყვის ყველაზე გავრცელებულ კონსტრუქტს). ნათქვამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ორი მაგალითი (ეს მაგალითები აღებულია მინეტ უოლტერსის რომანიდან The Breaker):



(18) ბერტი მზეზე იწვა კარის ზღურბლთან, როდესაც ინგრემმა ჭიშკართან მიაყენა ჯიბი. ძაღლმა გაბურძენილი თავი ასწია და მძიმედ დაარტყა კუდი ფეხსანმენდს, მერე კი აუჩქარებლად წამოიწია თათებზე და დაამთქნარა.

(19) ბიბი . . . ფეხმორთხმით იჯდა იატაკზე ტონის ფეხებთან . . . ნერვიულად ასწია თავი.

ჩვენ არც ვეცდებით ამ ნაწყვეტების დეტალურ განხილვას. ეს ფრაგმენტები იმისთვის მოვიყვანეთ, უფრო აშკარა რომ გაგვეხადა ცალკეულ ნიშანთა 'უსიცოცხლობა' – მათ საფუძველზე აგებული 'ცოცხალი' ინტერპრეტაციებისგან განსხვავებით. წარმოიდგინეთ, რა ცნობებს მოგვანვდიდა ლექსიკონი ისეთი სიტყვების მნიშვნელობებზე, როგორიცაა *მძიმედ დარტყმა*, *წამოწევა*, *ანევა*, და შეადარეთ ეს იმ ცოცხალ სურათს, რაც ამ სიტყვებმა დაგვიხატეს ციტირებულ ფრაგმენტებში. შეადარეთ სიტყვა *ანევა* ორ ფრაზაში: *ძაღლმა გაბურძენილი თავი ასწია და ნერვიულად ასწია თავი*. ეს მარტო იმიტომ კი არ არის სხვადასხვა ქმედებები, რომ პირველს ძალის ასრულებს და მეორეს – გოგონა: ძაღლის თავი ამ ქმედების შედეგად მიწიდან უფრო მაღალ პოზიციაზე ინაცვლებს; გოგონა მხოლოდ წამოწევს თავს ისე, რომ ზევით აიხედოს.

რა თქმა უნდა, როდესაც ვაგებთ ამ სცენებს, ვემყარებით ჩვენს დაგროვილ ცოდნას გოგონასა და ძაღლის ქცევაზე სხვადასხვა ვითარებებში: თუ ბიბი, ვთქვათ, პირქვე იწვა იატაკზე და ნიკაპი წიგნზე ედო, ვილაცამ კი სთხოვა ეჩვენებინა ეს წიგნი, მაშინ თავის ანევა, რომელზეც ლაპარაკი იქნებოდა ფრაზაში *ბიბიმ ასწია თავი* გაცილებით უფრო ახლოს იქნებოდა იმ ქმედებასთან, რომელსაც აღნიშნავს ფრაზა *ძაღლმა ასწია თავი*. რა თქმა უნდა, ეს ნიუანსები უშუალოდ არ იგულისხმება სიტყვაში *ანევა*, მათ შეიცავს კონტექსტის საფუძველზე აგებული მნიშვნელობა და მიიღება როგორც სიტყვა *ანევის* კონკრეტული გამოყენების პირდაპირი შედეგი (შდრ. ფილმორის გაგების სემანტიკა).

როცა ჩვეულებრივი კომუნიკაციის პროცესში გვესმის რაღაც ტექსტის ფრაგმენტი, ჩვენ აქ გვექნება გააზრების მომენტი, აღქმული მნიშვნელობის ერთგვარი კრისტალიზაცია – ჩვენ ვხვდებით, რა თქვა ვილაცამ ამ დროს (ან დანერა). ეს ძალიან ჰგავს ნაცნობი სახის ამოცნობას, ან იმას, როცა ვაცნობიერებთ, რომ რასაც ვხედავთ, არის ძალის ან სხვა რაიმე ობიექტი. როცა სახეს ვხედავთ, უბრალოდ კი არ ვცნობთ, ვისი სახეა ეს, არამედ იმავედროულად შესაძლოა დავინახოთ, რომ ეს ადამიანი არის დაღლილი, ან შეწუხებული, ან თმა აქვს ქარისგან აწეწილი და ა.შ. თუ დავფიქრდებით, შეიძლება მივხვდეთ, თუ რას აკეთებდა ეს ადამიანი, ან რატომ არის შეწუხებული. ეს პროცესი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევებში ყოველთვის იარსებებს ამოცნობის

## LANGUAGE

აპრიორული მომენტი.

რალაც მსგავსი ხდება, როდესაც ვისმენტ ტექსტის ფრაგმენტს. ჩვენ მყისიერად ვხვდებით, რა ითქვა, მაგრამ უსასრულოდ შეიძლება განვავრდოთ დასკვნების გამოტანა. ნათქვამის გაგების პროცესში სწორედ ესაა ჩვენთვის მთავარი. ჩვენ ამას ვუნოდეთ გამონათქვამის ინტერპრეტაცია. ფენომენოლოგიური თვალსაზრისით, ეს სავსებით გასაგები მოვლენაა. მაგრამ საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვაოთ პროცესები, რომლებიც წინ უძღვის და განაპირობებს კრისტალიზაციას და პროცესები, რომლებიც მოსდევს ასეთ კრისტალიზაციას. მნიშვნელობასთან დაკავშირებულ ბევრ კონცეფციაში განსაზღვრულია ინტერპრეტაციის აგების საწყისი მომენტი, მაგრამ არ არის განსაზღვრული ამ პროცესის დასასრული. მაგალითად, რელევანტობის თეორიაში (Spender and Wilson 1986) საწყისი წერტილი არის გაგონილის შესახებ პირველი დასკვნა, საბოლოო წერტილი კი (თუ ის საერთოდ არსებობს) არის კვლავადი ღირებულების განმარტებათა უსასრულო რიგი. გაგების წარმოდგენილ მოდელს აქვს განუსაზღვრელი საწყისი წერტილი (შინაარსი) და განსაზღვრული ბოლო წერტილი.

ინტერპრეტაცია მოგვაგონებს სურათს, რამდენადაც ის არ ექვემდებარება სასრულ დახასიათებას სემანტიკური ნიშნების საფუძველზე, ან რაიმე სხვა მეთოდით. ნებისმიერი ნიშანი თავად არის კონსტრუქტი. რა თქმა უნდა, მნიშვნელობას, გარკვეული აზრით, უნდა შეესაბამებოდეს სასრული ნეირონული ხატი, მაგრამ ამ ხატის შემადგენელი ელემენტები კომპიუტერის ეკრანზე გამოსახული სურათის პიქსელებს უფრო ჰგვანან: აღქმული სურათი არის გემტალტი. ასევეა ინტერპრეტაციის შემთხვევაშიც. ეს მოვლენა კვლავაც საიდუმლოებითაა მოცული.

შევნიშნავთ, რომ ამ პროცესის მოცემული დახასიათება ორიენტირებულია მსმენელზე. სავარაუდოა, რომ მოლაპარაკის გონებაში ყალიბდება რალაც, რაც წინ უძღვის ფრაზის წარმოთქმას, მაგრამ გარკვეული აზრით, მოლაპარაკემ არ იცის, თუ რას იტყვის, ვიდრე თავის ფრაზას არ წარმოთქვამს. მოლაპარაკის უმთავრესი ამოცანა სათქმელის ისე ჩამოყალიბებაა, რომ წარმოთქმულმა ფრაზამ მთქმელისთვის სასურველი ინტერპრეტაცია აღძრას მსმენელის გონებაში.

### 4.5.2. შინაარსი

ყოველი ლექსიკური ერთეული (სიტყვის ფორმა) დაკავშირებულია კონცეპტუალურ ობიექტთან, რომელსაც აქ ვუნოდებთ **შინაარსს**. შინაარსი არის იმ ნედლი მასალის ნაწილი, რომელსაც ვიღებთ სიტყვის საშუალებით და რომელიც წარმოადგენს ინტერპრეტაციის საფუძველს (მეორე ნაწილი არის პირობითი შეზღუდვების სიმრავლე). შინაარსი არ შეესაბამება არც ერთ კონკრეტულ ინტერპრეტაციას,

აბსტრაქტულსაც კი, ისევე, როგორც ზოგადად სიტყვა არ არის მტკიცედ დაკავშირებული კონკრეტულ კონცეპტუალურ კატეგორიასთან. ამავე დროს, ინტუიცია უმრავლეს შემთხვევებში ადვილად აკავშირებს ერთმანეთთან ნებისმიერი სიტყვის სხვადასხვა გამოყენებებს. ნაწილობრივ ეს შეიძლება აიხსნას სტაბილური კავშირით სიტყვის ფორმასა და შინაარსს შორის.

შინაარსი შეიძლება იყოს შედარებით ერთგვაროვანი, მაგრამ შეიძლება შეიცავდეს ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებულ კომპონენტებსაც (როგორც ტრადიციულ ‘ომონიმიაში’); შესაძლოა ასევე, რომ მის ნაწილებს ახასიათებდეს კოჰერენტულობის შუალედური ხარისხი. (ისეთ სიტყვაზე, როგორიცაა ინგლისური bank (1. ‘მდინარის ნაპირი’; 2. ‘ბანკი’;.....), რომლის შინაარსიც ორაზროვანია, ჩვენ არ ვიტყვით, რომ მას აქვს ორი [ან მეტი] შინაარსი. მართალია, ბევრი არაფერი დაშავდებოდა, ასეთი კვალიფიკაცია რომ მიგვეცა მსგავსი ზღვრული შემთხვევებისთვის, მაგრამ ამით მიიჩქმალებოდა ის ფაქტი, რომ არსებობს შინაარსის კომპონენტთა „არაერთგვაროვნების“ კონტინუუმი, რომელშიც ასეთ შემთხვევებს უკიდურესი პოზიცია უჭირავთ).

შინაარსი არ უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელობის კონსტრუირებულ ვარიანტად. შინაარსს ისეთივე მიმართება აქვს ინტერპრეტაციასთან, როგორიც კვერცხს – ომლეთთან, ან ფქვილს – პურთან: ონტოლოგიურად ის სულ სხვა კატეგორიაა. შინაარსი არის მნიშვნელობის ინგრედიენტი და არა – შემადგენელი. ზოგადად, ის არ შეიძლება განვიხილოთ როგორც აბსტრაქტული ან სუპერორდინალური მნიშვნელობა, რომელიც კონკრეტდება მოცემულ კონტექსტში. ინტერპრეტაცია არ არის შინაარსის კონტექსტუალური დაკონკრეტება, ის მისი გარდაქმნაა.

სიტყვის შინაარსი გამოიყვანება ამ სიტყვის მრავალჯერადი გამოყენებიდან სხვადასხვა კონკრეტულ კონტექსტში. ის განუწყვეტლივ ვითარდება: სიტყვის გამოყენების ყოველი შემთხვევა გარკვეულწილად ცვლის მის შინაარსს.

### 4.5.3. შეზღუდვები

რა თქმა უნდა, ინტერპრეტაციების კონსტრუირება გარკვეულ შეზღუდვებსაც გულისხმობს. შეზღუდვები მრავალია და სხვადასხვა სახისაა. ისინი განსხვავდებიან სიძლიერით და შეიძლება გააძლიერონ ან გააბათილონ ერთმანეთი. მათი გადალახვა შეიძლება შემეცნებითი ძალისხმევით, მაგრამ რაც უფრო ძლიერია შეზღუდვა, მით უფრო დიდი შემეცნებითი ძალისხმევაა საჭირო, რათა მოხდეს ისეთი კონსტრუქტის აგება, რომელიც უგულვებლყოფს ამ შეზღუდვას. ისინი ასევე განსხვავდებიან თავიანთი სტაბილურობის ხარისხით კონტექსტის ცვლილებისას. შეზღუდვები შეიძლება არაფორმალურად დაიყოს შემდგომ კატეგორიებად.

### 4.5.3.1. ადამიანის შემეცნებითი უნარი

შეზღუდვის ერთ-ერთ უმთავრეს ტიპს განაპირობებს ადამიანის შემეცნებითი სისტემა. აქ იგულისხმება ორივე: როგორც პოზიტიური ასპექტები – უნივერსალური ტენდენცია, ყველაფერი მოექცეს გარკვეული სტრუქტურის ფარგლებში და გეშტალტის სხვა პრინციპები, ისე ნეგატიური ასპექტები, როგორც არის შეზღუდული მეხსიერება და ყურადღების შეზღუდული უნარი.

### 4.5.3.2. რეალობის ზენოლა

შეზღუდვის კიდევ ერთ ტიპს შეგვიძლია უბრალოდ ვუნოდოთ „რეალობის ზენოლა“. გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი უფრო ადვილად ექვემდებარება კონსტრუირებას გარკვეული მეთოდით და უფრო ძნელად – სხვა მეთოდით. მაგალითად, როცა საქმე გვაქვს მახასიათებლებთან, ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ მათი კონსტრუირების გზა: ან წარმოვიდგინოთ, რომ ესა თუ ის მახასიათებელი „არის“ ან „არ არის“, ან წარმოვიდგინოთ, რომ ეს მახასიათებელი „არის რალაც ხარისხით“. ავილოთ, მაგალითად, მდგომარეობა ‘დაქორწინებული’: გაცილებით მარტივია, ავაგოთ ის როგორც დიქტომია (დაქორწინებული : მარტოხელა), ვიდრე როგორც გრადუალური ცნება (ძალიან დაქორწინებული: ოდნავ დაქორწინებული). მეორე მხრივ, როცა საქმე ეხება წრფივ სივრცულ მახასიათებელს, გაცილებით ადვილია ავაგოთ ის როგორც გრადუალური შკალა, ვიდრე როგორც დიქტომია. იმავე მიზეზით, ძნელია არ გაავლო აზრობრივი საზღვარი bank-ის ორ მნიშვნელობას შორის, და ეს როგორღაც იმ ურყევი რეალობითაც არის განპირობებული, რომლის თანახმადაც არსებობს river bank (‘მდინარის ნაპირი’) და money bank (‘ბანკი’).

### 4.5.3.3. პირობითობა

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი შეზღუდვა არის პირობითობა, ანუ ის, თუ ჩვეულებრივ როგორ აღიქვამენ სხვადასხვა სიტუაციას, როგორ იყენებენ სიტყვებს და ა.შ. იმ საზოგადოებაში, რომელშიც ვცხოვრობთ (შეზღუდვების თეორიის შესახებ იხ. Lewis 1969, Clark 1996 და Croft 2000). არსებობს პირობითობის ორი ასპექტი. პირველი მათგანი უკავშირდება იმგვარ შესაბამისობას, რომელიც არსებობს სიტყვის ფორმებსა და კონცეპტუალური შინაარსის არეებს შორის. თავისთავად, ეს შეზღუდვაა. რომელიმე ორი სიტყვის სემანტიკური პოტენციალის განსხვავება ემყარება ამ სიტყვებთან დაკავშირებული შინაარსების განსხვავებულობას. პირობითობის მეორე ასპექტი არის სიტყვისთვის რომელიმე კონკრეტული შინაარსის ფორმირების გაძნელება. გარკვეული კონსტრუქტები, ძლიერი შეზღუდვების არსებობის გამო, იღებენ არამარკირებულ (ჩვეულ) სტატუსს და მისგან განსხვავებული კონსტრუქტის აგება მოითხოვს დამატებით შემეცნებით ძალისხმევას. პირობითი შეზღუდვები, როგორც წესი, დამოკიდებულია კონტექსტზე, ე.ი.

კონტექსტის (ან, უფრო ზუსტად, გარკვეული ტიპის კონტექსტის) მიხედვით პირობითი შეზღუდვები აადვილებს გარკვეული კონსტრუქციების აგებას მოცემული შინაარსის საფუძველზე.

#### 4.5.3.4. კონტექსტი

დასასრულ, განვიხილავთ არანაკლებ მნიშვნელოვანი ტიპის შეზღუდვებს, კერძოდ, კონტექსტუალურ შეზღუდვებს. ეს დაახლოებით ის არის, რასაც კლარკი (1996) უწოდებს **ზოგად ფონს**.

##### (a) ლინგვისტური კონტექსტი

ლინგვისტური კონტექსტი არის კლარკისეული **პერსონალური ზოგადი ფონის** ერთ-ერთი კომპონენტი (**სამოქმედო საფუძველი**). აქ შეგვიძლია სამი ასპექტი გამოვყოთ:

- (i) წინა დისკურსი: ანუ ის ტექსტი, რომელიც მოცემულ გამონათქვამს უშუალოდ უძღოდა წინ. ის არის შეზღუდვების ძლიერი წყარო.
- (ii) უშუალო ლინგვისტური გარემოცვა: სიტყვის გარმომცველი ფრაზა ან წინადადება ძლიერ ზეგავლენას ახდენს მისი კონსტრუქციის აგებაზე. მაგალითად, უშუალო ლინგვისტური კონტექსტის გათვალისწინებით, ჩვენ სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას მივცემთ სიტყვა bank-ს (20)-სა და (21)-ში:

(20) We moored the boat to the bank. ('ჩვენ მივაბით ნავი მდინარის ნაპირთან'.)

(21) I've got no money – I'll call in at the bank on the way home. ('მე არ მაქვს ფული – შინ დაბრუნებისას ბანკში შევივლი')

- (iii) დისკურსის ტიპი: აქ იგულისხმება ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ჟანრი (რასთან გვაქვს საქმე – პოემასთან, ნოველასთან, სახელმძღვანელოსთან, გაზეთის სტატიასთან, პირად წერილთან, მეგობრულ საუბართან, პოლიციაში დაკითხვასთან და სხვ.), სტილი (ფორმალურია თუ არაფორმალური, თუ ფორმალურია – ტექნიკურია თუ არატექნიკური, თუ არაფორმალურია – იუმორისტულია თუ არა და სხვ.) და დისკურსის სფერო (იურიდიული, სასულიერო, სპორტული, პოლიტიკური და სხვ.).

##### (b) ფიზიკური კონტექსტი

ასევე მნიშვნელოვანია ის, თუ რას ხედავენ, ესმით და ა.შ. მონაწილეებს თავის

## LANGUAGE

უშუალო გარემოცვაში. ეს შეესაბამება კლარკის **პერცეფციულ ბაზას**, რომელიც აუცილებელია პერსონალური ზოგადი ფონის შესაქმნელად.

### (c) სოციალური კონტექსტი

ამ ტერმინით აღინიშნება ის სიტუაციაა, რომელშიც არიან მონაწილენი, ასევე მათ შორის არსებული სოციალური ურთიერთობები (ძალაუფლების მიმართებების ჩათვლით). ამან შეიძლება ძლიერი გავლენა მოახდინოს კონსტრუქტზე.

### (d) დაგროვილი ცოდნა

ნებისმიერი გამონათქვამის დამუშავება ხდება დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის მარაგის საფუძველზე, და ეს გავლენას ახდენს ამა თუ იმ კონსტრუქტის ალბათობაზე. მაგალითად, bank-ის ზემომოყვანილ მაგალითში, (21)-ის ინტერპრეტაცია სხვაგვარი იქნება, თუ გვეცოდინება, რომ მთქმელი არის ექსცენტრული განდევილი და თავის ფულს ინახავს მდინარის ნაპირას ყუთში. (iii) და (iv) პუნქტებში მოცემული ელემენტები არის კლარკისეული **საზოგადოებრივი ფონის** ილუსტრაცია.

## 4.5.4. კონსტრუქტი

კონსტრუქტი, ლანგაკერის თანახმად, ლექსიკური სემანტიკის ცენტრალური ცნებაა. სწორედ კონსტრუქტის აგების პროცესში ხდება არსებითად არასემანტიკური შინაარსის გარდაქმნა სრულად კონტექსტუალიზებულ მნიშვნელობებად.

### 4.5.4.1. კონსტრუქტული ჯაჭვები და წინარე-მნიშვნელობები

როგორც უკვე ითქვა, მნიშვნელობის ფორმირება არ არის მარტივი პროცესი, მნიშვნელობა არის მთელი რიგი ელემენტარული პროცესების შედეგი, რომელთა ნაწილი დალაგებულია თანმიმდევრულად, ნაწილი კი ერთდროულად მიმდინარეობს. უმეტეს შემთხვევაში, როგორც ვნახავთ, კონსტრუქტების სტადიებს (შინაარსიდან ინტერპრეტაციამდე) ახასიათებს მნიშვნელოვანი სემანტიკური თვისებები. ამ შუალედურ სტადიებს **წინარე-მნიშვნელობებს** ვუწოდებთ. მაგალითად, საზღვრების აგება ქმნის წინარე-მნიშვნელობას, რომელსაც აქვს ლოგიკური თვისებები და რომელიც არ არის დამოკიდებული კონსტრუქტების მომდევნო ან თანმხლებ პროცესებზე.



#### 4.5.4.2. არამარკირებული (ჩვეული) კონსტრუქციები

პირობითი შეზღუდვები არსებით როლს ასრულებენ კომუნიკაციის პროცესში და უზრუნველყოფენ საზოგადოებაში ენის გამოყენების ერთგვაროვნებას. ისინი ინდივიდთა გონებაში არიან, მაგრამ მათი სათავე ინდივიდთა გარეთ, სამეტყველო საზოგადოებაში უნდა ვეძიოთ. სხვადასხვა პირობითი შეზღუდვები განსხვავდებიან სიძლიერით. სუსტი შეზღუდვა სხვას არაფერს იძლევა, თუ არა ყველაზე მისაღებ ან ყველაზე დიდი ალბათობის მქონე კონსტრუქციას, რომელიც ადვილად შეიძლება გადაილახოს კონტექსტუალური შეზღუდვების საფუძველზე; ძლიერი შეზღუდვის გადალახვა კი გაცილებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს. კონსტრუირების სხვადასხვა ასპექტები შეიძლება დამოუკიდებლად დაექვემდებაროს პირობით შეზღუდვებს: შეზღუდვის მოქმედების შედეგად იშვიათად მიიღება სრულად კონსტრუირებული მნიშვნელობა, და უფრო სავარაუდოა, რომ ის იყოს წინარემნიშვნელობა და გულისხმობდეს, ვთქვათ, მხოლოდ საზღვრის აგებას და იმ სივრცის განსაზღვრას, რომელიც უნდა შეივსოს კონსტრუირების შემდგომი პროცესის შედეგად. პირობითი შეზღუდვა არ არის აუცილებლად დამოუკიდებელი კონტექსტისგან: ზოგიერთი შეზღუდვა კონტექსტის მხოლოდ გარკვეულ ტიპებში მოქმედებს. ისინი ასევე შეიძლება მოქმედებდნენ სპეციფიკაციის განსხვავებულ დონეებზე – ამ შემთხვევაში მცირემასშტაბიანი შეზღუდვა „დაამუშავებს“ ფართომასშტაბიანი შეზღუდვის მოქმედების შედეგს. გარკვეულ შემთხვევებში ზოგი შეზღუდვა შეიძლება გაუქმდეს, მაგრამ ზოგჯერ ის მაინც იმოქმედებს კონსტრუირების გარკვეულ ასპექტებზე, თუ მოცემული კონტექსტი მკაფიოდ არ მოითხოვს რაიმე განსაზღვრულ კონსტრუქციას. ამ შეზღუდვების მოქმედების შედეგად მივიღებთ არამარკირებულ (ჩვეულ) კონსტრუქციებს. არამარკირებული კონსტრუქციებიც შეიძლება იყოს კონტექსტზე დამოკიდებული. ალბათ სწორედ ეს არამარკირებული კონსტრუქციები ქმნის მნიშვნელობათა ფიქსირებულობის ილუზიას.

#### 4.6. მნიშვნელობის სტრუქტურული და ლოგიკური ასპექტები

სიტყვის მნიშვნელობის როგორც დინამიკური კონსტრუქციის კონცეფციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია კომპლექსურად ახსნას სიტყვის მნიშვნელობის როგორც მყარი, ისე ცვალებადი ასპექტები და მიაკვლიოს ამ ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი თვისებების სათავეს. „მყარ“ თვისებებში იგულისხმება ისეთი აზრობრივი მიმართებები, როგორიც არის ჰიპონიმია, შეუთავსებლობა, მერონიმია და ანტონიმია, სტრუქტურული ლექსიკური სიმრავლეების არსებობა (სიტყვის ველები) და ისეთი ლოგიკური მიმართება, როგორიცაა გამომდინარეობა. მაგალითად, ყველამ ვიცით, რომ წინადადებიდან *ეს არის ძალღი* გამომდინარეობს წინადადება *ეს არის ცხოველი*. მაგრამ რას ნიშნავს ეს? და როგორ იქნება ეს ასე, თუკი *ძალღი* და *ცხოველს* არ აქვთ ფიქსირებული მნიშვნელობები? ამ შემთხვევაში იტყვიან, რომ ასეთი თვისებები ფაქტიურად ეკუთვნის წინარე-მნიშვნელობებს, რომლე-

## LANGUAGE

ბიჯ ძირითად მიღებულია საზღვრების აგებისა და შესაბამის შკალებზე ათვლის წერტილების დადგენის შედეგად. დეკონტექსტუალიზირებული წინადადებების შემთხვევაში კატეგორიული მტკიცებები გამომდინარეობს შესახებ გულისხმობს შესაბამისი სიტყვების ჩვეულ (საზოგადოდ მიღებულ) აზრობრივ საზღვრებს. ამდენად, ფლექსიურობას განაპირობებს თვით შინაარსის ბუნება და ის ფაქტი, რომ კონსტრუირების პროცესებზე გავლენას ახდენს კონტექსტუალური ფაქტორები; პირობითი შეზღუდვები კონტექსტუალურ ცვალებადობას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს. სიმყარეს განაპირობებს ისეთი გარეგანი სქემების მოქმედება, როგორც არის სქემა-კონტინერი და სქემა-შკალა. საზღვრის კონსტრუალის საფუძველზე ასევე შეიძლება აიხსნას სიტყვის მნიშვნელობის კომპონენტურობა. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი იმის დაშვება, რომ სემანტიკური ნიშნები სიტყვის მნიშვნელობის მუდმივი ელემენტები არიან.

კომპოზიციურობის პრინციპის თანახმად, რთული გამონათქვამის მნიშვნელობა არის მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობების კომპოზიციური ფუნქცია. ამ ნაშრომში წარმოდგენილი თვალსაზრისი სიტყვის მნიშვნელობის შესახებ ამკარად აისახება ამ პრინციპის ინტერპრეტაციასა და მისი მართებულობის შეფასებაზე. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ის არის, რომ თუ „ნაწილები“ არიან სიტყვები, მაშინ, რამდენადაც ჩვენი მიდგომის თანახმად, სიტყვებს არა აქვთ მნიშვნელობები, შეუძლებელი იქნება ამ პრინციპის ინტერპრეტაცია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია „მნიშვნელობები“ ჩავთვალოთ „კონსტრუირებულ მნიშვნელობებად“ და ასეთ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ მოცემული პრინციპის უმნიშვნელოდ შეცვლილი ვარიანტი:

(22) რთული გამონათქვამის კონსტრუირებული მნიშვნელობა არის მისი ნაწილების კონსტრუირებული მნიშვნელობების კომპოზიციური ფუნქცია.

მაგრამ არც ამ წინადადების დამტკიცებაა შესაძლებელი, რადგან აქ იგნორირებულია კონტექსტის როლი რთული გამონათქვამის მნიშვნელობის აგებისას. ეს პრინციპი კიდევ შეიძლება შეიცვალოს და ასეთი ფორმით ჩამოყალიბდეს:

(23) რთული გამონათქვამის მნიშვნელობა არის კონსტრუირების ისეთი პროცესის შედეგი, რომლის ერთ-ერთი საფუძველიც არის მისი შემადგენელი ნაწილების კონსტრუალები.

ეს საშუალებას აძლევს კონტექსტს ორ დონეზე იმოქმედოს: საწყის ეტაპზე – სიტყვის მნიშვნელობის კონსტრუირებისას და მთელი გამონათქვამის დონეზე. მაგრამ ეს ძალზე სცილდება კომპოზიციურობის თავდაპირველ პრინციპს. ეს კულინარიას უფრო მოგვაგონებს. არის თუ არა კულინარია კომპოზიციური ხელობა?

მართლაც, საბოლოო შედეგი აქ განისაზღვრება (a) ინგრედიენტებით და (b) განხორციელებული პროცედურებით – ასე რომ, არის ამაში კომპოზიციურობის ელემენტი. მაგრამ ეს ის არაა, რასაც ჩვეულებრივ გულისხმობენ ამ პრინციპის მიმდევრები. თუ მხედველობაში გვექნება გლობალური კონსტრუქტები, მაშინ ისინი ჭეშმარიტად კომპოზიციურები მხოლოდ კულინარიული აზრით არიან. მაგრამ შეიძლება არსებობდეს მნიშვნელობის ისეთი ასპექტები, რომლებიც ექვემდებარებიან კლასიკურ პრინციპს – გარკვეულ დონემდე მაინც. ლოგიკური თვისებები განისაზღვრება საზღვრის მდებარეობით, ასე რომ: იქნებ წინარე-მნიშვნელობა, რომელიც საზღვრების შემოფარგვლის შედეგად იქმნება, კლასიკური წესის თანახმად მოქმედებს? ეს დამაჯერებლად ჟღერს: როდესაც ჩვენ ვახდენთ წითელი ქუდების კონსტრუირებას, ჩვენ ვაგებთ წითელი საგნების კატეგორიას და ქუდების კატეგორიას და თითქოს უეჭველია, რომ საბოლოო კატეგორია იქნება ამ ორი კატეგორიის თანაკვეთა. მაგრამ ეს მართებულია მხოლოდ კლასის წევრობის განსაზღვრისთვის: ჩვენ არა გვაქვს იმის გარანტია, რომ ამ პროცედურის შედეგად მივიღებთ პროტოტიპულ ქუდებს ან რომ მათი ფერი პროტოტიპული წითელი იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კლასიკური კომპოზიციურობის პრინციპი ძალაში რჩება მნიშვნელობის გარკვეული ასპექტებისთვის და კონსტრუირების გარკვეულ დონეებზე, მაგრამ არა ყველა ასპექტისა ან დონისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

Armstrong, Sharon Lee, Lila R. Gleitman and Henry Gleitman. 1983. What some concepts might not be. *Cognition* 13:263–308.

Atran, Scott. 1990. *Cognitive foundations of natural history: towards an anthropology of science*. Cambridge: Cambridge University Press.

Barsalou, Lawrence W. 1983. Ad hoc categories. *Memory and Cognition* 11:211–27.  
1987. The instability of graded structure: implications for the nature of concepts. *Concepts and conceptual development: ecological and intellectual factors in categorization*, ed. Ulric Neisser, 101–40. Cambridge: Cambridge University Press.  
1992b. *Cognitive psychology: an overview for cognitive scientists*. Hillsdale, N.J.: Lawrence Erlbaum Associates.

Berlin, Brent and Paul Kay. 1969. *Basic color terms: their universality and evolution*. Berkeley: University of California Press.

## LANGUAGE

- Berlin, Brent, Dennis E. Breedlove and Peter H. Raven. 1973. General principles of classification and nomenclature in folk biology. *American Anthropologist* 75:214–42.
- Bolinger, Dwight. 1992. About furniture and birds. *Cognitive Linguistics* 3:111–18
- Brown, Cecil H. 2002. Paradigmatic relations of inclusion and identity I: Hyponymy. *Lexicology: on international handbook on the nature and structure of words and vocabularies* (Handbooks of Linguistics and Communication Science, 21), ed. D. Alan Cruse, Franz Hundsnurscher, Michael Job and Peter Lutzeier, ch.47. Berlin: Walter de Gruyter.
- Brown, Roger. 1958. How shall a thing be called? *Psychological Review* 65:14–21.
- Clark, Herbert H. 1996. *Using language*. Cambridge: Cambridge University Press.
- Collins, Allan M. and M. Ross Quillian. 1969. Retrieval time from semantic memory. *Journal of Verbal Learning and Verbal Behaviour* 8:240–47.
- Croft, William. 2000. *Explaining language change: an evolutionary approach*. London: Longman.
- Cruse, D. Alan. 1977. The pragmatics of lexical specificity. *Journal of Linguistics* 13:153–64. 1990. Prototype theory and lexical semantics. *Meanings and prototypes: studies in linguistic categorization*, ed. Savas L. Tzohatzidis, 382–402. London: Routledge.
- Fillmore, Charles J. 1975. An alternative to checklist theories of meaning. *Proceedings of the First Annual Meeting of the Berkeley Linguistics Society*, ed. Cathy Cogen et al., 123–31. Berkeley: Berkeley Linguistics Society.
- Hahn, Ulrike and Nick Chater. 1997. Concepts and similarity. *Knowledge, concepts and categories*, ed. Koen Lamberts and David Shanks, 43–92. Hove: Psychology Press.
- Hampton, James. 1991. The combination of prototype concepts. *The psychology of word meanings*, ed. P. Schwanenflugel, 91–116. Hillsdale, N. J.: Lawrence Erlbaum Associates. 1997. Psychological representation of concepts. *Cognitive models*

*of memory*, ed. Martin A. Conway, 81–107. Hove: Psychology Press.

Heider, Eleanor. 1971. Focal color areas and the development of color names. *Developmental Psychology* 4:447–55. 1992. Universals in color naming and memory. *Journal of Experimental Psychology* 93:10–20.

Jolicoeur, Pierre S., Martin A. Gluck and Stephen M. Kosslyn. 1984. Pictures and names: making the connection. *Cognitive Psychology* 19:31–53.

სიის ჩამოწერისთვის ჩვეული აღნიშვნა '{ }'; ცარიელი სიმრავლე აღინიშნება სპეციალური სიმბოლოთი: '∅'.

A სიმრავლის წევრთა რაოდენობას ეწოდება სიმრავლის რაოდენობრიობა, რაც ჩაინერება შემდეგნაირად: |A| ან # (A). სასრული სიმრავლის რაოდენობრიობა ჩაინერება რომელიმე ნატურალური რიცხვით. მაგალითად, (1-12)-ში განსაზღვრული სიმრავლის რაოდენობრიობა არის 6 და რამდენადაც (1-13)-ში და (1-14)-ში განსაზღვრულია ერთი და იგივე სიმრავლე, შესაბამასიად რაოდენობრიობაც იგივე დარჩება (გასაგებია, რომ განსახვავებულ სიმრავლეებსაც შეიძლება ჰქონდეთ ერთი და იგივე რაოდენობრიობა). უსასრულო სიმრავლეებსაც ახასიათებთ რაოდენობრიობა, თუმცა იგი არ გამოისახება ნატურალური რიცხვით. მაგალითად, ნატურალურ რიცხვთა სიმრავლის რაოდენობრიობა განისაზღვრება როგორც 'აღეფ-ნული', რაც შემდეგნაირად ჩაინერება:ℵ<sub>0</sub>, რომელიც არ წარმოადგენს ნატურალურ რიცხვს. აღნიშნული საკითხი უსასრულო სიმრავლეებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად განიხილება მე-4 თავში.

### 1. 4 ქვესიმრავლები

როდესაც A სიმრავლის ყოველი წევრი ამავე დროს B სიმრავლის წევრია, A სიმრავლეს ვუწოდებთ B-ს ქვესიმრავლეს. სიმრავლეთა შორის ამ მიმართებას აღვნიშნავთ შემდეგნაირად: A⊆B. B შეიძლება შეიცავდეს სხვა წევრებსაც იმათ გარდა, რომლებიც შედიან A-ში, თუმცა ეს არაა აუცილებელი მოთხოვნა. ამგვარად, გამოდის, რომ ყოველი სიმრავლე ამავედროულად არის საკუთარი თავის ქვესიმრავლე. ამ ფაქტის (რომ სიმრავლე არის საკუთარი თავის ქვესიმრავლე) გამოსარიცხად გამოიყენება საკუთრივი ქვესიმრავლის ცნება, რომელიც შემდეგნაირად აღინიშნება: A ⊂ B. ქვესიმრავლური მიმართების უარყოფისათვის უბრალოდ გადავხაზავთ ქვესიმრავლის სიმბოლოს, მაგალითად, A ⊄ B ნიშნავს, რომ A არ არის B-ს ქვესიმრავლე, რაც იმას ნიშნავს, რომ A-ში არის სულ ცოტა ერთი წევრი ისეთი, რომელიც არ არის ამავედროულად B-ს წევრი.

აქ წარმოდგენილი ცნებები ილუსტრირებულია შემდეგი მაგალითებით:

- (1-16) a) {a, b, c} ⊆ {s, b, a, e, g, i, c}
- b) {a, b, j} ⊄ {s, b, a, e, g, i, c}
- c) {a, b, c} ⊂ {s, b, a, e, g, i, c}
- d) ∅ ⊂ {a}
- e) {a, {a}} ⊆ {a,b, {a}}
- f) {{a}} ⊄ {a}
- g) {a} ⊄ {{a}}, მაგრამ {a} ∈ {{a}} (!!!)



## COMPUTATION

ქვესიმრავლის განსაზღვრებიდან გამომდინარეობს კურიოზული შედეგი: ნულოვანი (ცარიელი) სიმრავლე არის ნებისმიერი სიმრავლის ქვესიმრავლე. ე.ი. ნებისმიერი  $A$  სიმრავლისათვის ადგილი აქვს:  $\emptyset \subseteq A$ . რამდენადაც  $\emptyset$ -ს წევრები არ გააჩნია, გამონათქვამი, რომ  $\emptyset$ -ის ყოველი წევრი ამავედროულად  $A$ -ს წევრია, ფაქტობრივად აზრს მოკლებულია. იგივე შეიძლება დავასაბუთოთ სხვაგვარად. როგორ შეიძლება, რომ  $\emptyset$  არ იყოს  $A$ -ს ქვესიმრავლე? ქვესიმრავლის განსაზღვრების მიხედვით,  $\emptyset$ -ში უნდა არსებობდეს ისეთი ელემენტი, რომელიც არ არის ამავედროულად  $A$ -ს ელემენტი. ეს შეუძლებელია, რამდენადაც  $\emptyset$ -ს საერთოდ არ გააჩნია ელემენტები და ამდენად, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ  $\emptyset \not\subseteq A$ . რამდენადაც ჩვენი მსჯელობა არაა დამოკიდებული იმაზე, თუ  $A$ -ს სახით რა სიმრავლეა წარმოდგენილი, ჭეშმარიტია შემდეგი დასკვნა: ნებისმიერი  $A$  სიმრავლისათვის  $\emptyset \subseteq A$ .

საყურადღებოა შემდეგი: მართალია,  $\emptyset \subseteq \{a\}$ , მაგრამ  $\{\emptyset\} \not\subseteq \{a\}$ . ეს იმიტომ, რომ  $\{\emptyset\}$  სიმრავლეს ეკუთვნის გარკვეული ელემენტი, სახელდობრ  $\emptyset$  და ამიტომაც ის არ წარმოადგენს ცარიელ სიმრავლეს. ამდენად, არ არის მართალი, რომ  $\{\emptyset\}$ -ის ყოველი წევრი არის, აგრეთვე,  $\{a\}$ -ს წევრი; ამგვარად,  $\{\emptyset\} \not\subseteq \{a\}$ .

სიმრავლის წევრები და ქვესიმრავლეები წარმოგვიდგენენ მიმართებებს ნაწილ-სა მთელთან, მაგრამ თითოეულ მათგანთან ეს მიმართებები განსხვავებულია და ისინი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. ქვესიმრავლე, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ყოველთვის არის სიმრავლე, მაშინ როცა წევრი შეიძლება იყოს ან არ იყოს სიმრავლე. {დედამიწა, ვენერა, მარსი} სიმრავლის წევრია მარსი, მაგრამ იგი არაა მისი ქვესიმრავლე. სიმრავლე, რომელიც შეიცავს მარსს როგორც ერთადერთ წევრს, {მარსი}, {დედამიწა, ვენერა, მარსი} სიმრავლის ქვესიმრავლეა; ეს იმიტომ, რომ პირველი სიმრავლის ყოველი წევრი (ფაქტობრივად ერთადერთი წევრი) მეორე სიმრავლის წევრია. ამასთანავე, რამდენადაც ყოველი სიმრავლე საკუთარი თავის ქვესიმრავლეა, არაა ნათელი, სიმრავლე შეიძლება იყოს თუ არა თავისი თავის წევრი (როგორც ეს ზემოთ ვნახეთ რასელის პარადოქსის განხილვისას). ყურადღება მიაქციეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მარსი – როგორც პლანეტა და {მარსი} – როგორც სიმრავლე.

სიმრავლე, რომლის წევრები სიმრავლეებია, ხშირად გაუგებრობებს წარმოშობს. განვიხილოთ, მაგალითად, სიმრავლე  $A = \{b, \{c\}\}$ .  $A$ -ს წევრებია  $b$  და  $\{c\}$ . წინა პარაგრაფში ვიმსჯელებთ და ვნახეთ, რომ  $b \notin A$  და  $\{b\} \subseteq A$ . ანალოგიურად,  $\{c\} \notin A$ , რადგანაც  $c$  არ არის  $A$ -ს წევრი, მაგრამ  $\{\{c\}\} \subseteq A$ , ვინაიდან  $\{\{c\}\}$ -ს ყოველი წევრი, სახელდობრ,  $\{c\}$ , არის  $A$ -ს წევრი. მკითხველმა განხილულ მაგალითთან დაკავშირებით უნდა დაგვიდასტუროს შემდეგი:  $\{b\} \notin A$ ;  $c \notin A$ ;  $\{\{c\}\} \notin A$ ;  $\{b, \{c\}\} \subseteq A$ ;  $\{b, \{c\}\} \notin A$ ;  $\{\{b, \{c\}\}\} \not\subseteq A$ .

წევრებსა და ქვესიმრავლეებს შორის შემდეგი განსხვავება უკავშირდება ჩვენს წინა შენიშვნას სიმრავლეთა სიმრავლის შესახებ. როგორც ვნახეთ, თუ  $x \in X$  და  $X \in C$ , მაშინ არაა აუცილებელი, რომ  $x \in C$ . ელემენტი  $x$  შეიძლება იყოს  $C$ -ს წევრი და თუკი ასეა, ეს იქნება შემთხვევითი თვისება  $C$ -სი, მაგრამ არა აუცილებელი. თუმცა ჩართვასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: თუ  $A \subseteq B$  და  $B \subseteq C$ , მაშინ უცილობლად ჭეშმარიტია ის, რომ  $A \subseteq C$ ; ე.ი. თუ  $A$ -ს ყოველი წევრი არის ამავდროულად  $B$ -წევრი და ასევე, თუ  $B$ -ს ყოველი წევრი არის ამავდროულად  $C$ -ს წევრი, მაშინ უცილობლად ჭეშმარიტია ის, რომ  $A$ -ს ყოველი წევრი არის ამავდროულად  $C$ -ს წევრი. მაგალითად,

$\{a\} \subseteq \{a, b\}$  და  $\{a, b\} \subseteq \{a, b, c\}$ ; აქედან გამომდინარეობს, რომ  $\{a\} \subseteq \{a, b, c\}$ . თუმცა, მეორე მხრივ,  $a \in \{a\}$  და  $\{a\} \in \{\{a\}, b\}$ , მაგრამ  $a \notin \{\{a\}, b\}$  (აქ, რა თქმა უნდა, ივარაუდება, რომ  $a$  და  $b$  განსხვავებული ელემენტებია).

### 1.5 ახარისხებული სიმრავლები

ზოგჯერ საჭიროა მივმართოთ სიმრავლეს, რომლის წევრებია მოცემული  $A$  სიმრავლის ყველა ქვესიმრავლე. ამ სიმრავლეს  $A$ -ს ახარისხებულ სიმრავლეს უწოდებენ, რომელიც ჩაიწერება როგორც  $\wp(A)$ . ვთქვათ,  $A = \{a, b\}$ ; მაშინ  $A$  სიმრავლის ხარისხი –  $\wp(A)$  იქნება  $\{\{a\}, \{b\}, \{a, b\}, \emptyset\}$ . სახელწოდება „ახარისხებული სიმრავლე“ დაკავშირებულია შემდეგ ფაქტთან: თუ  $A$ -ს რაოდენობრიობა გამოიხატება  $n$  ნატურალური რიცხვით, მაშინ  $\wp(A)$ -ს რაოდენობრიობა იქნება  $2^n$ , ანუ  $2$   $n$  ხარისხში, ანუ  $2 \times 2 \times \dots \times 2$  ( $n$ -ჯერ). ზოგჯერ  $A$ -ს ახარისხებული სიმრავლე აღინიშნება როგორც  $2^A$ .

### 1.6 გაერთიანება და თანაკვეთა

ახლა გავეცნობით ორ ოპერაციას, რომლებიც სიმრავლეთა წყვილისაგან აწარმოებენ ახალ სიმრავლეს.

ორი  $A$  და  $B$  სიმრავლის გაერთიანება (აღნიშნება  $A \cup B$ ) არის სიმრავლე, რომლის წევრებია მხოლოდ ის ობიექტები, რომლებიც მიეკუთვნებიან ან  $A$ -ს, ან  $B$ -ს, ან ორივეს ერთად. პრედიკაციული წარმოდგენით ამ განსაზღვრებას შემდეგი სახე აქვს:

$$(1-17) \quad A \cup B =_{\text{def}} \{x \mid x \in A \text{ ან } x \in B\}$$

შენიშვნა: ‘ან’ კავშირისათვის (1-17)-ში დასაშვებია, რომ ობიექტი იყოს ორივე  $A$  და  $B$  სიმრავლის წევრი. აღნიშნული მიზეზის გამო კავშირი ‘ან’ ამ შემთხვევაში ინკლუზიურია (იხ. თავი 6. ნაწ. 2). მაგალითად:

## COMPUTATION

(1-18) ვთქვათ,  $K = \{a,b\}$ ,  $L = \{c, d\}$  და  $M = \{b,d\}$ , მაშინ:

$$\begin{aligned} K \cup L &= \{a,b,c,d\} \\ K \cup M &= \{a,b,d\} \\ L \cup M &= \{b,c,d\} \\ (K \cup L) \cup M &= K \cup (L \cup M) = \{a,b,c,d\} \\ K \cup \emptyset &= \{a,b\} = K \\ L \cup \emptyset &= \{c,d\} = L \end{aligned}$$


სიმრავლეთა თეორიაში გაერთიანება მარტივად შეიძლება განვაზოგადოთ და გამოვიყენოთ ორზე მეტი სიმრავლის მიმართ. ამ შემთხვევაში გაერთიანების ნიშანი იწერება იმ სიმრავლეთა სიმრავლის წინ, რომლებსაც ვაერთიანებთ. მაგალითად:  $\cup\{K,L,M\} = \{a,b,c,d\}$ , ანუ ეს არის სიმრავლე ყველა იმ ელემენტისა, რომლებიც მიეკუთვნება ან  $K$ -ს, ან  $L$ -ს, ან  $M$ -ს. სიმრავლეთა თეორიაში არსებობს მშვენიერი მეთოდი ოპერაციების ვიზუალური სახით წარმოსადგენად, რომელსაც ვენის დიაგრამა ეწოდება. ორი ნებისმიერად შერჩეული სიმრავლე წარმოიდგინება როგორც ნაწილობრივ თანამკვეთნი – ყველაზე განზოგადოებული შემთხვევა – როგორც ეს ნახ. 1-1-ზეა გამოსახული. სიმრავლის ნაწილი, რომელიც აღნიშნულია '1'-ით, მოიცავს ელემენტებს, რომლებიც მიეკუთვნებიან  $A$ -ს, მაგრამ არ მიეკუთვნებიან  $B$ -ს; ნაწილი 2 აერთიანებს ელემენტებს, რომლებიც მიეკუთვნებიან  $B$ -ს, მაგრამ არ მიეკუთვნებიან  $A$ -ს; ნაწილი 3 აერთიანებს იმ ელემენტებს, რომლებიც მიეკუთვნებიან როგორც  $A$ -ს, ისე  $B$ -ს. ნაწილი 4-ის ელემენტები, დიაგრამის გარეთ, ამ ორი სიმრავლიდან არც ერთს არ მიეკუთვნება. გასაგებია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ნაწილებიდან ერთი ან მეტი შეიძლება ცარიელი აღმოჩნდეს.

$A$  და  $B$  სიმრავლეთა გაერთიანება ვენის დიაგრამაზე გამოისახება ამ სიმრავლეთა ყველა ნაწილების დაშტრიხვით, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 1-2-ზე.


მეორე ოპერაციით ნებისმიერი ორი  $A$  და  $B$  სიმრავლისაგან ვლტებულობთ სიმრავლეს, რომლის წევრებიც მხოლოდ ის ელემენტებია, რომლებიც მიეკუთვნებიან ორივე სიმრავლეს, როგორც  $A$ -ს, ისე  $B$ -ს. ამ ოპერაციას ეწოდება  $A$  და  $B$  სიმრავლეთა თანაკვეთა და აღინიშნება შემდეგნაირად:  $A \cap B$ . პრედიკაციული აღნიშვნისას ეს სიმრავლე შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$(1-19) \quad A \cap B =_{\text{def}} \{x \mid x \in A \text{ და } x \in B\}$$

მაგალითად, (1-18)-ში  $K$  და  $M$  სიმრავლეების თანაკვეთა არის ერთელემენტისანი (ეული) სიმრავლე  $\{b\}$ , რამდენადაც  $b$  არის ერთადერთი ელემენტი, რომელიც მიეკუთვნება ორივე სიმრავლეს, როგორც  $K$ -ს, ისე  $L$ -ს. განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:




ნახ. 1-1. ვენის დიაგრამა ნებისმიერი ორი A და B სიმრავლისათვის.



ნახ. 1-2. A და B სიმრავლეთა გაერთიანება

(1-20) $K \cap L$	$= \emptyset$	
$L \cap M$	$= \{d\}$	
$K \cap K$	$= \{a, b\}$	$= K$
$K \cap \emptyset$	$= \emptyset$	
$(K \cap L) \cap M$	$= K \cap (L \cap M)$	$= \emptyset$
$K \cap (L \cap M)$	$= \{b\}$	


ნებისმიერი ორი A და B სიმრავლის თანაკვეთის ზოგადი შემთხვევა წარმოდგენილია ვენის დიაგრამის სახით ნახ. 1-3-ზე.



ნახ.1-3. A და B სიმრავლეთა თანაკვეთა.

## COMPUTATION

ასევე, შესაძლებელია განვაზოგადოთ თანაკვეთა და გამოვიყენოთ სამი ან მეტი სიმრავლის მიმართ; მაგალითად:  $\cap\{K, L, M\} = \emptyset$ . ნებისმიერი სამი  $A, B$  და  $C$  სიმრავლის თანაკვეთა გამოსახულია ვენის დიაგრამის სახით ნახ. 1-4-ზე. აქ შავი არე არის ის ნაწილი, რომელიც საერთოა  $A \cap B$ ,  $A \cap C$  და  $B \cap C$  სიმრავლეებისათვის. როცა ვენის დიაგრამა სამზე მეტ სიმრავლეს მოიცავს, ცხადია, რომ მისი გამოსახვა უფრო რთულია და ალბათ ნაკლებ სასარგებლოც, თუმცა მარტივ შემთხვევებში ვენის დიაგრამა გაგებინების თვალსაზრისით მეტად ღირებული ვიზუალური საშუალებაა.



ნახ. 1-4. ვენის დიაგრამა  $\cap\{A, B, C\}$  სიმრავლისათვის ( $A \cap B$ ,  $B \cap C$  და  $A \cap C$  (დაშტრიხული) და  $\cap\{A, B, C\}$  (შავი)).

### 1.7 სხვაობა და დამატება

ნებისმიერ ორ  $A$  და  $B$  სიმრავლეზე განისაზღვრება კიდევ ერთი ბინარული ოპერაცია – სხვაობა, რომელიც ჩაიწერება შემდეგი სახით:  $A - B$ . ამ ოპერაციით  $A$ -ს 'გამოაკლდება' ყველა ის ელემენტი, რომელიც მიეკუთვნება  $B$ -ს. პრედიკაციული აღნიშვნით ეს ოპერაცია შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$(1-21) \quad A - B =_{\text{def}} \{x \mid x \in A \text{ და } x \notin B\}$$

$A - B$ -ს ასევე უწოდებენ  $A$ -სა და  $B$ -ს ფარდობით დამატებას. მაგალითად, (1-18)-ში მოცემული  $L$  და  $M$  სიმრავლეებისათვის  $L - M = \{c\}$ , რამდენადაც  $c$  არის ის ერთადერთი წევრი  $L$ -ისა, რომელიც არ მიეკუთვნება  $M$ -ს. თუ  $A$ -სა და  $B$ -ს არც ერთი საერთო წევრი არ გააჩნია, მაშინ  $A$ -ს არც არაფერი გამოაკლდება; ე.ი.  $A - B = A$ . შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი  $A$  და  $B$  სიმრავლეებისათვის  $A \cup B = B \cup A$  და  $A \cap B = B \cap A$ , საზოგადოდ არაა სწორი, რომ  $A - B = B - A$ . თუ სხვაო-

ბას გავიგებთ როგორც გარკვეული სახის გამოკლებას, სავსებით ბუნებრივია, რომ სიმრავლეთა რიგს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს.


ვენის დიაგრამა A და B სიმრავლეთა სხვაობისათვის გამოსახულია ნახ. 1-5-ზე.

$$\begin{aligned}
 (1-22) \quad K-M &= \{a\} \\
 L-K &= \{c,d\} = L \\
 M-L &= \{b\} \\
 K-\emptyset &= \{a,b\} = K \\
 \emptyset-K &= \emptyset
 \end{aligned}$$

რამდენიმე დამატებითი მაგალითი:

ეს ოპერაცია უნდა განვასხვავოთ A სიმრავლის დამატებისაგან, რომელიც ჩაინერება როგორც A', - სიმრავლე, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც არ ეკუთვნის A-ს.

$$(1-23) \quad A' =_{\text{def}} \{x \mid x \notin A\}$$



ნახ. 1-5. A და B სიმრავლეთა სხვაობა: A-B.

რომელია ან საიდან არიან ის ელემენტები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან A-ს? პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: ყოველი დებულება სიმრავლეთა თეორიაში თავისთავად გულისხმობს გარკვეულ ობიექტებს, რომლებიც შეადგენენ მოცემული მსჯელობისათვის დისკურსის უნივერსს (ან არეს). მაგალითად, როცა ლაპარაკია რიცხვთა თეორიის შესახებ, უნივერსად შეიძლება მოვიაზროთ ყველა დადებით და უარყოფით ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე. ფაქტობრივად, შეუძლებელია გვექონდეს დისკურსის ნამდვილი უნივერსალური არე, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ იქნება ფიქსირებული და რომელშიც შევა 'ყველაფერი' იმ ელემენტების გარდა, რომელთაგან აიგება სიმრავლეები. ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ ამგვარი არე შეიძლება მოიცავდეს ისეთ პარადოქსულ ობიექტებს, როგორიცაა 'ყველა სიმრავ-


## COMPUTATION

ლეთა სიმრავლე'. ამდენად, დისკურსის უნივერსი იცვლება მსჯელობასთან ერთად დაახლოებით ისევე, როგორც 'everything' და 'everyone' ინგლისური სიტყვების ინტერპრეტაციის შეზღუდვა ხდება დისკურსის კონტექსტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც დისკურსის უნივერსს რაიმე განსაკუთრებული სახელი არ ჰქვია, მის აღსანიშნავად პირობითად ვიყენებთ  $U$  სიმბოლოს. როდესაც დისკურსის უნივერსი კონტექსტიდან ისედაც ცხადია ან ირელევანტურია მოცემული მსჯელობისათვის, იგი შეიძლება ექსპლიციტურად არც იყოს აღნიშნული, თუმცა დადამატების ოპერაცია მის გარეშე ვერ განისაზღვრება. მაშასადამე,  $A$  სიმრავლის დადამატება არის დისკურსის უნივერსის იმ ელემენტების სიმრავლე, რომლებიც არ მიეკუთვნება  $A$ -ს, ე.ი.:

$$(1-24) \quad A' = U - A$$

როგორც ვხედავთ, (1-23)-ის პრედიკატულ აღნიშვნაში  $x$  ცვლადის არედ (ანუ სიმრავლედ, საიდანაც ეს ცვლადი მნიშვნელობებს ღებულობს) იმპლიციტურად მოიაზრება სიმრავლური უნივერსი  $U$  (სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას (1-17)-ისა და (1-19)-ისთვისაც).

ვენის დიაგრამა, სადაც დაშტრიხული ნაწილი შეესაბამება  $A$ -ს დადამატებას, გამოსახულია ნახ. 1-6-ზე.



ნახ. 1-6. სიმრავლეთა თეორიაში განსაზღვრული დადამატება  $A'$ .

### 1. 8 ზოგიერთი ტოლობა სიმრავლეთა თეორიიდან

არსებობს მთელი რიგი ზოგადი კანონებისა, რომლებიც ეხება სიმრავლეებს და გამომდინარეობს გაერთიანების, თანაკვეთის, ქვესიმრავლის და ა.შ. ზემოთ წარმოდგენილი განსაზღვრებებიდან. შევარჩიეთ მათგან უფრო სასარგებლონი და წარმოვადგინეთ ნახ. 1-7-ის სახით, სადაც ეს კანონები დაჯგუფებულია (ჩვეულებრივ წყვილებად – ერთი გაერთიანებისათვის და ერთი თანაკვეთისათვის) და შესაბამისად, მოცემულია მათთვის ტრადიციულად მეტ-ნაკლებად გავრცელებუ-



ლი სახელწოდებაც. ჩვენ ამჟამად არ ვაპირებთ ფორმალურად დავამტკიცოთ, რომ ეს დებულებები სწორია ნებისმიერად შერჩეული  $X, Y$  და  $Z$  სიმრავლეებისათვის (ეს მტკიცებულებანი წარმოდგენილი იქნება მე-7 თავში, ნან. 6), მხოლოდ ვეცდებით, დავრწმუნდეთ მათ ჭეშმარიტებაში შესაბამისი განსაზღვრებებიდან ამოსვლით ან ვენის დიაგრამების აგებით.

ადვილი მისახვედრია, რომ ნებისმიერი  $X$  სიმრავლისათვის,  $X \cup X$  იგივეა, რაც  $X$ , რამდენდაც ყველაფერი, რაც მიეკუთვნება  $X$ -ს ან  $X$ -ს, უბრალოდ მოიცავს ყველაფერს, რაც არის  $X$ -ში. იგივე ითქმის იმ ელემენტების შესახებ, რომლებიც განეკუთვნება  $X$ -სა და  $X$ -ს, ამდენად:  $X \cap X = X$ .

ასევე, ყველაფერი, რაც განეკუთვნება  $X$ -ს ან  $Y$ -ს (ან ორივეს), ფაქტობრივად არის ყველაფერი ის, რაც განეკუთვნება  $Y$ -ს ან  $X$ -ს (ან ორივეს); ამგვარად,  $X \cup Y = Y \cup X$ . არგუმენტირება მსგავსია თანაკვეთის შემთხვევაშიც.

1. იგივეობის კანონები  
(a)  $X \cup X = X$  (b)  $X \cap X = X$
2. კომუტაციურობის კანონები  
(a)  $X \cup Y = Y \cup X$  (b)  $X \cap Y = Y \cap X$
3. ასოციაციურობის კანონები  
(a)  $(X \cup Y) \cup Z = X \cup (Y \cup Z)$  (b)  $(X \cap Y) \cap Z = X \cap (Y \cap Z)$
4. დისტრიბუციულობის კანონები  
(a)  $X \cup (Y \cap Z) = (X \cup Y) \cap (X \cup Z)$   
(b)  $X \cap (Y \cup Z) = (X \cap Y) \cup (X \cap Z)$
5. იდენტურობის კანონები  
(a)  $X \cup \emptyset = X$  (c)  $X \cap \emptyset = \emptyset$   
(b)  $X \cup U = U$  (d)  $X \cap U = X$
6. დამატებითობის კანონები  
(a)  $X \cup X' = U$  (c)  $X \cap X' = \emptyset$   
(b)  $(X')' = X$  (d)  $X - Y = X \cap Y'$
7. დე მორგანის კანონი  
(a)  $(X \cup Y)' = X' \cap Y'$  (b)  $(X \cap Y)' = X' \cup Y'$
8. შეთავსებადობის პრინციპი  
(a)  $X \subseteq Y$  მმ  $X \cup Y = Y$  (b)  $X \subseteq Y$  მმ  $X \cap Y = X$


**ნან. 1-7. ზოგიერთი ფუნდამენტური ტოლობა სიმრავლეთა თეორიიდან**

ასოციაციურობის კანონები გვეუბნება, რომ სამი სიმრავლის გაერთიანებისას მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა თანმიმდევრობით განვახორციელებთ გაერთიანების

## COMPUTATION


ოპერაციას. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას თანაკვეთის ოპერაციისათვისაც. ამას თვალნათლივ დავინახავთ, თუ წარმოვიდგენთ შესაბამისი ვენის დიაგრამის აგების პროცესს. გვაქვს სამი ურთიერთგადამკვეთი წრე, რომლებიც აღნიშნულია  $X$ ,  $Y$  და  $Z$  ასოებით. ჯერ დავშტრიხოთ  $X \cup Y$ , შემდეგ დავშტრიხოთ  $Z$ . შედეგად დაიშტრიხება მთელი არე ამ სამი წრის შიგნით, რაც შეესაბამება  $(X \cup Y) \cup Z$  სიმრავლეს. ახლა დავიწყოთ თავიდან და ჯერ დავშტრიხოთ  $Y \cup Z$ , ხოლო შემდეგ  $X$ . შედეგი იგივე იქნება.

ვენის დიაგრამის აგება დისტრიბუციულობის კანონების საილუსტრაციოდ ცოტათი თავსატეხი ამოცანაა. ნახ. 1-8-ზე გამოსახულია ვენის დიაგრამა  $X \cap (Y \cup Z)$ -ისათვის. აღსაქმელად რომ უფრო ადვილი ყოფილიყო,  $X$  დავშტრიხეთ ვერტიკალური ხაზებით,  $(Y \cup Z)$  კი ჰორიზონტალური ხაზებით. შესაბამისად, ამ ორი სიმრავლის თანაკვეთა გამოსახულია როგორც ორმაგად (ჯვარედინად) დაშტრიხული არე. ნახ. 1-9-ზე გამოსახულია შესაბამისი დიაგრამა  $(X \cap Y) \cup (X \cap Z)$ -ისათვის.  $X \cap Y$  დაშტრიხულია ვერტიკალურად, ხოლო  $X \cap Z$  – ჰორიზონტალურად; ამგვარად, გაერთიანებას წარმოადგენს არე, რომელიც დაშტრიხულია (ერთმაგად ან ორმაგად). მკითხველს უკვე შეუძლია ააგოს ვენის დიაგრამა დისტრიბუციულობის კანონების (ა) შემთხვევისათვის.



**ნახ. 1-8. ვენის დიაგრამა  $X \cap (Y \cup Z)$ -ისათვის ( $X$  დაშტრიხულია ვერტიკალურად,  $Y \cup Z$  დაშტრიხულია ჰორიზონტალურად,  $X \cap (Y \cup Z)$  კი ორმაგად).**

იდენტურობის კანონები გასაგებია გაერთიანების, თანაკვეთის, ცარიელი სიმრავლისა და უნივერსალური სიმრავლის განსაზღვრებებიდან გამომდინარე. ყველაფერი, რაც შედის  $X$ -ში ან  $\emptyset$ -ში ფაქტობრივად მოიცავს ყველაფერს, რაც ეკუთვნის  $X$ -ს და ა.შ. დამატებითობის კანონებიც ასევე გასაგებია დამატების განსაზღვრებიდან გამომდინარე და, ალბათ, აქ დახმარებას გაგვიწევს ვენის დიაგრამა, რომელიც წარმოდგენილია ნახ. 1-6-ზე.



**ნახ. 1-9. ვენის დიაგრამა  $(X \cap Y) \cup (X \cap Z)$ -სათვის ( $X \cap Y$  დაშტრიხულია ვერტიკალურად,  $X \cap Z$  დაშტრიხულია ჰორიზონტალურად, ხოლო  $(X \cap Y) \cup (X \cap Z)$  წარმოადგენს მთლიანად დაშტრიხულ არეს).**

(d) შემთხვევა უფრო გასაგები გახდება, თუ შევხედავთ ნახ. 1-5-ს და განვიხილავთ იმ არეს, რომელიც შეესაბამება A-ს თანაკვეთას B-ს დამატებასთან.

დე მორგანის კანონები სიმეტრიული წყვილების სახითაა წარმოდგენილი. (a) შემთხვევა: ყველაფერი, რაც არ მიეკუთვნება X-ს ან Y-ს, არის ყველაფერი ის, რაც არ არის X-ში და არ არის Y-ში. (b) შემთხვევა: ყველაფერი ის, რაც არ არის ორივეში (X-სა და Y-ში), ან არ არის X-ში, ან არ არის Y-ში (ან არც ერთში). ეს შემთხვევა უცებ შეიძლება ნაკლებ ცხადი მოგვეჩვენოს და აქ დაგვეხმარება ვენის დიაგრამა.

შეთავსებადობის პრინციპს ასეთი სახელი იმიტომ დაერქვა, რომ იგი ეხება გაერთიანების, თანაკვეთის და ქვესიმრავლის განსაზღვრებათა საერთო შეთავსებადობას. თუ წარმოვიდგენთ ვენის დიაგრამას, რომელშიც A სიმრავლის შესაბამისი წრე მთლიანად მოთავსებულია Y სიმრავლის შესაბამის წრეში (ასე გამოისახება  $X \subseteq Y$ ), მაშინ ადვილად დავინახავთ, რომ  $X \cup Y = Y$ . მეორე მხრივ, თუ ჩვენ ვიცით, რომ  $X \cup Y = Y$ , მაშინ სტანდარტულ ვენის დიაგრამაში ის არე, რომელიც მოიცავს ელემენტებს, რომლებიც შედის X-ში, მაგრამ არ შედის Y-ში, იქნება ცარიელი (სხვაგვარად, გაერთიანება არ იქნებოდა Y-ის ტოლი). ამგვარად, X-ის წევრები მთლიანად მოთავსებულია Y-ის წრეში, ე.ი.  $X \subseteq Y$ . ანალოგიურია (b) შემთხვევა.

ამ კანონთაგან ზოგიერთის გასაგებად შეიძლება დაგვეხმაროს ანალოგიები ალგებრიდან. შეკრების ოპერაცია (+) და გამრავლების ოპერაცია ( $\times$ ) კომუტაციურობის კანონს ექვემდებარება:

(1-25) ნებისმიერი  $x$  და  $y$  რიცხვებისათვის:  $x + y = y + x$  და  $x \times y = y \times x$

## COMPUTATION

ანალოგიურადვეა ასოციაციურობის კანონი:

(1-26) ნებისმიერი  $x, y$  და  $z$  რიცხვებისათვის:

$$(x + y) + z = x + (y + z) \text{ და } (x \times y) \times z = x \times (y \times z)$$

მაგრამ ყველა კანონისათვის არ ხდება ანალოგიურად. საზოგადოდ, სწორი არც ისაა, რომ:  $x + x = x$  და არც ის, რომ:  $x \times x = x$ , თუმცა დისტრიბუციულობის კანონი უკავშირდება  $+$  და  $\times$  ოპერაციებს შემდეგნაირად:

(1-27) ნებისმიერი  $x, y$  და  $z$  რიცხვებისათვის:

$$x \times (y + z) = (x \times y) + (x \times z)$$

მაგრამ თუ  $+$  და  $\times$  ოპერაციებს ურთიერთჩაგანაცვლებთ, ეს კანონი აღარ იმოქმედებს, ე.ი. საზოგადოდ არაა სწორი, რომ  $x + (y \times z) = (x + y) \times (x + z)$ . (მაგალითად, ვთქვათ,  $x = 1, y = 2$  და  $z = 3$ ; მაშინ მარცხენა მხარე უდრის 7-ს, ხოლო მარჯვენა მხარე უდრის 12-ს.)

იდენტურობის კანონების არითმეტიკულ ანალოგებად მიიჩნევა  $x + 0 = x, x \times 0 = 0$  და  $x \times 1 = x$ , სადაც 0 თამაშობს ცარიელი სიმრავლის, ხოლო 1 – უნივერსალური სიმრავლის როლს (თუმცა ეს ანალოგია ბოლომდე მართებული არაა:  $x + 1$  არ უდრის 1-ს.)

მაშასადამე, ვნახეთ, რომ არსებობს სიმრავლეთა ალგებრა და იგი გარკვეულწილად ანალოგიურია იმ ალგებრისა, რომელიც გამრავლებასა და შეკრებას ეხება, თუმცაღა სიმრავლეთა ალგებრას თავისი განსაკუთრებული თვისებებიც ახასიათებს. ამ ფაქტის წინაშე კიდევ ერთხელ დავდგებით, როდესაც დებულებათა ლოგიკას განვიხილავთ მე-6 თავში, ხოლო მე-12 თავში ვნახავთ, რომ ეს ორივე მაგალითია იმისა, რასაც ბულის ალგებრას ვუნოდებთ.

ამჟამად არ გვანტერსებს სიმრავლეთა ალგებრის სტრუქტურა; უბრალოდ, გვინდა ვაჩვენოთ, რომ ეს ტოლობები შეიძლება გამოყენებული იქნეს სიმრავლურ-თეორიულ გამოსახულებებზე მანიპულირებისას. ეს გულისხმობს, რომ ნებისმიერ სიმრავლურ-თეორიულ გამოსახულებაში ესა თუ ის სიმრავლე ყოველთვის შეიძლება ჩავანაცვლოთ მისი ტოლი სიმრავლით და შედეგად მივიღებთ გამოსახულებას, რომელიც აღნიშნავს იმავე სიმრავლეს, რასაც საწყისი გამოსახულება. მაგალითად,  $A \cap (B \cup C)'$  გამოსახულებაში შეიძლება  $(B \cup C)'$  ჩავანაცვლოთ მისი ეკვივალენტით,  $B' \cap C'$  - თი (დე მორგანის კანონის შესაბამისად), რათა მივიღოთ  $A \cap (B' \cap C')$  გამოსახულება. რამდენადაც  $(B \cup C)'$ -ში და  $B' \cap C'$ -ში ერთი და იგივე ელემენტებია, ერთი და იგივე ელემენტები იქნება  $A \cap (B \cup C)'$  -სა და  $A \cap (B' \cap C')$ -ში.

ეს ტექნიკა შეიძლება გამოვიყენოთ რთული სიმრავლურ-თეორიული გამოსახულებების გასამარტივებლად (იხ. ქვემოთ (1-28)), ან სიმრავლეთა შესახებ სხვა დებულებათა ჭეშმარიტების დასამტკიცებლად (იხ. ქვემოთ (1-29) და (1-30)). საზოგადოდ, უფრო მოსახერხებელია ამგვარი დემონსტრირება წარმოდგენილი იქნეს ვერტიკალური მიმდევრობის სახით, სადაც ყოველ სტრიქონზე მითითებულია ის კანონი, რომლის მიხედვითაც შესაბამისი გამოსახულება გამოიყვანება წინა სტრიქონის გამოსახულებიდან.

(1-28) მაგალითი: გაამარტივეთ  $(A \cup B) \cap (B \cap C)'$  გამოსახულება.

- |    |                                |          |
|----|--------------------------------|----------|
| 1. | $(A \cup B) \cap (B \cap C)'$  |          |
| 2. | $(A \cup B) \cap (B' \cap C')$ | დე მორგ. |
| 3. | $A \cup (B \cap (B' \cap C'))$ | ასოც.    |
| 4. | $A \cup ((B \cup B') \cap C')$ | ასოც.    |
| 5. | $A \cup (U \cap C)'$           | დამატ.   |
| 6. | $A \cup (C' \cap U)$           | კომუტ.   |
| 7. | $A \cup U$                     | იდენტ.   |
| 8. | $U$                            | იდენტ.   |

(1-29) მაგალითი: აჩვენეთ, რომ  $(A \cap B) \cap (A \cap C)' = A \cap (B - C)$ .

- |     |  |          |
|-----|--|----------|
| 1.  | $(A \cap B) \cap (A \cap C)'$                    |          |
| 2.  | $(A \cap B) \cap (A' \cup C')$                   | დე მორგ. |
| 3.  | $A \cap (B \cap (A' \cup C'))$                   | ასოც.    |
| 4.  | $A \cap ((B \cap A') \cup (B \cap C'))$          | დისტრ.   |
| 5.  | $(A \cap (B \cap A')) \cup (A \cap (B \cap C'))$ | დისტრ.   |
| 6.  | $(A \cap (A' \cap B)) \cup (A \cap (B \cap C'))$ | კომუტ.   |
| 7.  | $((A \cap A') \cap B) \cup (A \cap (B \cap C'))$ | ასოც.    |
| 8.  | $(\emptyset \cap B) \cup (A \cap (B \cap C'))$   | დამატ.   |
| 9.  | $(B \cap \emptyset) \cup (A \cap (B \cap C'))$   | კომუტ.   |
| 10. | $\emptyset \cup (A \cap (B \cap C'))$            | იდენტ.   |
| 11. | $(A \cap (B \cap C')) \cup \emptyset$            | კომუტ.   |
| 12. | $A \cap (B \cap C')$                             | იდენტ.   |
| 13. | $A \cap (B - C)$                                 | დამატ.   |

(1-30) მაგალითი: აჩვენეთ, რომ  $X \cap Y \subseteq X \cup Y$

შემადგენლობის პრინციპის მიხედვით ეს გამოსახულება ჭეშმარიტია მმმ, როცა  $(X \cap Y) \cap (X \cup Y) = X \cap Y$ . სწორედ ამ უკნასკნელის დასაბუთებას წარმოვადგენთ:

1.  $(X \cap Y) \cap (X \cup Y)$

## COMPUTATION

2.	$((X \cap Y) \cap X) \cup ((X \cap Y) \cap Y)$	დისტრ.
3.	$(X \cap (X \cap Y)) \cup ((X \cap Y) \cap Y)$	კომუტ.
4.	$((X \cap X) \cap Y) \cup ((X \cap Y) \cap Y)$	ასოც.
5.	$((X \cap X) \cap Y) \cup (X \cap (Y \cap Y))$	ასოც.
6.	$(X \cap Y) \cup (X \cap Y)$	იგივ. (ორჯერ)
7.	$X \cap Y$	იგივ.

ასეთი მწკრივები იძლევა ფორმალურ მტკიცებულებებს (იმ ფაქტისა, რომ ბოლო სტრიქონში წარმოდგენილი სიმრავლე უდრის სიმრავლეს, რომელიც პირველ სტრიქონშია წარმოდგენილი). დამტკიცების საკითხს ჩვენ სათანადო კურსში განვიხილავთ, მკითხველი კი, რომელიც ეცდება სავარჯიშოებში მოცემული ამოცანების ამგვარად დამტკიცებას, უეჭველად წააწყდება დამტკიცებასთან დაკავშირებულ ცნობილ სირთულეებს; კერძოდ, მაშინ როცა საკმაოდ მარტივია დამტკიცების სისწორის შემოწმება, შეიძლება საკმაოდ რთული აღმოჩნდეს დამტკიცების სწორი გზის პოვნა. ამგვარად, თუ გადასწყვეტი გვაქვს ამოცანა, მაგალითად ისეთი, რომელიც მოცემულია (1-19)-ში, შეიძლება მოგვიხდეს ბევრი წარუმატებელი გზის გავლა მანამ, სანამ ვიპოვით სასურველ გამოსახულებამდე მიმავალ საბოლოო სწორ გზას. ამდენად, მოსალოდნელია, რომ დამტკიცებებისას რამდენჯერმე მოგიხდეთ არჩეული გზის შეწყვეტა და ახლიდან ცდა.

## თავი 2

### მიმართებები და ფუნქციები

#### 2. 1 დალაგებული წყვილი და დეკარტული ნამრავლი

გავიხსენოთ, რომ სიმრავლის ელემენტებს შორის დალაგება არ ივარაუდება. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივი სიმრავლეების მეშვეობით განისაზღვრება დალაგებული წყვილი, რომელიც, მაგალითად,  $\langle a, b \rangle$  სახით ჩაიწერება. ამ ჩანაწერში  $a$  განიხილება დალაგებული წყვილის პირველ წევრად, ხოლო  $b$  – მეორე წევრად. დალაგებული წყვილი შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$(2-1) \quad \langle a, b \rangle =_{\text{def}} \{\{a\}, \{a, b\}\}$$

$\langle a, b \rangle$ -ს პირველი წევრი განიხილება რიგორც ელემენტი ერთელემენტისანი(ეული)  $\{a\}$  სიმრავლისა, ხოლო მეორე წევრი  $\{a, b\}$  სიმრავლის ის ელემენტი, რომელიც არ მიეკუთვნება  $\{a\}$ -ს. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დალაგებული წყვილისათვის

საზოგადოდ დამახასიათებელია შემდეგი:  $\langle a, b \rangle \neq \langle b, a \rangle$ . ეს იმიტომ, რომ:

$\{\{a\}, \{a, b\}\} = \{\{b\}, \{a, b\}\}$  (ე.ი.  $\langle a, b \rangle = \langle b, a \rangle$ ) მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა  $a = b$ . რა თქმა უნდა, ეს განსაზღვრება შეიძლება განვავრცოთ დალაგებულ სამეულებზე და ზოგადად, დალაგებულ  $n$ -ეულზე, ნებისმიერი  $n$  ნატურალური რიცხვისათვის. დალაგებული სამეული შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$(2-2) \quad \langle a, b, c \rangle =_{\text{def}} \langle \langle a, b \rangle, c \rangle$$

ინტუიციურად შეიძლება უფრო მარტივი იყოს, რომ თავიდანვე დალაგებული წყვილი განიხილებოდა როგორც დამატებითი ამოსავალი ცნება (პრიმიტივი), მაგრამ მათემეტიკოსებს უყვართ ამოსავალი ცნებების მინიმუმამდე დაყვანა.

ვთქვათ, მოცემულია ორი სიმრავლე  $A$  და  $B$ . მათგან შეიძლება მივიღოთ დალაგებულ წყვილთა სიმრავლე შემდეგი გზით: წყვილის პირველ ელემენტად ავიღოთ ერთი ელემენტი  $A$ -დან, ხოლო მეორე ნევრად – ერთი ელემენტი  $B$ -დან.

$A$  და  $B$  სიმრავლეთა დეკარტული ნამრავლი, რომელიც  $A \times B$ -ს სახით ჩაინერება, წარმოადგენს სიმრავლეს, რომელიც შედგება ამ ტიპის ყველა წყვილისაგან. პრედიკაციული აღნიშვნით ეს სიმრავლე შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$(2-3) \quad A \times B =_{\text{def}} \{ \langle x, y \rangle \mid x \in A \text{ და } y \in B \}$$

აქვე შევნიშნავთ: გასაზღვრების თანახმად, თუ  $A$  ან  $B$  უდრის  $\emptyset$ -ს, მაშინ  $A \times B = \emptyset$ .

წარმოვადგენთ დეკარტული ნამრავლის რამდენიმე მაგალითს:

$$(2-4) \quad \begin{aligned} \text{ვთქვათ, } K &= \{a, b, c\} \text{ და } L = \{1, 2\}, \text{ მაშინ} \\ K \times L &= \{ \langle a, 1 \rangle, \langle a, 2 \rangle, \langle b, 1 \rangle, \langle b, 2 \rangle, \langle c, 1 \rangle, \langle c, 2 \rangle \} \\ L \times K &= \{ \langle 1, a \rangle, \langle 2, a \rangle, \langle 1, b \rangle, \langle 2, b \rangle, \langle 1, c \rangle, \langle 2, c \rangle \} \\ L \times L &= \{ \langle 1, 1 \rangle, \langle 1, 2 \rangle, \langle 2, 1 \rangle, \langle 2, 2 \rangle \} \end{aligned}$$

უეჭველად უნდა გვახსოვდეს, რომ დეკარტული ნამრავლის წევრები არაა დალაგებული ერთმანეთის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი წევრი წარმოადგენს დალაგებულ წყვილს, თავად დეკარტული ნამრავლი ამგვარი წყვილების დაულაგებული სიმრავლეა.

როდესაც მოცემულია დალაგებულ წყვილთა  $M$  სიმრავლე, ზოგჯერ საინტერესოა განისაზღვროს უმცირესი დეკარტული ნამრავლი, რომლის ქვესიმრავლესაც წარ-




## COMPUTATION

მოადგენს  $M$ . ასეთი უმცირესი  $A$  და  $B$  სიმრავლეები, რომელთათვისაც  $M \subseteq A \times B$ , შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:  $A = \{a \mid \langle a, b \rangle \in M, \text{ ზოგიერთი } b\text{-სთვის}\}$  და  $B = \{b \mid \langle a, b \rangle \in M, \text{ ზოგიერთი } a\text{-სთვის}\}$ . ამ ორ სიმრავლეს უწოდებენ  $M$ -ის პროექციებს შესაბამისად პირველ და მეორე კოორდინატებზე. მაგალითად, თუ  $M = \{\langle 1, 1 \rangle, \langle 1, 2 \rangle, \langle 3, 2 \rangle\}$ , მაშინ სიმრავლე  $\{1, 3\}$  იქნება  $M$ -ის პროექცია პირველ კოორდინატზე, ხოლო  $\{1, 2\}$  იქნება  $M$ -ის პროექცია მეორე კოორდინატზე. ამგვარად,  $\{1, 3\} \times \{1, 2\}$  არის ის უმცირესი დეკარტული ნამრავლი, რომლის ქვესიმრავლეა  $M$ .

## 2.2 მიმართება

ბუნებრივი გაგებით, მიმართება არის კავშირი ორ ობიექტს შორის, რომელიც არსებობს ან არ არსებობს. მაგალითად, „დედობის“ მიმართება („არის დედა ... – ის“) არსებობს ნებისმიერ დედასა და მის შვილებს შორის, მაგრამ არა თავად შვილებს შორის. გარადამავალი ზმნა ხშირად აღნიშნავს მიმართებას. მაგალითად, ზმნა „კოცნა“ შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნავს აბსტრაქტულ მიმართებას ობიექტთა ისეთ წყვილს შორის, სადაც პირველი კოცნის მეორეს.  $R$  მიმართება  $a$  და  $b$  ობიექტებს შორის ჩაინერება შემდეგნაირად:  $Rab$  ან, რაც იგივეა,  $aRb$ . ასევე, შეიძლება ჩაინეროს:  $R \subseteq A \times B$ , როდესაც  $R$  მიმართება არსებობს ორი  $A$  და  $B$  სიმრავლის ელემენტებს შორის; ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ მიმართება განისაზღვრება  $A$ -დან  $B$ -ში. როდესაც  $R$  მიმართება არსებობს ერთი და იმავე  $A$  სიმრავლის ელემენტებს შორის, მაშინ ვამბობთ, რომ  $R$  მიმართება განსაზღვრულია  $A$ -ში.  $R$ -ის პროექციას პირველ კოორდინატზე უწოდებენ  $R$ -ის განსაზღვრის არეს, ხოლო  $R$ -ის პროექციას მეორე კოორდინატზე უწოდებენ  $R$ -ის მნიშვნელობათა არეს. ამგვარად,  $R$  მიმართება  $A$ -დან  $B$ -ში შეიძლება განვიხილოთ როგორც  $A$  და  $B$  სიმრავლეთა დეკარტული ნამრავლი  $A \times B$ . (სამწუხაროდ, არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ტერმინები ისეთი  $A$  და  $B$  სიმრავლეებისათვის, რომელთა მიმართ განსაზღვრის არე და მნიშვნელობათა არე ქვესიმრავლეებია.) საყურადღებოა შევნიშნოთ, რომ ფაქტობრივად ეს არის  $R$  მიმართების სიმრავლურ-თეორიული რედუქცია დალაგებულ წყვილთა სიმრავლემდე, ე.ი  $\{\langle a, b \rangle \mid aRb\}$ . მაგალითად, მიმართება „არის დედა... --ის“, რომელიც განისაზღვრება  $H$  – ადამიანთა მთელ სიმრავლეზე, წარმოადგენს ისეთ დალაგებულ წყვილთა სიმრავლეს  $H \times H$  -ში, სადაც თითოეული წყვილში პირველი წევრი არის მეორე წევრის დედა. დიაგრამაზე, რომელზეც გამოსახულია ორი  $A$  და  $B$  სიმრავლის ელემენტები,  $R$  მიმართება ამ ორ სიმრავლეს შორის შეიძლება ვიზუალურად წარმოვიდგინოთ ისრების სახით.



ნახ. 2-1. მიმართება  $R: A \rightarrow B$ .

ნახ. 2-1-ზე  $A = \{a, b\}$  და  $B = \{c, d, e\}$ ; ისრებით გამოსახულია  $R$  მიმართება როგორც დალაგებულ წყვილთა სიმრავლე  $R = \{\langle a, d \rangle, \langle a, e \rangle, \langle b, c \rangle\}$ . მიაქციეთ ყურადღება: ერთი ელემენტი განსაზღვრების არიდან მიმართებამ შეიძლება დააკავშიროს ერთზე მეტ ელემენტთან ამ მიმართების მნიშვნელობათა არეში.  $R \subseteq A \times B$ -ის დამატება, რომელიც ჩაინერება  $R'$ -ის სახით, როგორც სიმრავლე შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$(2-5) \quad R' =_{\text{def}} (A \times B) - R$$

ამგვარად,  $R'$  მოიცავს დეკარტული ნამრავლის ყველა იმ წყვილს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან  $R$  მიმართებას. აქვე შევნიშნავთ, რომ  $(R')' = R$ .  $R \subseteq A \times B$  მიმართების ინვერსია, რომელიც ჩაინერება როგორც  $R^{-1}$ , მოიცავს  $R$  მიმართების ყველა წყვილს პირველი და მეორე წევრების შებრუნებული რიგით. მაგალითად: ვთქვათ,  $A = \{1, 2, 3\}$  და ვთქვათ,  $R \subseteq A \times A$  იყოს  $\{\langle 3, 2 \rangle, \langle 3, 1 \rangle, \langle 2, 1 \rangle\}$ , რომელიც არის 'მეტობის' მიმართება  $A$ -ში. ამ შემთხვევაში დამატება  $R'$  მიმართება არის  $\{\langle 1, 1 \rangle, \langle 1, 2 \rangle, \langle 1, 3 \rangle, \langle 2, 2 \rangle, \langle 2, 3 \rangle, \langle 3, 3 \rangle\}$ , რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს  $A$ -ში განსაზღვრულ მიმართებას 'ნაკლებია ან ტოლი'.  $R$ -ის ინვერსია  $R^{-1}$  იქნება  $\{\langle 2, 3 \rangle, \langle 1, 3 \rangle, \langle 1, 2 \rangle\}$ , რომელიც წარმოადგენს 'ნაკლებობის' მიმართებას  $A$ -ში. აქვე შევნიშნავთ, რომ  $(R^{-1})^{-1} = R$  და თუ  $R \subseteq A \times B$ , მაშინ

$$R^{-1} \subseteq B \times A, \text{ მაგრამ } R' \subseteq A \times B.$$

ამჯერად ჩვენი მსჯელობა ეხებოდა ბინარულ მიმართებებს, ე.ი. დალაგებულ წყვილთა სიმრავლეებს. ანალოგიურადვე შეიძლება განვიხილოთ მიმართებები, რომლებიც შედგება დალაგებული სამეულებისაგან (ტრიპლეტებისაგან), ოთხეულებისაგან და ა.შ. საზოგადოდ, განვიხილავთ  $n$ -ადგილიან მიმართებებს.

# COMPUTATION

## 2.3 ფუნქცია

სიმრავლეთა თეორიის ტერმინებში სიმრავლე შეიძლება განვსაზღვროთ როგორც გარკვეული სახის მიმართება.  $R$  მიმართება  $A$ -დან  $B$ -ში წარმოადგენს ფუნქციას მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

1. განსაზღვრის არიდან ყოველი ელემენტი დაწყვილებულია მნიშვნელობათა არის მხოლოდ ერთ ელემენტთან.
2.  $R$ -ის განსაზღვრის არე ემთხვევა  $A$ -ს.

ზემოთ ნათქვამი ნიშნავს, რომ  $A \times B$  დეკარტული ნამრავლის ქვესიმრავლე მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ფუნქცია, როცა  $A$ -ს ყოველი ელემენტი დალაგებულ წყვილთა სიმრავლეში მხოლოდ ერთხელ გვხვდება წყვილის პირველ კოორდინატად.

მაგალითისათვის განვიხილოთ სიმრავლეები  $A = \{a, b, c\}$  და  $B = \{1, 2, 3, 4\}$ .  $A$ -დან  $B$ -ში განსაზღვრული შემდეგი მიმართებები წარმოადგენენ ფუნქციებს:

$$(2-6) \quad \begin{aligned} P &= \{\langle a, 1 \rangle, \langle b, 2 \rangle, \langle c, 3 \rangle\} \\ Q &= \{\langle a, 3 \rangle, \langle b, 4 \rangle, \langle c, 1 \rangle\} \\ R &= \{\langle a, 3 \rangle, \langle b, 2 \rangle, \langle c, 2 \rangle\} \end{aligned}$$

ფუნქციებს არ წარმოადგენენ შემდეგი მიმართებები  $A$ -დან  $B$ -ში:

$$(2-7) \quad \begin{aligned} S &= \{\langle a, 1 \rangle, \langle b, 2 \rangle\} \\ T &= \{\langle a, 2 \rangle, \langle b, 3 \rangle, \langle a, 3 \rangle, \langle c, 1 \rangle\} \\ V &= \{\langle a, 2 \rangle, \langle a, 3 \rangle, \langle b, 4 \rangle\} \end{aligned}$$

$S$  არ აკმაყოფილებს მე-2 პირობას, რადგანაც წყვილთა პირველი წევრების სიმრავლე, სახელდობრ  $\{a, b\}$  არ ემთხვევა  $A$ -ს.  $T$  არ აკმაყოფილებს პირველ პირობას, რამდენადაც  $a$  ელემენტი დაწყვილებულია როგორც 2-თან, ისე 3-თან.  $V$  მიმართების შემთხვევაში კი ორივე პირობა დარღვეულია.

ფუნქციებზე მსჯელობისას ძირითადად იგივე ტერმინოლოგია გამოვიყენეთ, რასაც ვიყენებდით მიმართებებთან დაკავშირებით. როგორც ვთქვით, ფუნქცია, რომელიც წარმოადგენს  $A \times B$  -ის ქვესიმრავლეს, განიხილება როგორც ფუნქცია  $A$ -დან  $B$ -ში, მაშინ როცა  $A \times A$ -ს ქვესიმრავლე წარმოადგენს ფუნქციას  $A$ -ში. ჩანანერი ' $F: A \rightarrow B$ ' აღნიშნავს: ' $F$  არის ფუნქცია  $A$ -დან  $B$ -ში'. ზოგჯერ ფუნქციის განსაზღვრის არის ელემენტს უწოდებენ არგუმენტს. მაგალითად,  $P$  ფუნქციასთან დაკავშირებით (2-6)-დან შეიძლება ითქვას, რომ  $c$  არგუმენტისათვის იგი ღებულობს მნიშვნელობას '3'. ჩვეულებრივ, ეს ფაქტი შემდეგნაირად ჩაინერება:  $P(c) = 3$ , სადაც ფუნქციის

დასახელება წინ უსწრებს არგუმენტს, რომელიც ჩანერილია ფრჩხილებში, ხოლო შესაბამისი მნიშვნელობა იწერება ტოლობის ნიშნის მარჯვნივ.

‘გარდაქმნა’, ‘ასახვა’, ‘შესაბამისობა’ – ეს ‘ფუნქციის’ ფართოდ გავრცელებული სინონიმებია და ხშირად ჩანანერს ‘ $F(a) = 2$ ’ კითხულობენ შემდეგნაირად: ‘ $F$  გარდასახავს  $a$ -ს 2-ში’. ამგვარი გამონათქვამი ფუნქციას წარმოგვიდგენს როგორც აქტიურ პროცესს, რომელსაც არგუმენტები შესაბამის მნიშვნელობებში გადაჰყავს. ფუნქციის ამგვარ გაგებას ერთგვარად განაპირობებს ის ფაქტი, რომ მათემატიკაში ფუნქციითა უმეტესობისათვის არგუმენტების დაწყვილება მნიშვნელობებთან შეიძლება გამოისახოს ფორმულებით, რომლებშიც შედის ისეთი ოპერაციები, როგორიცაა შეკრება, გამრავლება, გაყოფა და ა.შ. მაგალითად:  $F(x) = 2x + 1$  არის ფუნქცია და იმ შემთხვევაში, თუ იგი განსაზღვრულია მთელ რიცხვთა სიმრავლეზე, აწყვილებს: 1-ს 3-თან, 2-ს 5-თან, 3-ს 7-თან და ა.შ. აღნიშნული ფუნქცია შეგვიძლია მოვიხატოთ წესის სახით, რომელიც გვეუბნება: „ $x$ -ისთვის რომ ვიპოვოთ  $F$ -ის მნიშვნელობა, ამისათვის საჭიროა  $x$  გავამრავლოთ 2-ზე და დავუმატოთ ერთი.“ მოგვიანებით ამ წიგნში ვნახავთ, რომ საჭირო გახდება ფუნქცია წარმოვიდგინოთ დინამიკური პროცესის სახით, რომელიც ობიექტებს, რომლებიც გვაქვს ამ პროცესის შესავალში, გარდაქმნის სხვა ობიექტებად პროცესის გამოსავალში. ამჯერად ჩვენ შევჩერდებით სიმრავლეთა თეორიის უფრო სტატიკურ პერსპექტივაზე. ამგვარად, ფუნქცია  $F(x) = 2x + 1$  განიხილება როგორც დალაგებულ წყვილთა გარკვეული სიმრავლე, რომელიც პრედიკაციული აღნიშვნით შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$(2-8) \quad F = \{(x, y) \mid y = 2x + 1\} \text{ (სადაც } x \text{ და } y \text{ მთელი რიცხვებია).}$$


ავტორები, რომლებიც ფუნქციას განიხილავენ როგორც პროცესს, ზოგჯერ დალაგებულ წყვილთა სიმრავლესაც უკავშირებენ ფუნქციას, ოღონდ დალაგებულ წყვილთა შესაბამისი სიმრავლე მიიღება იმის შედეგად, რომ განსაზღვრის არიდან ყოველ ელემენტი განიცდის აღნიშნული პროცესის ზემოქმედებას და ამ შემთხვევაში ზემოქმედებას აქვს ფუნქციის გრაფის სახე. შემთხვევითი არ არის, რომ ამგვარ „გრაფს“ გამოვსახავთ როგორც მიმართულ ხაზს, რომელიც გავლებულია კოორდინატთა სისტემაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ, თუ ფუნქცია აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ პირველ მოთხოვნას, მაგრამ არ აკმაყოფილებს მეორეს, იგი მაინც განიხილება როგორც ფუნქცია, თუმცა ამ შემთხვევაში მას, როგორც წესი, ‘ნაწილობრივ ფუნქციად’ მოიხსენიებენ. მაგალითად, ფუნქცია, რომელიც ნამდვილ რიცხვთა დალაგებულ წყვილს  $\langle a, b \rangle$ -ს გარდასახავს  $a$  შეფარდებული  $b$ -სთან განაყოფში (ნიმუშისათვის: ამ ფუნქციით  $\langle 6, 2 \rangle$  გარდაისახება 3-ში,  $\langle 5, 2 \rangle$  გარდაისახება 2,5-ში), არ განისაზღვრება იმ შემთხვევაში, როცა  $b = 0$ . თუმცა ეს ფუნქცია ცალსახაა – ყოველ

## COMPUTATION

წყვილს, რომლისთვისაც იგი განისაზღვრება, შეესაბამება ერთადერთი მნიშვნელობა და ამდენად, იგი აკმაყოფილებს პირველ პირობას. მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, იგი არ წარმოადგენს ფუნქციას ჩვენი დეფინიციის მიხედვით, მაგრამ მას შეიძლება ვუნოდოთ ნაწილობრივი ფუნქცია. ამდენად, ნაწილობრივი ფუნქცია წარმოადგენს სრულ ფუნქციას განსაზღვრის არიდან გარკვეულ ქვესიმრავლეზე. შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში, ტერმინს 'ფუნქცია' გამოვიყენებთ ისეთი ცალსახა ასახვისათვის, რომლის განსაზღვრის არე შეიძლება ნაკლები იყოს, ვიდრე სიმრავლე  $A$ , რომელიც განსაზღვრის არეს მოიცავს.

ზოგჯერ საჭიროა სპეციალურად აღინიშნოს,  $A$ -დან  $B$ -ში ფუნქციის არე ემთხვევა თუ არა  $B$  სიმრავლეს. საზოგადოდ, ამბობენ, რომ ფუნქცია არის  $A$ -დან  $B$ -ში; მაგრამ როცა მნიშვნელობათა არე ემთხვევა  $B$ -ს, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ფუნქცია არის  $B$ -ზე. (ამგვარად, თუკი ფუნქცია არის რალაც სიმრავლეზე, იგი ამავე დროს არის ამ სიმრავლეში, მაგრამ არა პირიქით.) ნახ. 2-2-ზე იმავე სახის დიაგრამების მეშვეობით, რაც საზოგადოდ მიმართებებისთვის გამოვიყენეთ, გამოსახულია სამი ფუნქცია. ნათელი უნდა იყოს, რომ როგორც  $F$ , ისე  $G$  არის ფუნქცია სიმრავლეზე, ხოლო  $H$  – არა. რა თქმა უნდა, სამივე წარმოადგენს ფუნქციას სიმრავლეში.



ნახ. 2-2. ილუსტრაცია ფუნქციებისა სიმრავლეზე და სიმრავლეში.

$F : A \rightarrow B$  ფუნქციას ეწოდება ურთიერთცალსახა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არც ერთ ელემენტზე  $B$ -დან არ აისახება ერთზე მეტი ელემენტი  $A$ -დან. ნახ. 2-2-ზე  $F$  ფუნქცია არის ურთიერთცალსახა, ხოლო  $G$  – არა (რამდენადაც 2-ზე აისახება  $b$ -ცა და  $c$ -ც). არც  $H$ -ია ურთიერთცალსახა (რამდენადაც  $H(b) = H(c) = 3$ ).  $F$  ფუნქცია (2-8)-დან ურთიერთცალსახაა, რადგანაც ყოველი მთელი კენტი  $y$  რიცხვისათვის არსებობს ერთადერთი მთელი რიცხვი  $x$ , ისეთი რომ  $y = 2x + 1$ . აქვე შევნიშნავთ, რომ  $F$  არ არის ფუნქცია მთელ რიცხვთა სიმრავლეზე, რადგანაც ნებისმიერი  $x$  არგუმენტისათვის  $F$  ფუნქციის მნიშვნელობა არასდროს არ იქნება მთელი ლუწი რიცხვი. ფუნქცია, რომელიც არაა აუცილებლად ურთიერთცალსახა, შეიძლება განისაზღვროს როგორც მრავალი ცალზე. ამგვარად, თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ყველა ფუნქცია შეიძლება დახასიათდეს როგორც მრავალი ცალზე და მხოლოდ ზოგიერთი,

და არა ყველა, შეიძლება დახასიათდეს როგორც ურთიერთცალსახა. თუმცა, ჩვეულებრივ, ტერმინი „მრავალი ცალზე“ გამოიყენება იმ ფუნქციათა მიმართ, რომლებიც ფაქტობრივად არ წარმოადგენენ ურთიერთცალსახა ფუნქციებს.


ფუნქციას, რომელიც ურთიერთცალსახაა და ამავე დროს არის ფუნქცია სიმრავლეზე (ამის მაგალითია ფუნქცია  $F$  ნახ. 2-2-ზე), ეწოდება ურთიერთცალსახა შესაბამისობა. ასეთი ფუნქციები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც ნებისმიერი მათგანის ინვერსიაც ასევე ფუნქციაა. (აქვე შევნიშნავთ, რომ მიმართებისათვის განსაზღვრული ინვერსია და დამატება ანალოგიურად განისაზღვრება ფუნქციის მიმართაც.) ნახ. 2-2-ზე  $G$  ფუნქციის ინვერსია არ არის ფუნქცია, რადგანაც 2 აისახება  $b$ -ში და  $c$ -ში ერთდროულად; ასევე,  $H^{-1}$ -სთვის 2-ს არ მოეპოვება შესატყვისი.

### 2. 4 კომპოზიცია

მოცემულია ორი ფუნქცია:  $F : A \rightarrow B$  და  $G : B \rightarrow C$ ; შეგვიძლია მივიღოთ ახალი ფუნქცია  $A$ -დან  $C$ -ში, რომელსაც ეწოდება  $F$  და  $G$  ფუნქციათა კომპოზიცია (ან კომპოზიტი) და რომელსაც აღვნიშნავთ  $G \circ F$  -ით. პრედიკაციული აღნიშვნით ფუნქციათა კომპოზიცია შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$(2-9) \quad G \circ F =_{\text{def}} \{ \langle x, z \rangle \mid \text{ზოგიერთი } y\text{-ისათვის } \langle x, y \rangle \in F \text{ და } \langle y, z \rangle \in G \}$$

ნახ. 2-3-ზე ნაჩვენებია ორი ფუნქცია ( $F$  და  $G$ ) და მათი კომპოზიცია.




ნახ. 2-3.  $F$  და  $G$  ფუნქციების კომპოზიცია.

შევნიშნავთ, რომ  $F$  არის ფუნქცია სიმრავლეში, მაშინ როცა  $G$  არის ფუნქცია სიმრავლეზე; ამავე დროს, არც ერთი არ არის ცალსახა. ეს გვიჩვენებს, რომ კომპოზიციების მიღება შესაძლებელია იმ ფუნქციებისაგანაც, რომლებსაც ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებული თვისებები არ ახასიათებთ. შესაძლებელია გვქონდეს ისეთი შემთხვევაც, როცა პირველი ფუნქციის მნიშვნელობათა არეს

## COMPUTATION

არაფერი ჰქონდეს საერთო მეორე ფუნქციის განსაზღვრის არესთან; ამ შემთხვევაში არ არსებობს ისეთი  $y$ , რომ  $\langle x, y \rangle \in F$  და  $\langle y, z \rangle \in G$ ; ამგვარად, გამოდის, რომ დალაგებულ წყვილთა სიმრავლე, რომელსაც განსაზღვრავს  $G \circ F$ , ცარიელია. ნახ. 2-3-ზე  $F$  წარმოადგენს კომპოზიციის პირველ ფუნქციას, ხოლო  $G$  – მეორეს. რიგს აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც,  $G \circ F$ , საზოგადოდ, არ არის ტოლი  $G \circ G$ -სი. თითქოს საპირისპირო მიმართულებით შეიძლება  $G \circ F$ -ს წაკითხვა, თუმცა  $F$  ფუნქციის მნიშვნელობა  $a$  არგუმენტისათვის არის  $F(a)$ , ხოლო  $G$  ფუნქციის მნიშვნელობა  $a$  არგუმენტისათვის არის  $G(F(a))$ . კომპოზიციის განსაზღვრების თანახმად,  $G(F(a))$  და  $(G \circ F)(a)$  ფაქტობრივად ერთსა და იმვე სიმრავლეს წარმოქმნიან.

$F: A \rightarrow A$  ფუნქციას, რომლისთვისაც  $F = \{ \langle x, x \rangle \mid x \in A \}$ , უწოდებენ იდენტურობის ფუნქციას და აღნიშნავენ შემდეგნაირად:  $id_A$ . ამ ფუნქციით  $A$  სიმრავლის ყოველი ელემენტი თავის თავში აისახება.  $F$  ფუნქციის კომპოზიცია შესაბამის იდენტურობის ფუნქციასთან იძლევა ფუნქციას, რომელიც თავად  $F$  ფუნქციის ტოლია, რაც ილუსტრირებულია ნახ. 2-4-ზე.




ნახ.2-4. კომპოზიცია იდენტურობის ფუნქციასთან.

მოცემულია ფუნქცია  $F: A \rightarrow B$ , რომელიც წარმოადგენს ურთიერთცალსახა შესაბამისობას (ამდენად, მისი ინვერსიაც ფუნქციაა). ამ შემთხვევაში ადგილი აქვს შემდეგ ტოლობებს:

$$(2-10) \quad \begin{aligned} F^{-1} \circ F &= id_A \\ F \circ F^{-1} &= id_B \end{aligned}$$




აღნიშნული ტოლობები ილუსტრირებულია ნახ. 2-5-ზე.



ნახ. 2-5. ურთიერთცალსახა შესაბამისობის კომპოზიცია მისსავე ინვერსიასთან.

კომპოზიციის განსაზღვრებისას არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ფუნქციებით. იგი განხილული უნდა იქნეს ზოგადად მიმართებებთან დაკავშირებით. მოცემულია  $R \subseteq A \times B$  და  $S \subseteq B \times C$  მიმართებები.  $R$ -ისა და  $S$ -ის კომპოზიცია (ჩაინერება  $S \circ R$ ) არის შემდეგი მიმართება:  $\{ \langle x, z \rangle \mid \text{სადაც ზოგიერთი } y\text{-ისათვის } \langle x, y \rangle \in R \text{ და } \langle y, z \rangle \in S \}$ . მაგალითი ნაჩვენებია ნახ. 2-6-ზე.



ნახ. 2-6.  $R$  და  $S$  მიმართებათა კომპოზიცია.

ნებისმიერი  $R \subseteq A \times B$  მიმართებისათვის ადგილი აქვს შემდეგ ტოლობებს:

$$(2-11) \text{id}_B \circ R = R$$

$$R \circ \text{id}_A = R$$

## COMPUTATION

(აქვე შევნიშნავთ, რომ იდენტურობის ფუნქცია  $A$ -ში, რა თქმა უნდა, წარმოადგენს მიმართებას და მას ასეც ეწოდება: იდენტურობის მიმართებას  $A$ -ში.)

(2.10)-ში წარმოდგენილ ტოლობები არაა მართებული მიმართებებისათვის (და არც იმ ფუნქციებისათვის, რომლებიც თავის მხრივ არ წარმოადგენენ ურთიერთცალსახა შესატყვისობებს). თუმცა ნებისმიერი ურთიერთცალსახა  $R: A \rightarrow B$  მიმართებისათვის:

$$(2-12) \quad R^{-1} \circ R \subseteq \text{id}_A \\ R \circ R^{-1} \subseteq \text{id}_B$$

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი წინა შენიშვნები სამადგილიან, ოთხადგილიან და ა.შ. მიმართებებთან დაკავშირებით ვრცელდება, აგრეთვე, ფუნქციების მიმართაც. ფუნქციის განსაზღვრის არეს შეიძლება შეადგენდეს ნებისმიერი დალ-აგებული  $n$ -ეული, მაგრამ ყოველი ასეთი  $n$ -ეული უნდა გარდაისახოს ერთადერთ მნიშვნელობაში მნიშვნელობათა არიდან. მაგალითად, ასეთია ფუნქცია, რომელიც გარდასახავს ნატურალურ რიცხვთა ნებისმიერ წყვილს მათ ჯამში.

*თარგმნა ე.სოსელიამ*

# NET REPRESENTATION OF MORFOLOGIC PROCESSORS

G. Chikoidze

## Abstract

The tenor of this work is expressed by its title, however the core of its theme is included in the intersection of more broad and general contexts. In the first instance, morphologic processor, which is only one component of far more general and broad system, that is – of language model. The latter, in its turn, represents a method of the contemporary linguistics oriented to mirroring of the dynamic aspect of language, without which it would not be able to perform its main communicative destination: analysis/synthesis of speech/text. Moreover, modelling should be a quite important approach for cognition of that decisive part which language plays in the all mental activity of human being, that is the role of its basic component, of “mind’s body” (according to Hegel 1831). Such cognitive perspective is an inseparable aspect of “Meaning ↔Text” type complete models since only right-hand member of this scheme (“Text”) is available for direct observation; as to “Meaning” and “<=>” sign, which symbolizes the dynamic aspect of language system, it is necessary to start with some hypotheses related to their structure and functioning to reach the degree of model completeness, moreover if the final purpose is the investigation of relation and “interlacing” between language and mind. At the same time, taking into account vast size and complexity of these models it seems that computer is the only means for their realization and testing.

## INTRODUCTION

Naturally, at this point there may arise a doubt about significance of investigation of such a “modest” model component like morphology on the face of a huge system of complete language model? In defence of our purpose we would remind that (according to F. de Saussure) just the object of morphology, i. e. the word, is “a central entity” of language and moreover just that and only that entity which “always is available for our consciousness”. It seems also that just this “central” element is something like “axis”, around which the whole language mechanism is revolving. Morphologic processor, which performs this

## COMPUTATION

entity's analysis/synthesis, in case of the former (analysis) dissects the word into its components (morphs) and in the course of this process collects whole information coded in the text, passes it for the further processing and disambiguation to higher levels of model (syntax, semantics, pragmatics) and so is for the latter the single source of grammatical-lexical information coded immediately in the text; during the synthesis morphological processor is carrying out an exactly opposite task: it transforms the whole information worked out by the higher levels and encoded by peculiar for them terms in the final form of language expression, that is produces the sequence of all words which should represent the end of the whole process of synthesis.

Thus, the morphological processor bridges a primary representation of text, i. e. word sequence, which is immediately available for us, and first level of abstraction – lexical – grammatical features. However, this does not exhaust the import of word and closely connected with it morphology: each of the higher levels of the model representation retains a trace of this initial (for analysis) or final (for synthesis) step of the processing, that is the structure of each of them could be represented like a specific composition of objects which in most cases are abstract correspondences of single word forms or of their small combinations. So, it may be said, that all these high level representations are somewhat “grained” and their “grains” are clusters of signs quite transparently related with word forms of the text, analyzed or to be built.

